რელიგია

№ 4 1992

862/1992/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელიგიურ გრძნობას, რისი შეშვებითაც ადამიანი აბსოლუტს ეხება, არ შეუძლია ჩვენი მოტყუება. შეიძლება ამ გრძნობის არასწორი ახსნა, შეიძლება მისი მეტ ან ნაკლებ სარისხში ფლობა, მაგრამ, რამდენადაც მე შ ე ვ ი გ რ ძ ნ ო ბ ღვთაებრივს, მე არ ვცდები. ყველა რელიგიაში არის ჭეშმარიტება ღვთისა, წარმართი თაყვანს სცემს ღმერთებს, რომლებიც შექმნილია ადამიანის ან ღვთის ხელით; იგი ცდება, როდესაც ღებულობს ქმნილებას ღმერთად და თავის გრძნობას წარმართავს მასზე, მაგრამ იგი არ ცდება თვით ამ გრძნობაში... შეუძლებელია უცილობელი ჭეშმარიტებანი დავუმტკიცოთ მას, ვისაც არ შეუძლია ან არ სურს მათი დანახვა. რელიგიური ჭეშმარიტებანი განსაკუთრებული, შინაგანი ცდის სფეროა: ისინი აღიქმება არა სხეულებრივი თვალით, არამედ „ჭვრეტის თვალით". ზუსტად ასევე უნაყოფოა ვუმტკიცოთ ბუდისტს ან მაჰმადიანს, სანამ თვით არ ისურვებს თავისი შინაგანი თვალის გახელას, ის, რომ ქრისტიანობაში უფრო საკვლევ და უფრო წმინდადაა გამოსატული არეკლილი მაჰმადიანობაშიც და ბუდიზმშიც ჭეშმარიტება.

ლევ კარსავინი

XXI ს-ის დიდი რუსი ფილოსოფოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელიგია

1992. აპრილი № 4

შინაარსი

პოპულარული საუბრები
რწმენასა და ურწმუნოებაზე

მიტროპოლიტი კონსტანტინე — მორწმუნის აპოლოგია 3
ჰ. ტივოლიე — არსებობს თუ არა ღმერთი? 18

ღვთისმეტყველება

გ. თევზაძე — კაპადოკიელთა რენესანსი X-XI სს. საქართველოში 41

რწმენა და სასწაული

იესოს ფერხთით — ინდუსი მოციქულის სადუ სუნდარ-სინგის ოთხი სიტყვა 51

მისტიკა

ათონის მთის ბერთა მისტიკური ღვთისმეტყველების შესახებ 66

სხვადასხვა

ინტერვიუ თბილისის სინაგოგის საკრებულოს თავმჯდომარესთან და თბილისის მუსლიმანების თემის ხელმძღვანელთან 93
ბ. ღვინეფაძე — მღვდლის ეტიმოლოგიისათვის 96

ბარეკანის პირველ გვერდზე: წმ. დიმიტრი და წმ. თევდორე („ილორის წმ. გიორ- — კარელი. ზუგდიდი)

მთავარი რედაქტორი ვიქტორ რცხილაძე

სარედაქციო კოლეგია:

მეუფე კონსტანტინე (მელიქიძე) — სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ქორეპისკოპოსი, გიგლა აბდალაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ გაბიძაშვილი, ვახტანგ გოგუაძე, რისმაგ გორდეზიანი, გურამ თევზაძე, ირაკლი კალანდია (მთ. რედ. მოადგილე), ზურაბ კიკნაძე, ვახტანგ როდონაია, ზურაბ ფორაქიშვილი (მეცნ. კონსულტანტი), ნიკო ჭავჭავაძე.

მხატვარი — ვახტანგ რუხუა

ჩვენი მისამართი:

380096 თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა № 14.

ტელეფონები:

მთავარი რედაქტორის მოადგილის — 99-87-37; პასუხისმგებელი მდივნის — 93-29-19; საქართველოს ეკლესიის ისტორიის განყოფილების — 93-49-72; პასუხისმგებელი მდივნის მოადგილის — 98-31-56.

გადაეცა ასაწყობად 17.03.92 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.05.92 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/16. ოფსეტური ბეჭდვა, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6. შეკვ. № 367. ტირაჟი 5 000.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა.

მიტროპოლიტი კონსტანტინე

მორწმუნის აპოლოგია*

40363

„ჯული უფლისაი უბიწო არს და მოაქცევს სულთა; დამებანი უფლისანი სარწმუნო არიან და ბოროტერ აქუნიან ყრმანი“.

(ფსალ. 18,8).

ხშირად ზოგიერთი ურწმუნო ეჭვით უყურებს რწმენასა და მორწმუნეს, ფიქრობს: ნორმალური ადამიანია და ნუთუ მართლა სწამს ღმერთი?! — საიდან, როგორ?! რაღა დროს რწმენაა ამ უმაღლესი ტექნიკისა და პროგრესის საუკუნეში? ერთი მათგანი გულუბრყვილოდ შემეკითხა: „თქვენთვის ხომ ეს სამსახურია, თქვენ ხომ ძველ ტრადიციას მისდევთ ფორმალურად, თორემ, ბოდიში ასეთი კადნიერების გამო, ხომ არ შეიძლება ნამდვილად მორწმუნე იყოთ?! მით უმეტეს, ცოდნა გაქვთ, ადრე ინჟინერი ყოფილხართ...“.

„ნუ თვალლებითა გაქვთ სარწმუნოება“, — ამბობს იაკობ მოციქული. შესაძლებელია ემსახურო საქმეს, მით უმეტეს ეკლესიას, ღმერთს, შეალიო მას წლები, მთელი შენი ენერგია და არ გწამდეს? რას გეტყოდა შენი შინაგანი სინდისი, განა შეიძლება უორგულო შენს საკუთარ მეს და იფარისევლო რაიმე სხვა განზრახვით? მე გეტყვით, თქვენ დაისჯებოდით ამ ორგულობისათვის. „რომელი იგი ორგულობდეს, მსგავს არს იგი ღელვასა ზღვისასა, ქარითა აღძრულსა და მიმოტაცებულსა... ორგული დაუდგრომელ არს ყოველთა ზედა გზათა მისთა“ (იაკობ მოც. 1,6-8). და კიდევ დავუმატებდი: სარწმუნოების გარეშე კაცი მეტად შიშვლად გამოიყურება, ნეტარება მას, ვისაც სწამს მტკიცედ. („ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა მას უღმრთოთასა და გზასა ცოდვილთასა არა დადგა, დასაჯდომელსა უსჯულოთასა არა დაჯდა“ (ფსალ. 1,1).) ამ სიტყვების შემდეგ რატომღაც მაინც ეჭვით და შებრალებით მიყურებენ. ნუთუ მართლა მორწმუნეა? საოცარია, არა სწამს და როგორ?!..

მაკვირვებს ზოგიერთი არამორწმუნე სწავლულის საოცარი მისწრაფება — აქვს თუ არა რაიმე ხელშესახები ფაქტი და ფილოსოფიური განათლება, როგორმე დაამტკიცოს ღვთის არარსებობა. ასეთებს შეიძლება ისედაც ეწოდოთ აზრით ღარიბნი, რამეთუ არა აქვთ ბუნებრივი სწრაფვა ჭეშმარიტებისა და საიდუმლოებათა ამოცნობისაკენ. მხოლოდ და მხოლოდ ისწრაფვიან იქითკენ, რომ ზენაარის არსებობის საწინააღმდეგო აზრები მოიგონონ. „რად-მე განარისხა უღმრთომან ღმერთი? რამეთუ თქუა გულსა შინა თვისსა: არა გამო-

* პირველად დაიბეჭდა „საღვთისმეტყველო კრებულში“, № 3, 1986, მაგრამ ფართო მკითხველამდე არ მისულა, რადგან აღნიშნული ჟურნალის ტირაჟი 200 ეგზემპლარი იყო და თანაც ფაქტობრივად მისი გავრცელება იკრძალებოდა — ჟურნალის გარეკანზე ეწერა „შიდასაეკლესიო მოხმარებისათვის“.

საქართველოს ეროვნული

იძიოს“ (ფსალ.9,34). რატომ განარისხა უღმრთომან ღმერთი უფრო მეტად? სწორედ იმიტომ, რომ თქვა გულსა შინა „არა გამოვიძიო“. არა სწადს გამოძიება, არა სწადს სწავლად საღმრთო წერილითა და იმეორებს ერთსა და იმავეს: „სად არს ღმერთი თქვენი, ვინ ნახა? — უკეთუ იყოს ნახვად ვინმეო...“.

მეც მინდა გკითხოთ, ბატონებო: რა უფრო უკეთესია (თქვენთვის, არსებობდეს ღმერთი თუ არა?

საკვირველია, ერთნი სდუმან, ზოგს ოდნავ ელიმება, ზოგი თავს ხრის, აღარ იცის, რა მიპასუხოს. აშკარად ვერ უღიარებიათ ის, რომ ღვთის არყოფნას ყოფნა სჯობს. ამით ხომ იმას აღიარებენ, რომ სიკვდილს სჯობია სიცოცხლე, ამაოებას — მარადისობა, სიცრუეს — ჭეშმარიტება. ზოგიერთი მათგანი გამოცდილი ათეისტია და მეტყვის დაბალი ხმით: „არსებობს ღვთის შესახებ მხოლოდ ფანტაზია. ღმერთი რომ არსებობდეს, კარგია, მაგრამ ვერ იარსებებს, ბუნებაში მის არსებობას საფუძველი არა აქვს, ისე როგორც ზღაპრებში გამოთქმულ ფანტასტიკურ არსებებს არა აქვთ საფუძველი რეალურ ცხოვრებაში. მას საფუძველი აქვს მხოლოდ ხალხის წარმოდგენაში და მეტი არაფერი...“.

მართლა ასეა კი? იქნებ შემომყვეთ წმიდა საიდუმლოთა „ლაბირინთში“, თქვენ იქ ბევრ რამეს ისეთს გაიგებთ და დაინახავთ, რომ ღვთის არსებობა ზღაპრად აღარ მოგეჩვენებათ. ძირს დახედავ დედამიწას, თუ მაღლა აზედავ ცას, სულერთია, ყველგან დაინახავ მის ქმნილებებს. ადამიანიც ხომ ერთ-ერთი ქმნილებაა „ხელთა მისთა“; „ცანი უთხრობენ დიდებასა ღვთისასა და ქმნულსა ხელთა მისთასა მიუთხრობს სამყარო. დღე დღესა აუწყებს სიტყუასა და ღამე ღამესა მიუთხრობს მეცნიერებასა“ (ფსალ. 18, 1-3).

კარგად გესმით თუ არა თქვენ ამ სიტყვების ჭეშმარიტი აზრი? თუ გინდათ საიდუმლოებას ჩასწვდეთ, გადმოდგიდ ნაბიჯი წმიდა „ლაბირინთისაკენ“.

„უფალსა ვესავ; ვითარ ეტყვით
სულსა ჩემსა:
იცვალებოდე მთათა ზედა ვითარცა
სირი?“ (ფსალ. 10,1).

ამას იმიტომ ვწერ, რომ ხშირად ათეისტურად განწყობილ პირს უბრალოდ არ სურს ძიებით შეიწუხოს თავი, ჩასწვდეს საიდუმლოს, მიეახლოს ჭეშმარიტ ნათელს. ის მთლიანად ამქვეყნიური, ცხოვრებისეული საკითხებითაა გართული და მიღმურისაკენ საერთოდ არ იყურება, ცხადია, თუ ამგვარი ადამიანი განწყობილებას არ შეიცვლის, ვერ მისწვდება ნათელ მწვერვალებს, ვერ შეაღწევს მის უსაზღვროებაში. სხვებში (მათი რიცხვი უფრო დიდია) შეიძლება ვიპოვოთ ჯერ კიდევ გამოუკვეთელი რწმენა, ასეთი ადამიანები აღიარებენ რაღაც ძალას, ბუნებაში მოქმედს. ეს ძალა ხან სიზმრებითა და მათი ახდენით ვლინდება, ხან ხიფათისა და გაჭირვების აცდენით, ხანაც იმით, რომ იგი ბუნების მოვლენებს განაგებს. მაგრამ რა არის ეს ძალა? — ამაზე ისინი არაფერს ამბობენ და ხშირად იმიტომ, რომ არ სურთ „შორს შეიჭრან“. ასეთ ადამიანებთან შეიძლება წარიმართოს სასარგებლო საუბარი, რათა ღვთის წყალობით ისინი გონს მოეგონ: „ხოლო შენ, უფალო, ნუ განმაშორებ შეწევნასა შენსა ჩემგან და ხელის აპყრობად ჩემდა მომხდენ“ (ფსალ. 21,20); „მიუთხრა სახელი შენი ძმათა ჩემთა და შორის ეკლესიისა გიგალობდე შენ“ (ფსალ. 21,23). ბევრი ამათგანი იმდენად გაბედულია, რომ შეიძლება ადვილად შემოგყვნენ „საიდუმლო ლაბირინთში“. ჯერჯერობით კი ისინი უგულებელყოფენ ეკლესიასა და მღვდელმსახურებას. ხშირად მათთვის ღმერთი უპიროვნო, გაურკვეველი ძალაა, ბუნებაში მოქმედი და ბუნების კუთვნილება (ე. წ. „პანთეისტური ღმერთი“); წმინდა თუ ბოროტი სულების არსებობას ზოგიერთი საერთოდ არ

სცნობს, ზოგი თუმცა აღიარებს, მაგრამ მისი რწმენა მაინც ცალმხრივი და პრიმიტიულია. ასეთი ადამიანები წინ არ მიდიან, არ ვითარდებიან, არ ისწრაფვიან ღრმად ჩასწვდნენ რელიგიის არსს, არ კითხულობენ წმინდა ლიტერატურას, არ იცნობენ სახარებას, ქვეყნის მხსნელსა და მაცხოვარზე წარმოდგენაც კი არა აქვთ, ვინაიდან მცნებებს გაურბიან, რჯულის აღსრულებაზე, ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

ადამიანთა მესამე ჯგუფი მორწმუნეთა კატეგორიას განეკუთვნება და ამით ისინი თითქოს „პანთეისტებზე" მაღლა დგანან. სინამდვილეში ამ ხალხის რწმენაც ცალმხრივია: ისინი ამაყობენ იმით, რომ მორწმუნენი არიან, ღმერთს აღიარებენ გაბედულად, რჯულს აღასრულებენ, მაგრამ სხვების მიმართ მკაცრნი არიან, თავიანთ წარმოდგენებს სხვას ახვევენ თავს, აძვილად ლანძღავენ და აგინებენ მათ, ვინც არ იზიარებს ამ წარმოდგენებს, ეკლესიას მსახურობენ, წირვა-ლოცვას ისმენენ, მღვდელმსახურებას არ უარყოფენ, მაგრამ თუ დასჭირდათ, განსჯიან და განიკითხავენ თვით მოძღვარსაც კი. აკვიატებულ აზრებს, წარმოდგენებს ისინი თავიანთ გულში აკანონებენ და შემდეგ არასოდეს ღალატობენ, ადვილად იციან სხვაზე ლაპარაკი, განკითხვა, სხვისი ნაკლის გახსენება, დაცინვა და გაკიცხვა. ამგვარად, მთავარი მცნებების აღსრულებაში, რაც გონებით სფეროს განეკუთვნება, ისინი სუსტნი არიან. ეს ადამიანები თუმცა მარხულობენ, შეუძლიათ სახსნილო საჭმლის მიღებისაგან თავი შეიკავონ, მაგრამ ენას კი ვერ იკავებენ. რწმენაგამოუკვეთელ მორწმუნეებთან შედარებით ისინი რიცხობრივად ცოტანი არიან, მაგრამ მათი ხმაური სიმრავლისა და ძალის ილუზიას ქმნის.

ადამიანთა მეოთხე ჯგუფია ე. წ. „დინჯი მორწმუნენი". მათ არა აქვთ არავითარი აკვიატებული წარმოდგენები, სჯერათ სახარების მცნებები და რწმენის საკითხებშიც საკმაოდ კარგად ერკვევიან. ისინი აღიარებენ იმას, რაც რეალურად გაუგონიათ ან ამოუკითხავთ. თუ რჯულს ვერ აღასრულებენ მტკიცედ და აქვთ ჩავარდნები, ძალიან სწუხან, შედარებით მომთმენნი არიან, მიმტევებელნი ცოდვათა, არ უყვართ სხვაზე ლაპარაკი, სხვისი გაკიცხვა, განკითხვა, დაცინვა, შურისგება და სხვა მისთანები. ამათ ღვთისაკენ მიდრეკილება უფრო ძლიერი აქვთ გონებით და უფრო ძლიერად განიცდიან. ეკლესიაში დადიან დროდადრო, მღვდელმსახურებისა სჯერათ, მოძღვარს არ განიკითხავენ; მათი კეთილი ფიქრი და ოცნება ეთმობა ღვთაებრივ წარმოდგენებს... მარად შეფოფინებენ სიწმინდეთ, წმიდა სულებს, ცოდვათათვის პატიებას ითხოვენ, სინანულს ეძლევიან, აზროვნება საკმაოდ ძლიერი აქვთ. ესენი რიცხვით შედარებით მცირე არიან ზემოთ დასახელებულ მორწმუნეთა ორივე ნაწილზე.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მორწმუნეთა მეოთხე ნაწილს:

ესენი რჯულს მტკიცედ აღასრულებენ. ხშირად ხედავენ ჩვენებებსა და გამოცხადებებს, ყველაფერში ღმერთს ჭვრეტენ, მას მსახურებენ, მას სწირავენ თავიანთ ნებისყოფას, მომთმენნი არიან, თავიანთი მტრებისათვის ლოცულობენ, ყოველგვარ მიგებას და შურისგებას გაურბიან; ღვაწლმოსილნი არიან, თავგადადებული ემსახურებიან ღვთიურ საქმეს. ესენი რიცხვით ძლიერ ცოტანი არიან, აზროვნების ძალით პირველობა შეიძლება დაუთმონ მხოლოდ მესამე ჯგუფის მორწმუნეთ.

პანთეისტთა ერთი არგუმენტის შესახებ: „ღმერთი რომ ყოფილიყო ქვეყნად უსამართლობა და ჩაგვრა, ბოროტება, სნეულებანი და სხვანი არ იქნებოდაო". ეს მოსაზრება უსუსურია, რადგან ყველაფერს თავისი საფუძველი აქვს. ადამიანის თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული გახდეს როგორც შემოქმედის ხატი და მსგავსი, ისე ზურგი

აქციოს შემოქმედის განგებულებას და ამით ბოროტის საწყისად იქცეს. რეალურად ადამიანი ყოველთვის მიდრეკილია ბოროტისაკენ: ადამიანი ცოდვილი არსებაა, უცოდველი ადამიანი ეკლესიამ არ იცის. ახლა დაფიქრდით, მეგობრებო, ვისი არსებობის წინააღმდეგაა მიმართული თქვენი არგუმენტი — ღმერთისა თუ ადამიანის? ბოროტი ხომ ადამიანს შემოაქვს სამყაროში და ადამიანის გარეშე მას არსებობა არ გააჩნია; მაშასადამე, ღმერთს რომ ბოროტი მოესპო ამ ქვეყნად, მას უნდა მოესპო საერთოდ ადამიანი. ამის გაკეთება ღმერთს უთუოდ ძალუძს, მაგრამ მის მიზანს შეადგენს არა ადამიანის მოსპობა, არამედ მისი მკურნალობა და წარმართვა იმ დანიშნულებისაკენ, რომელიც იმთავითვე აქვს მას წინასწარ განსაზღვრული — ესაა ხსნის პროცესი და ვიდრე ეს პროცესი გრძელდება, ამ ქვეყნად ცოდვაც იარსებებს. მოვიგონოთ ის ფაქტი, რომ მაცხოვარმა განკურნა 10 კეთროვანი და „დაჰვედრა: წადით და თავნი თქვენნი უჩვენეთ მღვდელსაო". მხოლოდ ერთი მიბრუნდა მაცხოვართან მადლობის სათქმელად და მაცხოვარმა მას გაოცებით ჰკითხა: განა ათივე არ განიკურნეთ, ცხრანი სადღა არიანო?..., ე. ი. როცა განიკურნენ, იმ ცხრამ სრულიად დაივიწყა მკურნალიცა და ღმერთიც. მხოლოდ მეათემ შესწირა მადლობა მას. ასეთია უმადურობა ადამიანისა და განა აქ ღმერთია დამნაშავე?

ბიბლიაში მოთხრობილია, რომ იაკობის საყვარელი ძის, იოსების მოკვლა უნდოდათ ძმებს მხოლოდ იმისათვის, რომ მან ნახა ჭეშმარიტი სიზმარი, რაც მის შემდგომ დაწინაურებასა და ამაღლებას ნიშნავდა, ძმებმა შურით გასწირეს, ბნელ ორმოში ჩააგდეს თავიანთი ძმა, მხოლოდ ღმერთმა არ გასწირა იგი, მიუხედავად მრავალი განსაცდელისა გადაარჩინა, და განადიდა. ამ მაგალითით ვხედავთ, რომ ძმებში ჩასახული შური, ბოროტება ადამიანურია, იგი არ მომდინარეობს არც ღვთისაგან, არც სხვა ძალისაგან. მაგრამ თვით ყველაზე შიშველ ბოროტებასაც აქვს რაღაც გამართლება, გამართლება არა საერთოდ სამართლიანობის თვალსაზრისით, არამედ მხოლოდ სუბიექტური, პიროვნული ანგარებითი გრძნობით. ყოველგვარი ბოროტება აღმოცენდება მიზეზით და მიზეზიც აქვეა: ერთის წარმატება, გავლენიანობა შეიძლება გახდეს მეორის შურისა და ღვარძლის მიზეზი და სავალალო შედეგები გამოიღოს. ხშირად მაჰმადიანები ქრისტიანებს ჰკლავდნენ იმისათვის, რომ ცუდი რჯულისა ხართო, მაგრამ აბა დაუკვირდით, ვინ არის ცუდი: მოსისხლე, სხვათა მდევნელი თუ თავისთვის მეუდროდ მცხოვრები ადამიანი, რომელიც არავის არ ერჩის, სხვათა საქმეში არ ერევა. ადამიანი წმინდა მაშინაა, როცა იგი, რამდენადაც შეუძლია, თავის თავს ზღუდავს, სხვას არ აწუხებს, რადგან ქრისტეს მოსვლის დროს „მრჩოლავნი თიკანნი დადგინებულ იქმნებიან მარცხნით" და ისინი საუკუნო სატანჯველს მოიმკიან. რაც შეეხება უსამართლობას, „უსამართლო იგი უსამართლობიდან ჯერეთ", — ამბობს იოანე ღვთისმეტყველი. ვინ არის უსამართლო? — ადამიანი. უსამართლობა ადამიანებში ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვხვდება, ისევე როგორც სხვათა ჩაგვრა, დამონება, რისკენაც ისწრაფვიან როგორც ერთეულნი, ისე მთელი ერებიც კი.

ადამიანის ვალია ეძიებდეს ღმერთს. „უფალმან ზეცით მოხედნა ყოველთა ზედა კაცთასა ხილვად, იყოს თუ ვინმე გულისხმის-მყოფელ, ანუ გამომძიებელ ღმრთისა" (ფსალ. 13,2) და იქნებ მოხდეს ისე, რომ თქვენც მალე გულისხმაჰყოთ, გამოიძიოთ და იცნოთ უფალი. „ხოლო მათ თუალნი მათნი განეხვნეს და იცნეს იგი..." (ლუკა 24,30-31).

რა თქმა უნდა, არ ვამბობ, რომ ამ საქმეში კვლევა და დაჯერება ადვილია.

ჩვენ ამ შემთხვევაში ვეძებთ არა უბრალოდ ადამიანს, არა რომელიმე განქმულ პიროვნებას ან რაიმე უძვირფასეს საგანს, არამედ ყოველივეს შემოქმედს, ქვეყნის ბატონსა და პატრონს, რომლებს მიმართ თავიდანვე უნდა განვიმსჭვალოთ უსაზღვრო სიყვარულით, რიდითა და შიშით. „მოვედით შვილნო, ისმინეთ ჩემი, შიში უფლისა გასწავოთ თქვენ“ (ფსალ. 33,11-12). თუ ამ საზომით მივუდგებით საძიებელს, მაშინ ძიებაც გაგვიადვილდება და ნანატრ, სასიხარულო პირსაც მალე აღმოვაჩენთ.

ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲖᲝᲛᲘᲔᲠᲔᲑᲐᲜᲘ? ჩემი მთავარი მიზანია მიგახვედროთ, რომ არსებობს შემოქმედი და სხვა ყოველივე მის მიერ არის შექმნილი. „ყოველივე მისგან იქმნა, რაოდენი რა იქმნა“; „... რამეთუ მათ სთქუა და იქმნეს, თავადმან ამცნო და დაებადნეს“ (ფსალ.32,9).

უპირველეს ყოვლისა ჩვენი გულისყური მივაპყრათ მარადიულ კანონზომიერებათა გამოცნობას. არსებობს ასეთი კანონზომიერებანი როგორც ცაში, ასევე ქვეყანაზე. კანონზომიერებანი გამორჩეულნი, შესაფერისთა შორის საუკეთესონი. თუ თქვენთვის გაუგებარია რა კანონზომიერებებზე ვლაპარაკობთ, დაგისახელებთ ზოგიერთს, საუბარი რომ არ გაგვიძნელდეს.

აი, ავიღოთ თუნდაც დროთა ცვლა ჩვენს დედამიწაზე. რა საკვირველად იცვლება დრო. წელიწადი მთელი დროის კანონზომიერი ცვლილებების ერთი ციკლის დამრგვალებაა, რომელსაც პირობითად ჩვენ 4 დროდ ვყოფთ. სინამდვილეში ასეთი მკვეთრი გამიჯვნა არ შეიძლება. დრო იცვლება ყოველ არა მხოლოდ დიდ, არამედ სულ მცირე მონაკვეთშიც. ეს მცირე ცვლილებანი საბოლოო ჯამში იწვევენ თვისებრივ ცვლილებას: ზამთარი იქცევა ზაფხულად. ზამთარი მართლა კი არ მოდის, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია, არამედ თანდათანობითი ცვლილებების გამო შემოდგომა იცვლება ზამთრით, ზამთარი — გაზაფხულით, გაზაფხული — ზაფხულით და ა. შ.

ადამიანმა ადრევე შეამჩნია ბუნებაში ეს კანონზომიერი ცვლილებანი და დროთა დაყოფა მოახდინა განსაზღვრული სახელწოდებებით.

თქვენ იტყვით, რომ ეს კანონზომიერებანი სხვა არა არის რა, თუ არა მზის გარშემო დედამიწის ბრუნვის შედეგი. ასე უბრალოდ არ შეიძლება აიხსნას ეს რთული პროცესი. მთვარეც ბრუნავს დედამიწისა და მზის გარშემო, მაგრამ იქ არა გვაქვს დროთა ცვლა, იქ სხვა კანონზომიერებანი მოქმედებენ. დედამიწის ბრუნვისა და მისი ორბიტის დახრის ყოველი მომენტი შეესაბამება დროთა ცვლას და ეს პროცესი კანონზომიერად მიმდინარეობს საუკუნეთა განმავლობაში. ეს ცვლილებები მუდამ ერთნაირად მიმდინარეობს, თუმცა ისინი არ არიან შაბლონურნი. ე. ი. ერთი და იმავე ცვლილებების იგივეობრივი განმეორება კი არ ხდება, არამედ მსგავსის. გაზაფხული გაზაფხულია ყოველთვის თავისი მთავარი ნიშან-თვისებებით; მაგრამ ორი გაზაფხული ადეკვატურად არ ჰგავს ერთმანეთს, ერთი შეიძლება იყოს უხვნალექიანი, წყნარი, მეორე —გვალვიანი, ქარიანი და ა. შ. კანონზომიერების ძალა იმაშია, რომ გაზაფხულს აუცილებლად ზაფხული მოსდევს, ზაფხულს —შემოდგომა, შემოდგომას — ზამთარი და ა. შ. არასოდეს პირიქით არ ხდება.

სხვა სახის კანონზომიერებანი შეინიშნება ცოცხალ არსებათა ცხოვრებაში; გამრავლების დროს მსგავსი ნიშან-თვისებანი კანონზომიერად გადასდევს თაობიდან თაობას. როგორ გგონიათ, ეს უბრალო რამ არის, რომ არსება რჩება თავის სახეში უცვლელად, არ იღებს უცნაურ, ახალ გარეგნობასა და შინაარსს?

მეცნიერული ჰიპოთეზით, უჯრედებში არსებობენ ქრომოსომები, გენები, რომელთაც უნარი შესწევთ შთამომავლობას გადასცენ მშობლების ნიშან-

თვისებანი, რათა მსგავსმა შობოს მსგავსი. „მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს, ესე ბრძენთაგან თქმულია“ (შოთა რუსთაველი).

შეიძლება მოძღვრება გენებზე ჭეშმარიტია, მაგრამ ვინ ანიჭებს ამ თვალით უხილავ სხეულაკებს ასეთ დიდებულ თვისებას, საოცარ უფლებამოსილებას, რომ ადამიანი კვლავ დარჩეს ადამიანად, ცხოველი — ცხოველად, მცენარე — მცენარედ და ინდივიდმა არ უღალატოს თავის გვარსა და სახეს? ნუთუ არაფერი გვაქვს დასაფიქრებელი? ვისა აქვს ძალა და უნარი შექმნას ასეთი „გენები“, მიანიჭოს მათ ნიშან-თვისებათა გადაცემის უნარი და თავის სამსახურში იყოლიოს ისინი? კარგად იცით, რომ თვითონ ცოცხალი არსება უძლურია ამ საქმეში. მაშ ვინ უძღვება ამგვარ საოცრებებს? — ბუნება? და რომელი ბუნება? მკვდარი თუ ცოცხალი, სულიერი თუ უსულო? ბუნების არც ერთ ქმნილებას არ შესწევს ამის უნარი. სიცოცხლე და შეგრძნება ინდივიდებშია მხოლოდ და არა საერთოდ მთელს ბუნებაში. ბუნებას არ ძალუძს არც ცვლილებათა მოხდენა ორგანიზმებში და არც კანონზომიერებათა დამყარება. ხშირად ჯიუტად გაიძახიან, ეს ორგანიზმის თვისებაა, თანდათანობით, ბუნებასთან ურთიერთობით გამომუშავებული უხსოვარა, ცოცხალი არსების ჩასახვის დროიდან, რაც დღემდე გრძელდება და მუდამ გაგრძელდებაო.

მაგრამ შევხედოთ საკითხს სხვა მხრიდან:

როგორია ორგანოების აგებულება და მათი შეგუების უნარი გარემო პირობებთან? საქმე ის არის, რომ ორგანიზმთა და ორგანოთა მრავალფეროვნებაში ბევრი რამ საერთოა. ქსოვილების სხვადასხვა დანიშნულება თავისთავად მიგვანიშნებს ორგანიზმების არა მარტო სირთულეზე, აღნაგობის საოცრებაზე, არამედ იმაზეც, რომ მათზე ვიღაც ზრუნავს. ამის მაგალითი ბევრია ბუნებაში: ზღარბის ეკლები, კოდალას გრძელი ნისკარტი და ენა, იხვის ნავისებური მოყვანილობა, ყანჩას ფეხების სიმაღლე, ჭია-მაიას სიჭრელე, თრითინას ფერის ცვალებადობა და სხვა მრავალი, რომელიც მიგვანიშნებს ამ ცხოველების აზრიან დაცვაზე. რა თქმა უნდა, მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება.

ამ არგუმენტზე შემოგვეკამათებიან, გვეტყვიან: როგორ თუ აზრიანი დაცვა? ბუნებას ვინ მისცა აზრი? მიზანს, მხოლოდ ადამიანი ისახავს, ბუნებრივი მოვლენები კი თავისთავად უმიზნოდ მიმდინარეობენ. ორგანიზმებმა დაცვის საშუალებანი დროთა სვლაში თანდათან შეიძინეს.

მაგრამ ისმის კითხვა: ბუნება ზრუნავს ადამიანებზე, მაგრამ ბუნებაზე ვინღა ზრუნავს? ვინ აზავებს ბუნებას ისე, რომ გამოდგეს საცხოვრებლად? ან თუ ავიღებთ ცხოველთა დაცვას, მათი დაცვის საშუალებანი თუ მიზნობრივად არ არის შექმნილი, რატომ შეესატყვისებიან ისინი ორგანიზმის დაცვის მოთხოვნილებას და თან ისე, რომ ერთი სახის დაცვის საშუალებანი მხოლოდ ერთისათვის, ერთი სახისათვის არის ვარგისი, სხვა სახისათვის კი უვარგისია? მაშ რატომ არის მიზანშეწონილი მათი დაცვა? თუ ადამიანი იცვამს ტანსაცმელს მიზნობრივად იმისათვის, რომ თავი დაიცვას სიცხე-სიცივისაგან, ორგანიზმის დაზიანებისაგან, განა მქისედ გაწყობილი ბალანი ან ცხვრის მატყლი, გნებავთ ფრინველის ბუმბული ამ მოვალეობას უფრო ცუდად შეასრულებდა? შეიძლება ქურქმა ვერ გაგათბოთ ისე, როგორც ცხვარს ათბობს მისი მატყლი.

ამდენად, უძლურია და დაუმტკიცებადი ის წარმოდგენა, რომელიც ბუნებას მზრუნველად და გონიერად თვლის. ბუნებაში ყველაფერი კარგად არის გამიზნული არა თვით ბუნებისაგან, არამედ იმისაგანაც, ვინც ბუნებაზე მაღლა დგას და ვისაც ზრუნვა და გონიერება მიეწე-



იაფეთ ქიშვარი იერუსალიმში

რება. „მარტივად ვთქუა, ცხოველთა ცხოვრება და არსთა არსება ყოველისავე ცხორებისა და არსებისა მიზეზთა დაე დასაბამ მისითა მით არა არსისაგან არა-სად მიმყვანებელითა... სახიერებითა“ (პეტრე იბერი, საღმრთო სახელთათვის, § 3).

დედამიწის ყველაზე უნაყოფო ადგილებში, უდაბნოებში, მარადიულ ყინულებში არსებობს ფლორა და ფაუნა, შეგუებული ბუნების მკაცრ პირობებს.

რა საკვირველია აქლემის აგებულება: ეს უზარმაზარი ძუძუმწოვარი ცხოველი თვეობით შიმშილსა და წყურვილს იტანს, რადგან მას შეუძლია თავის ორგანიზმში შეინახოს ქონისა და წყლის მარაგი. აქლემი ცხელი უდაბნოს წინააღმდეგ, ხოლო თეთრი ირემი ცივი პოლარული უდაბნოს წინააღმდეგ. გასაოცარად უპირისპირდებიან ეს უზარმაზარი ძუძუმწოვრები ბუნების სიმკაცრეს და სხვა... არსებებთან ერთად სიცოცხლე და სილამაზე შეაქვთ მასში. „... ხოლო, უდარესთა მათსა გრძნობითად და სხუათა ცხოველობისა აღძვრითად, გინა არსებითად ანუ წესისა მათისა მარჯვებიბითად...“ (პეტრე იბერი, საღმრთო სახელთათვის § 5, 15-20).

როგორც ვხედავთ, ამ ცხოველების გარეგნობასა და გამძლეობას, შეგუების უნარს ზენაარი აყალიბებს. ბუნება კი არ ზრუნავს მათზე — ბუნება უკარებაა და მკაცრი, იგი ყველაფრის მოსპობით იმუქრება — არამედ მზრუნველი ზრუნავს; იგი უქმნის ორგანიზმებს თავდაცვის ისეთ საშუალებებს, რასაც ჩვენ სრულიად ვერ მოვიფიქრებდით.

აქვე ჩანს მიზანიც — ყველა ცოცხალი არსება აღჭურვოს მისთვის შესაფერი თავდაცვის საშუალებებით ისე, რომ არსებულ პირობებს შეეგუოს, თანაც ყოველგვარი სიტლანქის გარეშე. ცხოველები არ კარგავენ სითამამეს, სილამაზეს, უნარს არსებობისა და გამრავლებისა, შეუმოსავი და უპატრონო არავინ რჩება გამგებლის მადლით. „ველნი შენნი აღივსნეს სიპოხითა. განაპოხნეს მშვენიერება უდაბნოსა და სიხარული ბირცვთა შეიმოსონ, შეიმოსნენ ვერძნი ცხოვართანი და ღელეთა განამრავლონ იფქლი, ღაღადებდნენ და გალობდნენ“ (ფსალ. 64, 11-13).

ბუნება არის თავისი თავის შემოქმედი? უხილავის მიზანი თავისთავად დიადია და ვლინდება მთელს პლანეტაზე სხვადასხვაგვარ პირობებში მრავალფეროვანი სიცოცხლის შექმნით. ეს ყოველივე ბუნებრივად გვეჩვენება, ვინაიდან ჩვენც ბუნებაში ვართ და ჩვენს ირგვლივ ბუნებაა. ბუნება თავისი მრავალფეროვნებით ბუნებრივად გვეჩვენება, ბუნებრიობა კი, ჩემი აზრით, საკვირველი წესრიგია. მასში არსებული საკვირველებანი ბუნების მიღწევა გვგონია, მაგრამ თვით ბუნება ყველა თავისი საკვირველებით სხვა. რა უნდა იყოს, თუ არა წარმოებული და აგებული გონიერი ძალის ქმედებით, მაგრამ არა ხელოსნურად ნაკეთები, არამედ ქმნილი, რომელსაც ნაკეთობის ნასახი არ ეტყობა; მდიდარი იმ საკვირველებით და იმ მაღალი აზრობრივი პოტენციით, რომელსაც ქმნილებანი იტევენ. ყოველივე დაკვირვებით მოგვეცემა, თუ კარგად ჩავწვდებით „ქმნულთა ხელთა მისთასა მიუთხრობს სამყარო“ (ფსალ. 18, 1-2). რას მოგვითხრობს სამყარო? — იმას, რომ ბუნებაში ყოველივე ღვთის მიერ არის ქმნილი, ამას თავისი ბეჭედი აზის და მას უნდა ამოცნობა ისე, როგორც ეს ამოიცნო წინასწარმეტყველმა უტყუარი სიბრძნით და ჩვენც მოგვიწოდა მისი ამოცნობა.

ვინ არის შემოქმედი? ბუნების ხილულ ლაბორატორიაში შემოქმედის უხილავი ხელი მუშაობს. შემოქმედება ლიტონი სიტყვა როდია, მას მყარი საფუძველი აქვს. ამისი მაგალითია მთელი სამყარო. სამყარო უჩინარის მოქმედების ხილულად გარდაქმნაა, ხოლო რაც უხილავია და უხილავისავე ხელით შექმნილი, მას საიდუმლო ბურუსი ფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავს (არა საერთოდ, არამედ ჩვენთვის).

ახლახან ინგლისელმა მეცნიერებმა გამოაქვეყნეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თანამედროვე ტექნიკის ბაზაზე შეუძლებელია შეიქმნას ხელოვნური ტვინი, რომელიც ადამიანის ტვინის მაგივრობას გასწევდა. თითოეული უჯრედის მოცულობა 1 სმ³ იქნებოდა. ასე შექმნილი ხელოვნური ტვინი ადამიანის ტვინის ფუნქციას შეასრულებდა მხოლოდ ნაწილობრივ. თანაც, ერთი ასეთი ხელოვნური ტვინის შექმნას ინგლისის მთელი წლიური შემოსავალი არ ეყოფოდა.

აქ ერთხელ კიდევ იგრძნობა ადამიანის სისუსტე, თუნდაც მიბაძვით, მეცნიერებას არ შეუძლია შექმნას მექანიკურად მართვადი ტვინი ადამიანის ტვინის ანალოგიით და ამით ერთხელ კიდევ დასტურდება ადამიანის თავის ტვინისა და ორგანიზმის იდეალური სირთულე. გამოდის, რომ ხელოვნური ტვინის შექმნა, თუნდაც ადამიანის ტვინის ანალოგიით, შეუძლებელი ყოფილა. ცხადია, დროთა განმავლობაში შეიძლება შექმნან თავისი თავის არმგრძნობი მანქანა, ადამიანის ტვინის ფუნქციის ნაწილობრივ შემსრულებელი „ხელოვნური ტვინი", მაგრამ ამგვარი მანქანა გონიერი იქნებოდა არა თავისით, არამედ მისი შემქმნელი გონებით, ე. ი. ადამიანით.

ასევე გონიერია არა თავისით, არამედ მსოფლიო გონებით ადამიანი. გონიერება მას მინიჭებული აქვს მისი გაჩენის დღიდან, „მსოფლიო გონების" გარეშე ჩვენ არ შეგვიძლია აზროვნება არც ერთ წუთს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან იმის თქმა გვინდა, რომ უკეთესია ადამიანი იყოს თავმდაბალი და მაძიებელი, გამოიძიოს უფალი მშვიდად, როგორც დავით წინასწარმეტყველი იტყოდა, არ გაამაყდეს და ყველაფერი თავს არ იდვას და არ დაუპირისპირდეს ქვეყნის შემოქმედს, არ წარმოიდგინოს თავისი თავი სამყაროში ყველაზე გონიერად და უკეთესად: „რამეთუ ამპარტავანთა შემუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი თვისი". რამეთუ არც ერთი ნიუანსი ადამიანის ორგანიზმში არ არის ადამიანის მიერვე ქმნილი, ამ სიტყვის კარგი გაგებით. ასევეა გონებრივ სფეროშიც.

ყოველი გამოგონება არსებულის ახლებურად ამოცნობაა, ღვთისგან გადმოცემული, ანუ მონიჭებული ყოველი სიკეთე შეფარდებულია თავისუფლებასთან, რომელიც დაბადებიდან ენიჭებათ ცოცხალ არსებათ.

რატომ უნდა იყოს ადამიანისათვის სათაკილო გამოიძიოს უფალი, ამაღლდეს განსჯით და ცნობიერებით, ისწრაფოს მარადიული მშვენიერებისაკენ, ე. ი. ელტვოდეს იმას, რაც სათნო ეყოფვის უფალს და უკუაგდოს ის, რაც ბღალავს სიწმინდეს, კანონიერებას, სამართლიანობას?

როგორ უნდა დავაჯეროთ ურწმუნო, რომ სარწმუნოების საიდუმლოებაში შესვლა ამაღლებს ადამიანს, რომ რწმენა გვასწავლის ჰუმანიზმს, გამტანობას, მოთმინებას და გვაიარაღებს წმინდა მცნებით „მერმისი ცხოვრებისათვის"?

უკეთესია სასწაულის ბარეშე ვირწმუნოთ. პატივს სცემთ წარსულს, მამა-პაპათა აჩრდილებს, მათ რწმენასა და საქმეთ? იქნებ თქვენ ისინი გაუნუვითარებელ, ცრუმორწმუნე ადამიანებად მიგაჩნიათ? კითხულობთ ძეგლების ნაწერებს, ჰაგიოგრაფიული მწერლობის დიდებულ ნიმუშებს?

„არა, — მეუბნებიან, — იქ ხელების ფათური ჩვენ არ გვარგებს, იქ ცრუ სასწაულები უფრო მეტია, ვიდრე სინამდვილე. სასწაულებისა ჩვენ არაფერი გვჯერა, ისინი გამოგონილია ადამიანის თვალის და გონების მოსატყუებლად". ნუთუ თქვენთვის ყველა სასწაული ცრუა? არც ერთის არაფერი გჯერათ?! იყვნენ ადამიანები, რომელთაც სასწაულების „ენციკლოპედია" შეადგინეს, მაშ, ტყუილად იშრომეს მათ?

„სასწაული ის არის, რაც ჩვენ არ გვინახავს, არ დავსწრებივართ და გვჯე-

რა“. ჩვენ, ადამიანებს, ერთმანეთის ნდობა და დაჯერება რომ არ გვქონოდა, ვერავითარ ცოდნას ვერ შევიძენდით. რამდენი რამ არის ისეთი, რის ცოდნასაც სხვებისაგან ვიძენთ(მეცნიერული აღმოჩენები, საერთოდ ისტორია) და საერთოდ ჩვენი მე არ დასწრებია?

თითქოს სწორია, როცა ღვთის არსებობის დასამტკიცებლად სასწაულს ითხოვენ, თუმცა ქრისტემ უარყო სასწაულებით რწმენის მიღება: „ნათესავი ბოროტი და მემრუშე სასწაულს ეძიებს და სასწაული არა ეცეს მას, გარნა სასწაული იგი იონა წინასწარმეტყველისაი, რამეთუ იგი იონა მუცელსა ვეშაპისასა სამ დღესა და სამ ღამე...“ (მათე 12,39-40).

ასეა, როცა თქვენ ღვთისადმი გმობითა ხართ გამსჭვალულნი, ვერ იხილოთ სასწაული და საიდუმლო გამოცხადებანი.

თუნდაც უბრალო სასწაული გვიჩვენეთ, მეუბნებიან, მაგრამ სასწაული სასწაულია და მასზე უბრალო არ ითქმის. ის ყოველთვის დიდია და საოცარი, როგორც მისი მოქმედი ძალა. უკეთესია განვიხილოთ ისეთი სასწაულები, რომლებიც უფრო მარტივია (არა უბრალო) და ადვილად შესამეცნებელი.

ერთი ფილოსოფოსი ფიქრობდა: სასწაული რომ დამაჯერებელი იყოს, მას უნდა ჰქონდეს სიცხადე და ხანიერება დროში, ე. ი. მალე არ უნდა ქრებოდეს, რათა ჩვენი შემმეცნებელი გონება არ იქნეს მოტყუებული და შეცდენილიო. ამავე დროს, იგი დასძენდა, რომ ერთი ნამდვილი „სასწაულის“ ხილვაც საკმარისია, რომ ადამიანმა ირწმუნოს.

ეთანხმებით თუ არა ამ ფილოსოფოსის აზრებს? რა თქმა უნდაო, მეუბნებიან; მაგრამ სად არის ნამდვილი სასწაული? გვიჩვენეთ იგი, თუ თქვენ ღვთის მონა და მორწმუნე ხართ, გამოითხოვეთ ღვთისაგან ისეთი რამ მოვლენა, რაც გაგვაოცებს და მაშინ რა უფლება გვაქვს არ დაეჯეროთ? მაგრამ ამგვარ გამოთხოვაში თქვენ სუსტნი ხართ, ან იმიტომ, რომ თქვენი უფალი თქვენ არ გისმენთ, ანდა იმიტომ, რომ იგი საერთოდ არ არის, რომ არსებობდეს, მოგისმენდათ და არც ჩვენ დაგვტოვებდა მთლად ყურადღების გარეშე, თუნდაც ურწმუნოდ.

— მოექეცით ჩიხში? — ღიმილით მითხრა მეორემ, რომელიც ყურადღებით უსმენდა მეგობარს.

— პირიქით, მე გახარებული ვარ, რომ ერთი ნაბიჯი მაინც გადმოდგით წმინდა ლამპრისაკენ. ახლა მე გიამბობთ საყოველთაო და მარტივ სასწაულებზე, რომელთაც მოეპოვებათ გარკვეული სიცხადე და სიმყარე დროთა სვლაში და თანაც ადვილად სახილველია მსურველთათვის.

(სასწაული პირველი: თქვენ ყველას გაგიგონიათ აიაზმის წყალი, წმიდა წყალი, ნაკურთხი წყალი.. ეს არის ჩვეულებრივი წყალი, რომელიც კურთხევის შემდეგ იძენს არაჩვეულებრივ თვისებას, ხდება უხრწნელი. ვინ არ იცის, რომ წყალი, აღებული თუნდაც სუფთა ჭურჭელში, რამდენიმე დღეში, სითბოა თუ სიცივე, იწყებს ხრწნას, ეცვლება გემო და სუნი.

ზოგიერთმა ურწმუნომ, ნაკურთხი წყლის ამ საოცარ თვისებას, სიანკარესა და უხრწნელობას რომ ვერაფერი მოუხერხა, აბსურდული რამ მოიგონა. ბევრი ამტკიცებს და იქნებ თქვენც, რომ ნაკურთხი წყლის საოცარი თვისება სხვა არაფერია, თუ არა ხელოვნურად შექმნილი, თითქოსდა მღვდლები მასში ურევენ რაღაც ქიმიურ ნივთიერებას, რაც წყალს ანიჭებს შენახვის უნარს, თუმცა ვერ ასახელებენ ამ ნივთიერებას.

ბევრი აჰყვა ამგვართა ფეხის ხმას. კარგა ხნის წინათ საოლქო გაზეთ „ქუთაისში“ (როცა ქუთაისი ცალკე ოლქად იყო გამოყოფილი) დაიბეჭდა პრეტენზიული სტატია: „რატომ არ ფუჭდება ნაკურთხი წყალი“, სადაც ავტორი, საქმეში ჩაუხედავად, ბავშვური უცოდინარობითა და გულუბრყვილობით ლაპარაკო-

ბდა: ნაკურთხი წყალი იმიტომ არ იხრწნება, რომ კურთხევის დროს რელიგიის მსახური მასში ვერცხლის ჯვარს გაავლებს რამდენჯერმე. ვერცხლს კი აქვს თვისება დახოცოს ბაქტერიები, რომლებიც იწვევენ წყლის ხრწნას.

„...თუმცა, — აღნიშნავდა ავტორი,— თუ ასეთ ნაკურთხ წყალს ხანგრძლივად თავახდილს დავდგამთ და დროთა განმავლობაში მტვერი ჩავა შიგ, იგი აუცილებლად გაფუჭდება, რადგან მტვერთან ერთად მასში მოხვდება ჰაერში მყოფი ბაქტერიები, რომლებიც ხელს უწყობენ ხრწნას“.

ავტორს ეტყობა, არ ესმის „ნათლის წყლის“ ის წმიდათაწმიდა თვისება. რაც გაოცებას იწვევს. ჩემი მოპაექრენი ცნობისმოყვარეობით მომჩერებიან.

„ჯერ ერთი, წყალში ვერცხლის ჯვრის ამოვლება აქ არაფერ შუაშია, შეიძლება ჯვარი დამზადებული იყოს სულ სხვა მასალისაგან (გნებავთ, ლითონის, ხის, ქვის). ამავე დროს, მტკიცედ უნდა განვაცხადოთ, რომ ვერცხლის ამოვლება ხანგრძლივად ვერ დაიცავს წყალს გაფუჭებისაგან, თანაც რელიგიის მსახურს საშუალება არა აქვს ყველგან გამოიყენოს ვერცხლის ჯვარი. ნათლისღების დღეს ეკლესიაში მრავლად მოაქვთ ვიწროყელიანი ჭურჭლით წყალი საკურთხებლად, რომელშიც ვერცხლის ჯვრის ჩაყოფა შეუძლებელია. წყალს აკურთხებენ ონკანიდან და არა მგონია, რელიგიის მსახურმა გატეხოს წყალსადენის მილი და შიგ ვერცხლის ჯვარი მოათავსოს. ყველა წყალს, სხვადასხვა პირობებში ნაკურთხს, ერთნაირი, უცვლელი თვისება აქვს: უხრწნელობა, ყველგან, ყოველთვის, სულერთია ჭურჭელი ღიაა თუ დახურული (ოღონდ უნდა იყოს სუფთა, წაუბილწავი), წყალი მუდამ ინარჩუნებს წმინდა თვისებას.

მოგიყვანთ მაგალითს: დედაჩემი ნაკურთხ წყალს ინახავდა თავახდილ ლიტრიან ჭურჭელში. ერთხელ ვნახე, რომ ჭურჭელში მწვანე ხავსი გაჩენილიყო, მაგრამ საოცარია, რომ წყალი მაინც სუფთა და გამჭვირვალე დარჩენილიყო.

— რამდენი ხანია ეს ჭურჭელი ასე თავღიაა? — ვკითხე დედაჩემს.

— ორ წელიწადზე მეტია, შვილო, — დინჯად მიპასუხა, აი, შიგ წყალმცენარეც ჩასახლებულა, მაგრამ მაინც უხრწნელია, არაფერი ეტყობა.

რა უნდა შეეტყოს „ნათლის წყალს“, რა გააფუჭებს, — მიპასუხა დედამ, დარწმუნებულმა იმაში, რომ ეს არის უცვლელი კანონი, — ოდითგან მოდის ასე, უხსოვარი დროიდან, და ამგვარად შენახულ წმინდა წყალს იყენებენ ბევრ რამეში: დასალევად, ავადმყოფთათვის სამკურნალოდ, შერყვნილი ჭურჭლის აღსადგენად, სახლსა და ეზოში მოსასხურებლად, რათა უწმინდური ძალა განდევნონ და სხვ.

მეორე შემთხვევაში, მე თვითონ მქონდა ნაკურთხი წყალი ღია ბოთლში შენახული 4-5 წელიწადს. შიგ, რა თქმა უნდა, მტვერიც ჩადიოდა და ხრწნის გამომწვევი ბაქტერიებიც ბლომად მოხვდებოდნენ. დროთა სვლაში წყალი თანდათან ორთქლდებოდა, იპარებოდა. მაგრამ იგი მთავარს, უხრწნელობის თვისებას არ კარგავდა უკანასკნელ წვეთებამდე.

ბევრს დღესაც აქვს შენახული ნაკურთხი წყალი 15-20 და 25 წლისაც კი, მაგრამ მათ წარმოდგენაც არა აქვთ, თუ ოდესმე აიაზმის წყალი გაფუჭდება.

აი, ის სასწაული, მუდამ საჩვენებელი, რომელიც შეიძლება ადვილად ვნახოთ და შევამოწმოთ კიდეც. მას არც სიცხადე აკლია, არც სინათლე, და არც დაყოვნება დროში. იგი ღვთისაგან დაკანონებული მუდმივი სასწაულია. აღსანიშნავად იმ დიდი სასწაულისა, როდესაც ქრისტე ღმერთმა ნათელიღო მდინარე იორდანეში და წყალი იგი, რომელიც შეეხო მაცხოვრის სხეულს, უხრწნელ იქმნა. წყალი არა მარტო იმ მდინარისა, არამედ მისი სახელით წყალი მთელი დედამიწისა. როგორია ამ სასწა-

ულის არსი? რა საკვირველება მოხდა მაშინ? დავით წინასწარმეტყველი წინასწარ გვამცნობდა ამის შესახებ: „იორდანე უკუნ იქცა, მართლ უკუნ“. როგორი დიდი ძალა ჩავიდა მდინარის წიაღში ნათლისღებად, რომ მდინარე იორდანე მეყვსეულად უკუ იქცა და აღმართ იწყო დინება! ჰოი, სასწაულო უსაკვირველესო, ვის უნდა შეხებოდა მდინარე იგი, რომ შეძრწუნებული უკუქცეულიყო და აქვე გამოჩენილიყო წმიდა სამებაც! უფრო დიდი სასწაულის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. თქვენ რას იტყვით, ბატონებო?

მეორე სასწაული შეიძლება მოგითხროთ ისეთი, რომლის სანახავად და შესამოწმებლად შორს წასვლა არ დაგვჭირდება.

ბევრი ინახავს წითელ კვერცხს წლობით, აღდგომა დღეს ლიტონიობაზე შემოტარებულს. ასეთ კვერცხს ლიტონიის კვერცხს უწოდებენ. ერთ ბერთან ვნახე კვერცხები, წლობით შენახული უხრწნელად. მეცა მაქვს ასეთი კვერცხები შენახული აი უკვე რამდენიმე წელია. საქმე ის არის, რომ სხვა კვერცხი, თუნდაც შეღებილი, ფუჭდება, თუ ლიტონიისა არ არის. თანაც, კვერცხი ლიტონიობაზე შემოტარებული უნდა იყოს აღდგომა დღეს. ნაკურთხი წყლის მსგავსად, როგორც ეტყობა, ლიტონიის კვერცხსაც ენიჭება უხრწნელობის თვისება. ვინც ამგვარ წმიდა საბუთებს ეჭვის თვალით შეხედავს, მას შეუძლია თვითონ შეამოწმოს ჩვენი ნათქვამი.

სასწაული მესამე: მაცხოვრის საფლავზე, ყოველ აღდგომას, ერთი რომელიმე სასულიერო პირის სანთელი ინთება ღვთიური ცეცხლით, ხოლო დანარჩენები მისგან უკიდებენ სანთლებს. იქმნება ოხვრა და სიხარული, ცრემლთა წვიმა მლოცველთა შორის (თუ საშუალება გაქვთ, აღდგომის ღამეს დაესწარით იერუსალიმში და ამ სასწაულს თქვენი თვალით იხილავთ).

სასწაული მეოთხე: უფრო ადვილად შეიძლება მოინახულოთ „სანტა მარიას“ მონასტერში მინის სარკოფაგში მდებარე ვინმე მონაზონის ტერეზას გვამი, რომელიც 350 წელზე მეტია გაბსვენებულია და დღემდე უხრწნელია არა ბალზამისა და რაიმე სხვა წამლის მეშვეობით, არამედ თავისთავად: იგი წევს როგორც ახლად მიძინებული (შინაგანი ორგანოებიც შენახულია). ამ უიშვიათესი შემთხვევისა და სასწაულის გამო მეცნიერების წინაშე ისმის კითხვა: რით არის განსაზღვრული გვამის საკვირველი უხრწნელობა საუკუნეთა განმავლობაში. დღემდე ეს კითხვა უპასუხოდ რჩება.

ჩვენი ქვეყნიდან ვინმე ათეისტმა მეცნიერმა ამგვარად ახსნა ეს საოცრება: გვამზე მოქმედებს ესპანეთის მშრალი ჰავა, რომელიც უხრწნელად ინახავს გვამს. გაკმაყოფილებთ თუ არა ეს პასუხი? მოსაუბრენი თავს გაურკვევლად აქნევენ: არ ვიცით რა ვთქვათ, თუ სადმე არსებობს ასეთი გვამი... ის ჩვენ არ გვინახავს და ძნელია განსჯა.

— რომ გენახათ ისეთივე მდგომარეობაში, როგორც მე გადმოგეცით?

— რა შეიძლება ითქვას, საოცრებაა, მაგრამ რა აზრი უნდა მიუსადაგო, რითი უნდა ახსნა?

მეორემ გაბედა და თქვა: განა ესპანეთის მშრალმა ჰავამ მხოლოდ ეს გვამი შეინახა სტერილურად? სხვებიც თუ არიან შენახულნი?

— არავინ, — ვპასუხობ მე.

— ე. ი. აქ ესპანეთის ჰავა არაფერ შუაშია.

სასწაული მეხუთე: მე თქვენ მოგითხრობთ ისეთ სასწაულებზე, რომლებიც თქვენი თვალით შეიძლება შეამოწმოთ.

ერთი უდიდესი საოცრებაა დღემდე მეცნიერებისაგან აუხსნელი, ცეცხლის სტიქიის გაუვნებლობა. რას მივაწეროთ ის, რომ ზოგი ადამიანი არ იწვის ცეცხლში? ცეცხლში იწვის ქვაც და მიწაც და ნუთუ შეიძლება ადამიანის ორგანი-

ზმი არ დაიწვას? თითქოს შეუძლებელია მაგრამ ფაქტები სხვას დადადებენ. მოვიყვანთ ამონაწერს ჟურნალიდან:

„XIX საუკუნიდან მოყოლებული ეთნოგრაფები დაუღალავი კვლევა-ძიების შედეგად ავლენენ და ყოველმხრივ სწავლობენ ადამიანის სულიერ სამყაროში, მის სამეურნეო ყოფასა და მატერიალურ კულტურაში სპონტანურად შემონახულ, თანამედროვე საზოგადოებისათვის უცნობ, ზოგჯერ გაუგებარ მოვლენებსა და ელემენტებს. ამჟამად მათ მიერ უკვე ბევრი რამაა გაშუქებული, დადგენილია ამა თუ იმ წეს-ჩვეულების წარმოშობის მიზეზები და დანიშნულება, მაგრამ ჯერ კიდევ გვხვდება საოცარი და ბურუსით მოსილი პრობლემები, ერთ-ერთი ასეთი დღემდე აუხსნელი საოცრება ცეცხლზემავლობა — სარიტუალო სიარული გავარვარებულ ქვებსა და ნაღვერდლებზე... „ცეცხლზემავლობის წეს-ჩვეულება დღემდეა შემონახული აფრიკის, იაპონიის, ინდოეთისა და ინდონეზიის მიკრორაიონებში, აგრეთვე ოკეანიაში. მაგ., ოკეანიაში, ფიჯის არქიპელაგის ერთ პატარა კუნძულ მბენგაზე ცეცხლზემავლობის რიტუალი დღესაც დიდი გულმოდგინებით სრულდება". („მეცნიერება და ტექნიკა", 1979, გვ. 46-49).

შემდეგ ავტორი აღწერს, თუ როგორ ამზადებენ ორმო-კალოს რიტუალისათვის: განთიადისას ანთებენ უზარმაზარ კოცონს და როცა ცეცხლი დანაკვერჩხლებას იწყებს და გაავარვარებს ქვის ფიქალებს, ამ დროს, ერთიმეორის მიყოლებით, ტყიდან გამოდიან ფეხშიშველი მამაკაცები. ქურუმის შეძახილზე „ავუტუ" მამაკაცები თანამიმდევრულად შედიან ცეცხლში და გავარვარებულ ქვებზე იწყებენ რიტმულ როკვა-სიარულს. ერთ შემოვლას ოციოდე ნაბიჯი სჭირდება. სამჯერ შემოვლის შემდეგ რიტუალის მსახურნი კოცონის ცენტრში ფოთლიან ტოტებს ყრიან, ალი კვლავ იწყებს ფეთქვას და მოცეკვავეებიც კოცონის შუაში შედიან. ამ დროს მათი ცეკვა შედარებით სწრაფია და ომახიანი სიმღერით სრულდება. როცა კოცონი დაფერფლას იწყებს, მოცეკვავენი, კვლავ ერთმანეთის მიყოლებით, ცეკვა-სიმღერით გამოდიან ცეცხლიდან და კოცონის ახლოს სხდებიან დასასვენებლად. მაგრამ სიდამწვრე?

ამ საშიშ რიტუალს, რომელიც, რა თქმა უნდა, საყურებლადაც საშიშია და შემაძრწუნებელი, დაესწრო ინგლისელი ეთნოგრაფი დევიდ ანთენბორო, რომელიც გაოცებული წერდა თურმე: არც ერთ მამაკაცს არ ეტყობოდა სიდამწვრის რაიმე ნიშანი. შემოწმებითა და გამოკითხვით ის იმაში დარწმუნდა, რომ ცეცხლზე მოცეკვავენი არც წინასწარ და არც ცეცხლიდან გამოსვლის შემდეგ ტერფებზე არავითარ წამალს არ ისვამდნენ.

ამის შემდეგ განა ასე საეჭვოა იმ გადმოცემათა ჭეშმარიტება, ქრისტიანობის ისტორიიდან რომ არის ჩვენთვის ცნობილი? მოვიგონოთ თუნდაც წმიდა გიორგის საკრეში ჩაგდება და მისი იქიდან უვნებელი ამოსვლა... შეიძლება ეს სასწაული ძველია, თქვენ იგი არ გინახავთ, და ამიტომ ვერც ირწმუნებთ მას. კეთილი. მაგრამ რაღას იტყვით იმავე ჟურნალში, იმ სტატიაშივე მოყვანილ სხვა, ასე ვთქვათ, თანამედროვე ფაქტზე? როგორც ავტორი გადმოგვცემს, ბულგარეთში ბურგასის ოლქში, სოფ. ბელგარიაში, დღესაც სრულდება ქრისტიანული რიტუალის სახით ე. წ. ნესტინარობა. ეს რიტუალი წელიწადში ერთხელ, მაისის თვის 21 რიცხვში, წმ. ელენესა და კონსტანტინეს რელიგიური დღესასწაულის დროს იმართება ხოლმე. ელენე და კონსტანტინე ბულგარელთა წარმოდგენით ბარაქიანობისა და ჯანმრთელობის მფარველ ღვთაებებად ითვლებიან. ცეცხლზემავლობას ასე აგვიწერს ავტორი: დანაღვერდლებულ ცეცხლთან, რომელსაც ალმური ასდის, ქალთა გუნდს მიჰყავს ფეხშიშველი ნესტინარკა. მას ხელთ ქრი-

სტეს ხატი უპყრია, მაღლა აწეული. ნაღვერდლის ირგვლივ იმართება ფერხული და სიმღერა. ნესტინარკა თამამად დგება ნაღვერდლებზე და ნელა იწყებს როკვას, თანდათან უმატებს სიჩქარეს და მეფერხულეებთან ერთად ჯანმრთელობასა და ბარაქას შესთხოვს მათ მომნიჭებელ წმინდანებს — ელენესა და კონსტანტინეს. ცეკვა მანამ გრძელდება, სანამ ნაკვერჩხალი ჩანაცრებას დაიწყებს. ცეცხლიდან სრულიად უვნებლად გამოსული ნესტინარკა ძალზედ დაღლილი, უკვე სხვა ექსტაზში გადადის, იგი ქადაგად ეცემა და იწყებს მომავლის წინასწარმეტყველებას. თანასოფლელებს ამ ქადაგება-წინასწარმეტყველებისა ღრმად სწამთ.

როცა ნესტინარკას ეს ექსტაზი გაუვლის, პატივით აცილებენ შინ და ისიც, თითქოს არაფერი მომხდარაო, მაშინვე ებმება საოჯახო საქმიანობაში.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, ნესტინარკა ნაკვერჩხლებზე დადგომამდე ან შინ დაბრუნების შემდეგ რაიმე ბალზამს ისვამდეს ტერფებზე, სრულებითაც არა. ასევე ფსიქო-ფიზიოლოგები ფიქრობენ, რომ ადამიანს სიდამწვრისაგან იცავს შთაგონება; მაგრამ ძალუძს შთაგონებას, თვითშთაგონებას კუნთები აქციოს ისეთ ნივთიერებად, რომელიც არ იწვის? მეცნიერს მართლაც დიდი დაფიქრება მართებს, მაცხოვარი ბრძანებს: თუ ცოდნა გაქვს, გაეცი, ასწავლე სხვასაც, თუ არა და „იყავ ხელი შენი პირსა ზედა“.

არავითარ სულიერ მდგომარეობას, არც სიმშვიდეს, არც შთაგონებას, არც გაბედულებას არ ძალუძს დაიცვას ადამიანი დაწვისაგან, მაშ, რა უნდა იცავდეს ადამიანს ამ შემთხვევაში? აქ პასუხი ერთია. მხოლოდ და მხოლოდ გარეგანი ძალა იცავს ამ დროს ადამიანს. რა თქმა უნდა, არა პასიური და უგონო, არამედ გონიერი. ვინ ან რა, ეს უკვე მეორე საკითხია. უნდა ვაღიაროთ, რომ მას იცავს საიდუმლო კეთილი ძალა. ამის მაჩვენებელია ისიც, რომ ცეცხლში მავალი ქრისტეს ჯვარცმით ხელში შედის ცეცხლში.

ავტორი ბოლოს მოკრძალებით ასკვნის: ამჟამად მეტად ძნელია გადაჭრით ითქვას რაიმე ცეცხლზემავლობის თავდაპირველ სამშობლოზე ან მისი წარმოშობის საწყისებზე. ამ პრობლემით დაინტერესებული ყველა მეცნიერი ჯერჯერობით სხვადასხვა აზრისაა. არანაკლებ სიძნელეებთანაა დაკავშირებული დაუმწვრობის საკითხის გარკვევაც. ასე რომ, „შთაგონებითი“ ცეცხლზემავლობა მეცნიერებისათვის კვლავ ამოუხსნელ ამოცანად რჩება.

აი, ბატონებო, კვლავ სასწაული, თვალისათვის ადვილად სახილველი და საკმაოდ მყოვარჟამიერი, რომელიც ცეცხლის სტიქიონს აუვნებლებს და კიდეც ჩაგრავს. ცეცხლში ცეკვავენ შიშველი ფეხებით და იგი არ წვავს. (მაზდეანელებს კი ცეცხლი ღმერთად მიაჩნდათ, ყოველთა სტიქიონთა მპყრობელმა ღმერთმა მის მორწმუნე ადამიანს ეს სტიქიაც დაუმორჩილა).

თუ გნებავთ, შეგიძლიათ ეწვიოთ იმ სოფელს ბულგარეთში, 21 მაისს წმ. ელენესა და კონსტანტინეს დღესასწაულზე და ნახოთ ეს ხალისიანი და საშინელი სასწაული.

ცეცხლზემავლობის (ცეცხლით გამოცდის) მსგავსი რამ საქართველოშიც ხდებოდა შუა და მომდევნო საუკუნეებში. კერძოდ მას მიმართავდნენ მაშინ, როცა საჭირო იყო დამნაშავის დადგენა. ამ დროს გაახურებდნენ პატარა გუთნის ან ჯილლის სახნისს გავარვარებამდე და ეტყოდნენ ეჭვმიტანილს, რომ მას შიშველი ხელებით ეტვირთნა სახნისი, რამდენიმე ნაბიჯი გადაეგდა და შემდეგ გადაეგდო. თითქოს მოსალოდნელია, რომ გავარვარებული რკინის ხელში დაჭერა თუნდაც რამდენიმე წამით ხორცს ამოწვავდა; მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ ხდებოდა: ის, ვინც მართალი იყო, მშვიდად იღებდა ხელში გა-

ვარვარებულ სახნისს, გაივლიდა რამდენიმე ნაბიჯს და გადააგდებდა მას. მსგავსად „ნესტინარკასი“, რომელსაც ფეხების არავითარი დამწვრობა არ ეტყობოდა, მის ხელებსაც არ ეტყობოდა დამწვრობის კვალი, ხოლო დამნაშავეს, შეეხებოდა თუ არა სახნისს, ხელები ებუგებოდა, ამიტომ დამნაშავენი სახნისის აღებამდე აღიარებდნენ ხოლმე დანაშაულს.

თუ რა ძალა წარმართავდა ხოლმე ყოველივე ამას, ვინ ამართლებდა უდანაშაულოს და ავლენდა დამნაშავეს, არ არის ძნელი მისახვედრი: „ვინაითგან კაცთაგან შეუძლებელი, შესაძლებელ არს ღვთისაგან“.

მინდა დავუმატო, რომ რწმენა ეჭვისა და გამოძიების გარეშე არავის მიუღია. არც ერთი ნორმალური ადამიანი არ მიიღებს ფანტაზიას ჭეშმარიტებად. ყველა გონება მაძიებელია, რა თქმა უნდა, მეტნაკლებად. ღმერთის რწმენა გულისხმობს არა ცოდნას უმაღლესი არსებისა, არამედ მიხვედრას და დაჯერებას იმისას, რომ იგი არსებობს. ღმერთის რწმენა საერთოდ ყოველგვარ რწმენაზე მაღლა დგას. ეს რწმენა იმედითა და სულიერი სიმტკიცით აიარაღებს ადამიანს. ამავე დროს, თვით რწმენა სიმტკიცეს მოითხოვს. მაცხოვარი მოციქულთ და მოწაფეთ მხოლოდ მტკიცე რწმენას სთხოვდა: „რწმენა გქონდეს, უთხარი აგერ აი იმ მთას, აღიფხვერ მაგიერ ძირითურთ და შთავარდი ზღვად, არა შეორგულდე რწმენასა შენსა და ეგრეთ იყოს; რწმენა გქონდეს, ვითარცა მარცვალი მდოგვისა... მორწმუნისაგან ყოველივე შესაძლებელ არს...“. ამავე დროს იგი ამბობდა: იყავ ან ცხელი, ან ცივი, და ნუ იქნები ნელთბილი (ე. ი. იყავი ან სრული მორწმუნე და ან სრული ურწმუნო). ნელთბილი ადამიანი უფალს სძულს.

დანტემ ასეთი ნელთბილნი მოათავსა ჯოჯოხეთის შესასვლელში, „სადაც

„...ისჯებიან იმათნი სულნი,
მოკვდავთა შორის უბადრუკნი ვინც
იყვნენ; ვინაც
ვერ გახდა ღირსი იქ ვერც ქების,
ვერც გინებისა.
ბინა მიეცა მათ იმ უღირს
ანგელოზთ შორის,
რომლებიც უფლის არც ერთგული,
არც მოღალატე
არა ყოფილან, — თავისათვის
ზრუნავდნენ მხოლოდ.
ზეცამ დაიცვა სისპეტაკე თავისი
მათგან
ოვით ჯოჯოხეთიც არ განიხვნა
იმათ წინაშე,
არარაობას ბოროტებამ შეხედა
ზიზღით...“
(დანტე, „ღვთაებრივი კომედია“,
ქება მესამე)

ეს არც უნდა გაგვიკვირდეს, ხომ ბრძანა უფალმა: „ეიცი საქმენი შენნი, რამეთუ არცა გრილი ხარ, არცა ტფილი. ჯერ იყო რათამცა ანუ გრილი იყავ, ანუ ტფილი. არამედ ასრეთ ნელ-ტფილი ხარ და არცა გრილი, არცა ტფილი, მეგულების აღმოგდებით შენი პირისაგან ჩემისა. რამეთუ იტყვ: მდიდარ ვარ და განვმდიდრდი და არარაი მეხმარებისა. და არა უწყი, რამეთუ შენ ხარ უბადრუკ და საწყალობელ და გლახაკ და ბრმა და შიშველ“.

„აჰა ესერა ვდგა კარსა ზედა და ვჰრეკ: უკუეთუ ვინ ისმინოს ხმისა ჩემისაი და განაღოს კარი, და შევიდე მის თანა და ვჭამო მის თანა სერი. და მან — ჩემთანა. რომელმან სძლიოს, მივსცე მას დაჯდომაი ჩემ თანა საყდარსა ჩემსა, ვითარცა იგი მე ვსძლიე და დავჯედ მამისა ჩემისა თანა საყდარსა მისსა, რომელსა ჰქონან ყურნი, ისმინენ, რასა ეტყვს სული ეკლესიათა“ (გამოცხადება იოანესი 3. 15-22)

2. „რელიგია“, № 4.

საბარბაროლის ბიბლიოთეკა

პ. ტივოლიე

არსებობს თუ არა ღმერთი?

არსებობს თუ არა ღმერთი? — ამ კითხვის პასუხად პირველ რიგში უნდა მივმართოთ უსულო საგნების სამყაროს, შემდეგ კი — ადამიანს.

1. სამყაროს პასუხი

ა) ციურ სხეულთა სამყარო.

დაკვირვებიხარ ვარსკვლავეთს მთვარიან ღამით? გიფიქრია სამყაროს უკიდეგანო სივრცეზე, მის მილიარდობით ციურ სხეულზე, გალაქტიკების სიმრავლეზე, სადაც იმდენივე მზეა, რამდენიც ქვიშის მარცვალი უდაბნოში.

პოლარული ვარსკვლავი ისე შორსაა, რომ მისი შუქი ჩვენამდე აღწევს მხოლოდ 47 წლის შემდეგ, არადა სხივი წამში 300 000 კილომეტრის სიჩქარით მსჭვალავს სივრცეს. ამ ვარსკვლავიდან ვინმეს რომ ფანტასტიკური ტელესკოპით შეეხედა დედამიწისთვის, იხილავდა მოვლენებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ჩვენი მამების ცხოვრების დროს 47 წლის წინათ, 1904-1905 წლებში. თანამედროვე მეცნიერებმა კი აღმოაჩინეს ვარსკვლავები, რომლებიც ჩვენგან 100 000 ჯერ მეტად არიან დაშორებული. ზოგი მათგანი საათში მილიონ კილომეტრზე უფრო სწრაფად მოძრაობს.

კანონები, ამ მილიარდობით წლის წინ შექმნილი უდიდესი საათის მექანიზმს რომ არეგულირებენ, დღესაც მუშაობენ და საყოველთაონი არიან... ეჭვგარეშეა, რომ სამყარო გეგმის მიხედვით იქმნებოდა. ასტრონომებს წინასწარ შეუძლიათ განსაზღვრონ კომეტათა გავლა, დაბნელებათა ზუსტი წუთები და ა. შ. ვინც ამბობს „კანონები", „მეცნიერული სიზუსტე", ყოველივე ამით ამბობს — გონება... ადამიანის გონებას კი ისინი არ შეუქმნია — მან მხოლოდ აღმოაჩინა ეს კანონები, ამოიკითხა ისინი საგანთა არსში... წიგნში, რომელიც დაწერილი იყო დიდი ხნით ადრე ადამიანის შექმნამდე!

მთელი სამყარო, ყველა ქმნილება გულისხმობს უმაღლესი გონების, უმაღლესი გენიის, მსოფლიო არქიტექტორის არსებობას... რაც სურთ, ის დაარქვან... მრავალი ადამიანი მას „ღმერთს" უწოდებს.

ბ) ატომთა სამალავებში.

თანამედროვე მეცნიერება ღრმად შეიჭრა მატერიის საიდუმლოებაში; იგი აღფრთოვანდა, როდესაც შეიტყო, რომ, მაგალითად, სათითეში შეიძლება მოთავსდეს 30.000.000.000.000.000.000 ჰაერის მოლეკულა. იგი უფრო შორს წავიდა და აღმოაჩინა შემადგენელი ნაწილები ატომისა —პაწაწინა მზის სისტემისა, რომელშიც ელექტრონები ბრუნავენ ცენტრალური ბირთვის გარშემო წამში 500 ტრილიონი ბრუნვის სიჩქარით. სწავლულებმა შეძლეს გამოეთავისუფლებინათ წარმოუდგენელი ძალა, რომელიც ერთ მთლიანობაში იჭერს ატომური ბირთვის შემადგენელ ნაწილებს. ეს მატერიის გახლეჩის ძალაა.

სწავლულებს ძალუძთ ახსნან მზის სინათლისა და სითბოს წარმოშობა, ჰაერის რხევა, ფერი, x სხივები, ყოველგვარი ტალღები... მათ შეუძლიათ გარდაქმნან ლითონები, ზოგიერთი მათგანი — ოქროდაც კი...

(აქაც... ნაპოვნი კანონები, წესები წარმოაჩენენ კონსტრუქტორის გეგმას, და, მაშასადამე, — გონებას, რომელმაც შექმნა ეს ქმნილებანი, მას რომ ემორჩილებიან: ესე იგი, არსებობს ძალა, რომელიც აიძულებს მორჩილებას.)

არსებობენ პირველადი პრინციპებიც კი, რომელთაც ვერ შეცვლის მსოფლიოს ვერც ერთი პარლამენტი, რადგანაც ისინი სამყაროში მაშინაც იარსებებდნენ, ადამიანი რომ არ ყოფილიყო, ადამიანი, რომელიც შეძლებდა მათს ფორმულირებას: „არარა არ ქმნის არაფერს", „არ არსებობს შედეგი მიზეზის გარეშე", „მთელი მის ნაწილზე დიდია" და ა. შ., მაგრამ იმისათვის, რომ არსებობდნენ სამყაროს წარმმართველი ეს პრინციპები, საჭიროა მათი წარმომსახველი გონება.

ეს გონება... მრავალი ადამიანი მას „ღმერთს" უწოდებს.

ბ) ცოცხალ არსებათა სასწაულები.

შეხედე ყვავილს... ბეჭედს... დააკვირდი ობობას მუშაობას, როცა იგი აბლაბუდას ქსოვს... ჭიანჭველას, როცა მას მიწისქვეშა ქალაქში გზები გაჰყავს, ფუტკრებს, თავიანთი სკის ფიჭას რომ აშენებენ...

ან შენი საკუთარი, ადამიანის სხეული, რა მშვენიერი ფაბრიკაა! როგორ შეხმატკბილებულად მუშაობს მასში ყველა საჭირო სამსახური: საკვების მომნელებელი სისტემა, სისხლძარღვები, სასუნთქი ორგანოები, მუსკულატურა... და კავშირი ტვინის მთავარ სადისპეტჩეროსთან ნერვების სატელეგრაფო ქსელის საშუალებით! როგორი კომპლექსია შესანიშნავი ორგანოებისა — კუჭი, რომელიც ამუშავებს ყველაფერს, თავისი თავის გარდა... მუდმივმომუშავე გული, რომელიც დღეში ასი ათასჯერ უშვებს სისხლის მდინარეს ორგანიზმის 800 მილიარდი უჯრედის საკვებად... ყური — ექვსიათას სიმიანი არფა, რომელიც აღიქვამს ბგერათა მთელ გამას... თვალი, რომლის ლინზა შეიძლება მიმართული იქნეს სივრცის ნებისმიერ მონაკვეთზე, თავისი რქოვანათი, მილიონ ნერვთა დაბოლოებას რომ შეიცავს, ისეთი ფოტოგრაფიული ფირი, რომლითაც შეიძლება უსასრულოდ სარგებლობა. აღქმული სახეები (თანაც ფერებში) წამის მეათასედში ცვლიან ერთმანეთს, ავტომატურად იზრდებიან (ჯერაც არ ვიცით თუ როგორ) მათ ჭეშმარიტ ზომებამდე.

დასასრულ, ეს მხედველობითი აპარატი აღჭურვილია ყველა ნანახი სახის „კარტოთეკით" და ადამიანს ძალუძს მეხსიერებაში გადაათვალიეროს თავისი ცხოვრების გარდასული სურათები.

საგნებში არის გონიერი აზრი... ამ აზრის მუშაობას ჩვენ თვალყურიც კი შეგვიძლია ვადევნოთ... ჩანასახი ვითარდება სივრცეში განსაზღვრული ფარული გეგმით. ეს გეგმა არსად არ არის ჩასახული და მისი პოვნა შეუძლებელია, მაგრამ მთელი განვითარება, ჩანასახიდან ორგანოების სრულ ჩამოყალიბებამდე მისი წყალობით ხდება. თვალი მშვენივრად იქნება შეთვისებული იმ ფუნქციასთან, რომელიც უნდა შეასრულოს, არადა, მთელი მისი ჩამოყალიბების პერიოდში იგი ვერაფერს ხედავს... მაგრამ ყველაფერი ექვემდებარება ცოცხლის ბრძანებას.

ყველა ამ სასწაულის გეერდით ადამიანის გამოგონებანი უფერულ ასლებად გამოიყურებიან. ყოველ შემთხვევაში, ეს სასწაულებრივი მექანიზმები ადამიანს არ გამოუგონებია თავისთვის — მის გონებას არ ძალუძს შექმნას საკუთარი ორგანოები. თავად ტვინი, რომელიც ყველა აღმოჩენისა და გამოგონების საფუძველია, არ წარმოადგენს ადამიანის

ნახელავს... საკვირველი არაა, რომ სამყარო მოგვეჩვენოს მანქანად, რომელიც ქმნის შესანიშნავად ორგანიზებულ არსებებს. ეს მანქანა უნდა აეგო გენიალურ კონსტრუქტორს, და რაც უფრო ბრძნულად გვეჩვენება იგი, მით უფრო გონიერი და ჭკვიანური უნდა იყოს მისი წყარო. რატომ არ ვუწოდოთ ამ პირველმიზეზს „ღმერთი"?

ორი უარყოფა:
მუდმივი მატერია და შემთხვევა.

გამოთქმა, რომ სამყარო ყოველთვის არსებობდა, არაფერს არ ხსნის, ზუსტად ისევე, როგორც არ შეიძლება აიხსნას ორთქლმავალი მის მიერ გავლილი უსასრულო დისტანციით...

დაშვება იმისა, რომ სამყარო შემთხვევის შედეგია, ისეთივე უაზრობაა, როგორც იმისა, რომ ენციკლოპედიის, კლასიკური ტრაგედიის ან ხვალინდელი გაზეთის შექმნა შეიძლება ეიფელის კოშკიდან ტიპოგრაფიული ნიშნებით სავსე ყუთების გადმოყრით... როგორ შეიძლება პოემაში გამოხატული გრძნობების, აზრების ახსნა შემთხვევით არჩეული ასოებით... ან მელოდიისა — შემთხვევით არჩეული ნოტებით?

სხვათა შორის, უნდა დავძინოთ, რომ ფაქტების ამგვარი გაგების საფუძველზეც რომ ვიმსჯელოთ, მაინც ვერ ავხსნიდით ატომთა წარმოშობას, რომელთაგანაც მრავალრიცხოვანი კომბინაციების შემდეგ შემთხვევით შეიქმნა სიცოცხლე!... ასევე თვით შემთხვევით თამაშის კანონების წარმოშობას და იმის ახსნას, რომ მან აირჩია სწორედ ერთი კომბინაცია და არა სხვა, თუ არ ჩავთვლით, რომ ეს შემთხვევა იყო გონიერი. მაშ რატომღა უნდა უარვყოთ „ღვთიური გონება"?

2. ადამიანის ფასეული

ა) ადამიანის მიდრეკილებანი და მოთხოვნილებანი.

ადამიანის არსი, მისი გული და გონება ღრმად არის გამსჭვალული სიმართლის, მშვენიერების, პატიოსნების, სიყვარულის, ბედნიერების, იდეალის მოთხოვნით... რომლებიც მიუღწეველი არიან ამ ქვეყნად, მაგრამ თითქოს წარმოადგენენ არსების ფაბრიკის ბეჭედს, არსებისა, სიმართლის, მშვენიერების, სამართლიანობის, იდეალის, სიყვარულის წყაროდ რომ გვევლინება. ადამიანს სწყურია ამ პირველსაწყისი არსების შეცნობა და თავისთავად მიილტვის მისკენ, ხშირად ანგარიშმიუცემლადაც კი.

სწავლული მუდამ მიილტვის ჭეშმარიტებისკენ... და რაც უფრო უღრმავდება ის სამყაროს საიდუმლოებებს, მით უფრო სცილდება მას საიდუმლო.

ხელოვანი ოცნებობს სრულყოფილ მშვენიერებაზე; ქანდაკების, ფუნჯის, მუსიკისა და კალმის შესანიშნავი ქმნილებანი აფართოებენ მის სულს, მაგრამ არ ანიჭებენ სრულ კმაყოფილებას.

ადამიანის გულს სიყვარულისა და ბედნიერების მგზნებარე სურვილი ეუფლება, მაგრამ მისი ლტოლვა ვერასდროს ვერ კმაყოფილდება, იგი დათრგუნვილია, გულგატეხილია... საყვარელი ადამიანის გარდაცვალება, ძვირფასი ბავშვის სიკვდილი ტოვებს შეუხორცებელ, ცოცხალ იარებს... მხოლოდ უსასრულო სიყვარულს ძალუძს მისი დაკმაყოფილება.

ექსპლოატირებული, უბედური ადამიანი ყოველ ნაბიჯზე ხვდება შემზარავ უსამართლობას, ხდება ბოროტმოქმედების მსხვერპლი, მისი მოთხოვნა სამართლისა და თანასწორობის შესახებ დაუკმაყოფილებელია... საბრალონი, მანქანებისა და ფულის უბრალო მონები, ად-

ამიანის სიბოროტის მსხვერპლნი, მოვალეობისა და თავგანწირვის უსახელო გმირები — ნუთუ არასოდეს არ იქნებიან რეაბილიტირებულნი, დაკმაყოფილებულნი?

ან ეშმაკი, გაქნილი ადამიანები, განგსტერები და ყველა ჯურის არამზადები მუდამ დაუსჯელნი რომ იყვნენ, მშვიდად ცხოვრობდნენ და იშარჯვებდნენ? განა ეს შემზარავი უსამართლობა არ იქნებოდა?

შეუძლებელია, რომ გმირები და ნაძირალები ერთნაირ ხვედრს იზიარებდნენ ერთ საზიარო სამარეში. ან შეიძლება კი ადამიანის გულის ეს მომთხოვნი ძახილი, ხან ისეთი ძლიერი, რომ ზოგიერთი წამებით კვდება სამართლიანობის გამარჯვების იმედით, — განა შეიძლება ეს იყოს მიმართვა სიცარიელისადმი, გიჟური ბოდვა? ეს შეუძლებელია!

ახალშობილ ბავშვს არ ექნებოდა პირი, რომ არ ყოფილიყო დედის მკერდი მის გამოსაკვებად — მიუხედავად იმისა, რომ მან არც კი იცის დედის არსებობა, ასევე არ შეიძლება არსებობდეს ეს სამართლიანობის წყურვილი, თუ არ იქნება მისი დაკმაყოფილების საშუალება. ბევრს შეუძლია ამტკიცოს, რომ ჩვენ ვერასოდეს ვერ ვიქნებით კმაყოფილი — ჩვენ უკიდურეს შემთხვევაში ქედს მოვიხრით ამ მტკიცების წინაშე, მაგრამ ვერ დავნაყრდებით.

დედამიწაზე არ შეიძლება იყოს კვალი, თუ არ არსებობს ნადირი, რომელმაც იგი დატოვა... არ არსებობს კომპასი ჩრდილოეთ პოლუსის გარეშე... არ არსებობს ოქროს მაძიებელი, თუ არ არის ოქროს საბადო... არ არსებობს ღმერთის მაძიებელი, თუ საძიებელი არაფერია... და თვით ურწმუნოთა ბოლმა ამტკიცებს, რომ იგი არსებობს, რადგანაც არაფერს არ ებრძვიან... თუ ღმერთი არ არსებობს, რად უნდა მას მუშტის მოღერება?

ბ) საზოგადოება და ადამიანის გონება.

ყოველნაირ საზოგადოებას საფუძვლად უნდა ედოს უდავო ავტორიტეტი, რადგანაც უამისოდ ურთიერთმოვალეობანი განისაზღვრებოდა მხოლოდ ადამიანის ფანტაზიით, ეს კი იქნებოდა ყოველგვარი თავისუფლების დასასრული და ყოველგვარი ტირანიის ზეიმი... ძალა და სახელმწიფო ინტერესი გადაიქცეოდნენ სიკეთისა და ბოროტების ყოვლისშემძლე არბიტრებად.

ადამიანის სინდისი წარმოადგენს გულის სიღრმეში მყოფი იდეალის შინაგან შეგრძნებას, რომელსაც უნდა მივდიოთ... იგი, რა თქმა უნდა, შეიძლება იყოს დაბრმავებული, დამახინჯებული, მაგრამ მოვალეობისა და მონანიების გრძნობები... ღრმადაა გამჯდარი ადამიანის გულში...

ეს არ არის ადამიანთა საზოგადოებების ძველებური აღზრდის შედეგი: ადამიანი საზოგადოებამდე არსებობდა... საზოგადოება წარმოადგენს მხოლოდ ადამიანთა გაერთიანებას. მრავალრიცხოვანი მაგალითები გვაქვს იმისა, თუ ადამიანი თავისი იდეალების გამო როგორ ამბობდა უარს დამორჩილებოდა იმდროინდელ საზოგადოებას, რომელიც მისგან მოითხოვდა მისივე მრწამსის საწინააღმდეგო მოქმედებას. ზოგმა განაცხადა, რომ სჯობს დაემორჩილოს ღმერთს, ვიდრე ადამიანებს და ამისათვის მოკვდა კიდეც.

აფასებს და პატივს სცემს რა მას, რაც მშვენიერია, კეთილშობილია, დიადია, სამართლიანია, თავგანწირულია, ადამიანი ემორჩილება მის ცნობიერებაში ამოტეიფრულ საიდუმლო წესებს, და, ნებსით თუ უნებლიეთ, აღიარებს უმაღლეს არსებას, „ღმერთს“ — ამ წესების ფუძემდებელს... ეს არის ღმერთის აღიარება მსოფლიოს ყველა ხალხის მიერ. „დადებითი თვისებები, რომ-

ლებიც თითოეული ადამიანის გულშია, — წერდა რენანი პატიოსანი აღიარების ჟამს — წარმოადგენენ, არსებითად, ყველაზე დიდ მტკიცებას ღმერთის არსებობისა... ამ გაგებით — როგორც საკუთარ ჭეშმარიტად ითქვა — ღმერთი ყველაზე პოპულარული არსებაა ქვეყნად".

დასკვნა. რელიგიური ფაქტი.

ადამიანი „რელიგიური ცხოველია". იგი ყოველთვის ასეთი იყო და ასეთადვე რჩება, თუმცა ეს ყოველთვის არ არის შესამჩნევი. მთელი რელიგიის ისტორია გვიდასტურებს, რომ არ არსებობდა არც ერთი ხალხი რწმენის, კულტის გარეშე.

დღესაც კი, როდესაც ამა თუ იმ მოძრაობას სურს მასების აყოლიება წმინდა წყლის მატერიალური და მიწიერი მიზნებით, იგი იძულებულია მათ წარუდგინოს „მისტიკა"... თავისებური რელიგიური მსოფლმხედველობა... და მოითხოვს ახალ რწმენას. თვით კომუნიზმიც კი ცოცხლობს და ადამიანებს იზიდავს მხოლოდ იმიტომ, რომ თავის მიმდევრებს წარუდგენს რწმენას, იმედსა და სიყვარულს; ლაპარაკობს ძმურ ერთობაზე, სამართლიანობაზე, სოციალური სიღატაკის — ადამიანის ცოდვათა შედეგის — მოსპობაზე, მსოფლიო გადატრიალებაზე, რომელიც ასე წააგავს საშინელ სამსჯავროს, ახალი სამყაროს განთიადზე.

საქმე ის არის, რომ ყველა ადამიანი იდუმალად გრძნობს (რასაც ხშირად თავის თავსაც კი არ უმხელს), რომ დედამიწაზე მის არსებობას აქვს საზრისი... რომ ის ახორციელებს გეგმას, რომლის არსიც მიუწვდომელია მისი გონებისთვის... უამისოდ რისთვის უნდა იცოცხლო? რისთვის არსებობს დედამიწაზე ადამიანი?

თავისი ცხოვრების ნებისმიერ მომენტში, თავისი არსებობის მძიმე საათებში, დიდი ხიფათის, ძლიერი ტკივილის, მძიმე დანაკლისის, დიდი ბედნიერების, სიხარულის, აღმაფრენის წამებში... რაგინდ მატერიალისტიც უნდა იყოს ადამიანი, იგი განიცდის რელიგიურ ლტოლვას და მღელვარებას, რაც აიძულებს ცისკენ აღაპყროს მზერა.

რელიგიური ფაქტი უდავოა — მაშასადამე, ღმერთი არსებობს.

დიდი რელიგიები. რელიგიური გრძნობების ისტორიის ზოგადი მიმოხილვა

სადაც კი ჩნდება ადამიანი, — წარმოიშობა რელიგია. ამიტომ ადამიანს შეიძლება ვუწოდოთ „რელიგიური ცხოველი".

I. რელიგიური გრძნობა ისტორიამდელ ფარსულში

წინარეისტორიულ ქვაბულების შესწავლისას ნაპოვნი იქნა რწმენათა და კულტთა ნაკვალევი: ნახატები კედლებზე — შესაძლოა, მაგიური სიმბოლოები, და, რაც ყველაზე საგულისხმოა, — გარდაცვლილთა დაკრძალვის რიტუალი, იარაღით, სამკაულებით, სანოვაგით: ყოველივე ეს ადასტურებს საიქიო ცხოვრების რწმენას.

გაეცნენ რა პირველყოფილ ხალხებს, რომლებიც დღეს ცხოვრობენ წყნარი ოკეანის ზოგიერთ კუნძულზე (მაგალითად ფილიპინებზე) ან ცენტრალურ აფრიკაში (პიგმეები), სწავლულები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ეს ხალხები ჯერ ისევ პირველყოფილ მდგომარეობაში არიან: ისინი ვერ განვითარდნენ დანარჩენ კაცობრიობასთან ერთად, რადგანაც იზოლირებული იყვნენ მისგან ოკეანეებით, უსიერი ტყეებით

„ეზი ბეთეზდა“ იერუსალიმში

ან ყინულებით. ისინი ჯერ კიდევ ცხოვრობენ ხის ან ქვის საუკუნეში და ჯერ არც კი იციან ლითონების გამოყენება. მაგრამ მათ აქვთ ძალზე მარტივი რელიგია: იცნობენ ერთ უმაღლეს ძალას, წმინდა, სრულყოფილ სულს... ბევრი ხედავს ამაში პირველადი რელიგიის გადმონაშთს.

ერთმა ასეთმა თანამედროვე პირველყოფილმა ადამიანმა ეს 'იდეა თავისებურად გამოხატა, არა იმდენად სიტყვებით, რამდენადაც მიმიკით: „ღმერთი ისევე უხორცოა, როგორც სიტყვა, გამოსული ჩემი პირიდან... გაიქეცი და მომიტანე იგი, თუ შეგიძლია“...

ამ გრძნობის არსებობა თანამედროვე პირველყოფილ ადამიანებში ძვირფასი დადასტურებაა იმისა, რომ რელიგიური გრძნობა არსებობდა კაცობრიობის განთიადზე — 10.000, 20.000, 50.000 წლის წინათ, განა სულ ერთი არ არის, — და ამავე დროს ჯერ კიდევ არ იყო შერყვნილი შემდგომ შემატებული უამრავი კერპითა და ლეგენდით.

ზოგიერთი ურწმუნო ვარაუდობს, რომ რელიგია დაიბადა უმეცრებისაგან ადამიანისა, რომელიც ძრწოდა ბუნებრივი ძალების წინაშე თავისი უძლურების გამო. მან წარმოიდგინა, რომ ეს კეთილი თუ ბოროტი ძალები ისევე სულიერნი არიან, როგორც თვითონ — იმდაგვარად, ბავშვი რომ ასულიერებს სათამაშოებს ანდა ბრაზმორეული, შურის საძიებლად ფეხით სცემს მაგიდას, რომელსაც შემთხვევით დაეჯახა და რომელიც მიაჩნია თავისი სატკივრის მიზეზად; — ესე იგი ღმერთები დაიბადნენ პირველყოფილი ადამიანის წარმოსახვაში. შემდეგ მათ შორის დამყარდა იერარქია და რელიგიურმა გენიოსებმა ამ ფუნდამენტზე ააგეს ყველა ცნობილი რელიგია.

მაგრამ, — დასძენენ ეს ურწმუნონი, — ჩვენს დროში კაცობრიობამ მიაღწია მოწიფულ ასაკს, თანამედროვე მეცნიერებათა მიღწევების წინაშე ლეგენდა ნაცარტუტად იქცევა, მეცნიერებისა, რომელიც ხსნის ჭექა-ქუხილს, წვიმას, ქარს, ცეცხლს, ციურ სხეულთა მოძრაობას, მზის სინათლეს და ა. შ. უმაღლესი ღმერთიც კი, აღიარებული ყველაზე განვითარებული ელიტის მიერ, უკვე არარეალურია. ჯადოქრისა და მღვდლის მეფობა ახლა შეცვლილია მეცნიერის მეფობით, ხოლო ლოცვანი და უნაყოფო მსხვერპლი მაღლობებზე და ტაძრებში — გამოგონებებით და თანამედროვე აღმოჩენებით, ტექნიკითა და სამრეწველო მიღწევებით.

მაგრამ თუ დღეს ეს თეორიები ნაწილობრივ ინარჩუნებენ წონას, პირველყოფილი ადამიანის სადგომთა შესწავლით მიღებული დასკვნები საშინელ დარტყმას აყენებენ მათს ფსევდომეცნიერულ გააზრებებს რელიგიის წარმოშობის შესახებ.

რელიგიური გრძნობა პირველადია — ის თითქოსდა ჩადებულია ადამიანში მისი შექმნის დროს. ის არ შეუძენია მას დამახინჯებული სახით. ადამიანი რომ არ ატარებდეს ამ გრძნობას თავის თავში, ბუნება მას ვერ უკარნახებდა.

ზემოთ მოყვანილი მტკიცებანი ღმერთის არსებობის შესახებ ძალაში რჩება.

ახლა საჭიროა განვმარტოთ თუ როგორ დამახინჯდა რელიგიური გრძნობა, როგორ გაჩნდა კერპები და სხვადასხვანაირი ლეგენდები ღმერთთა ცხოვრების შესახებ.

ა) „ღვთაების დანაწევრება“ ანუ მრავალღმერთიანობის წარმოშობა.

პირველყოფილ ადამიანს ახასიათებს ეგოისტური და პრაგმატული ტენდენციები — დაამდაბლოს ღვთიური და შეურწყას იგი ბუნებას. მას სურს ამ უმაღლეს ძალასთან მშვიდობიანად ცხოვრება საკუთარი კეთილდღეობისათვის, რათა წარმატებით ინადიროს და ებრძოლოს მხეცებს. მეორე მხრივ, მას მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრეკილება აქვს ყოველივე განაკაცოს, მის ირგვლივ მყოფ საგნებს ცნობიერი ცხოვრება მიაწეროს... პოეტური მიდრეკილება აღძრავს ადამიანებს, რათა მთელი სამყარო აიძულონ იფეთქოს მათი გულის რიტმით.

საშიში, იდუმალი კლდის ფორმები ღამით, ხე, რომელიც თრთის შეხებისას, ან ხმაურობს ქარში, ან გუგუნებს ქარიშხალში, მჩქეფარე და მოლაპარაკე წყაროები... მოცეკვავე და მომღერალი ცეცხლის ენები... სასარგებლო ან დამღუპველი წვიმები... მგრგვინავი და ცეცხლოვანი ჭექა-ქუხილი... ყოველივე ეს გასულიერებულია, როგორც თვითონ ადამიანი... ხდება წარმოუდგენელი და მოულოდნელი შემთხვევა — და მყისიერად ხდება შეპირისპირება; აქ ნამდვილად მოქმედებს უმაღლესი ძალა, ღვთიურობა... და მოქმედებს იდუმალი სახით: კლდე, ხე, წყარო, ცხოველი იქცევა წმინდა კლდედ, ხედ, წყაროდ, ცხოველად... მზე, ვარსკვლავები აგრეთვე გამოხატულებაა ღვთაებრიობისა, რომელიც სულ უფრო და უფრო ნაწევრდება. ყოველივე ეს ბადებს მრავალ სხვადასხვა ღვთაებას: ეს არის „პოლითეიზმი" (მრავალღმერთიანობა).

ბ) მაგიის გაჩენა.

რელიგიური გრძნობის ეს დამახინჯება კულტშიც იჩენს თავს. ნაცვლად იმისა, რომ ღვთაებრივ არსებას პატივი მიუზღოს, სუფთა სიტყვიერი მსხვერპლი შესწიროს და მის გადაწყვეტილებებს მიენდოს, ადამიანი ცდილობს გამოიყენოს იგი თავისი პირადი საჭიროებისათვის, დაიქვემდებაროს იმ ბუნებრივ ძალებზე ზემოქმედებით, რომლებშიც ეს ღვთაება ვლინდება, გამოიცნოს ამ უხილავი სამყაროს ზეგავლენა.

ამისთვის ხდება ძიება კავშირისა საგნის სულთან იდუმალი რიტუალების მეშვეობით. ეს „მაგიაა", „ჯადოქრობაა". ჯადოქარი არის ის, ვინც ამბობს, რომ აქვს გავლენა ზეადამიანურ არსებებზე, სულებზე, რომელთა სახელები, სახეები და საიდუმლოებანი მისთვის ცნობილია.

სწორედ ასე ჩნდება ჯადოქრობა, შელოცვები. ჯადოქარი ჩამწვდარია სულთა საიდუმლოებაში, მას შეუძლია მართოს ისინი, მას შეუძლია შეკრას ისინი და აიძულოს იმუშაონ მისთვის, ვისაც ჯადოქრის სამსახური სჭირდება.

გ) „მითების" წარმოქმნა.

დასასრულ, პირველყოფილი წარმოდგენა ღმერთებსა და ადამიანებს ორ კატეგორიად არ ყოფს, ის მათ ანიჭებს ადამიანურსავე გრძნობებს, ალამაზებს ღმერთთა ცხოვრებას, ჰყვება მათ ისტორიას, იგონებს ხატოვან თავგადასავლებს, წარმოუდგენელ მოგზაურობებს. ღმერთებს უყვართ ერთმანეთი, ქორწინდებიან, შურთ ერთურთისა, შურს იძიებენ ადამიანის მსგავსად. ეს მოთხრობები იწოდებიან „მითებად" (აქედან წარმოდგება სახელი „მითოლოგია" — ყველა ამ თქმულების ისტორია). ამ იგავურ მოთხრობებში არის წილი წარმოსახვისა, პოეზიისა, ადამიანთა თავგადასავლებისა და მცდელობისა ახსნილ იქნეს ადამიანის, ცოცხალი არსებების და ა. შ. წარმოშობა, რასაც ეს ცნობიერება ღმერთებს მიაწერს.

აი რა დაუტოვა წინარეისტორიამ ადამიანებს, რომელთა კულტურასა და ისტორიას ჩვენ დღეს ვიცნობთ.

ეს, საერთოდ, ძალზედ ცოცხალი რელიგიური გრძნობაა, რომელსაც ძალუძს ცოცხალ და წმინდა ალად ამაღლდეს ყველა საგნის შემოქმედთან, მაგრამ იგი უაღრესად ღამდაბლებული, გაუფერულებული და დამახინჯებულია პოლითეიზმით, მაგიითა და მითოსით.

2. რელიგია უძველეს ხალხებში.

შედარებით ძველი კულტურები, რომლებსაც გათხრებით ვიცნობთ და რომელთა ისტორია ვიცით, არსებობდნენ ქრისტეს შობამდე 3.000 წლის წინათ, ესე იგი 50 საუკუნის წინათ. ესენი არიან ეგვიპტელები, რომლებიც სახლობდნენ ნილოსის ნაპირებზე, შუმერები და აქადელები მესოპოტამიაში, უფრო მოგვიანებით ასირიელები, ბაბილონელები, მიდიელები, სპარსები. წინა აზია და ეგვიპტე კულტურის უძველესი აგვანია.

ბერძენი ხალხი ქრისტეს შობამდე მხოლოდ მე-7 საუკუნეში ჩნდება და შალე აღწევს გაფურჩქვნას ფილოსოფიის, ხელოვნების, მეცნიერების, ლიტერატურის, პოლიტიკური ეკონომიის განვითარების წყალობით, რომლებიც არნახული სრულყოფილებით აითვისა. საბერძნეთმა, ალექსანდრე დიდის სახით, დაიპყრო მსოფლიო ქრისტეს დაბადებამდე 300 წლით ადრე, მაგრამ 150 წელს თავად დამარცხდა რომაელი ხალხისაგან, რომელიც მეომარი და კარგად ორგანიზებული იყო და რომელმაც სწრაფად დაიკავა მისი ადგილი, გამდიდრდა მისი კულტურით, გააფართოვა თავისი სამფლობელოები მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზში — პალესტინიდან და ეგვიპტიდან გალების ქვეყნამდე და ესპანეთამდე.

ა) ეს რელიგია ღარიბია იდეით, მაგრამ მდიდარია პოეზიით.

ყველა ამ უძველესი ხალხის რელიგია არსებითად სხვა არაფერია, თუ არა მცირედ სახეშეცვლილი პირველყოფილი ადამიანის მემკვიდრეობა: უკვდავ ღვთაებათა „პანთეონი" (კარი), შემოკრებილი ერთი ან ორი ძლიერი ღვთაების ირგვლივ, რომლებიც ცხოვრობენ ოლიმპად ან როგორღაც სხვაგვარად წოდებულ მიუწვდომელ ცაზე. ყოველივე ამას დაემატა ბუნების სულთა სამყარო — წყაროების ახლოს, ტყის პირას — ნიმფები, სატირები და ა. შ., გმირები ან ნახევარღმერთები, რომელთაც ეძღვნებოდათ კულტი... ფარაონები და იმპერატორებიც კი, რომელთა გაღმერთება დაკავშირებული იყო გრანდიოზულ ცერემონიებთან (ბერძნებში — ალექსანდრე დიდი, რომაელებში — იულიუს ცეზარი, ავგუსტუსი და სხვები).

ლეგენდები ღმერთთა შესახებ, ეს ჭეშმარიტად საარაკო მოთხრობები მათ დაბადებაზე, ბრძოლებზე, სიყვარულზე, რომლებშიც ჩართულია განმარტებებიც სამყაროსა და ადამიანის წარმოშობის თაობაზე, დიდად იყო გავრცელებული.

ასეთივე, მაგრამ კიდევ უფრო ძველი ლეგენდები შეიძლება ვიპოვოთ ეგვიპტელებთან და ასურ-ბაბილონელებთან, სპარსებთან და მიდიელებთან, ბერძნებთან და რომაელებთან. სწავლულები ახლა პოულობენ სულ უფრო და უფრო ძველ წარწერებს... მაგრამ ყველაფერი ეს „პოლითეიზმია" სხვა ფორმებით წარმოდგენილი: აურაცხელი ღმერთი და გმირი, პოეზიისა და იგავური მოთხრობების დამატებით.

ბ) ეს რელიგია არ აკმაყოფილებდა ღრმა ადამიანურ სწრაფვათ.

ყველა ამ ძველ ხალხს თავის რწმენასა და რელიგიურ მრწამსში ჰქონდა პერიოდები გულწრფელობის, პატიოსანი ძიების თუ სკეპტიციზმის და მორალური დაცემისა.

ადამიანის რწმენა ხშირად ჭეშმარიტი იყო ღვთაებრიეის წვდომის ძიებაში, განწმენდისთვის, ღვთაებათა ნების შესრულებისათვის მცდელობაში. რამდენი იყო ძვირფასი მსხვერპლი (ზოგ შემთხვევაში მსხვერპლად სწირავდნენ ასამდე ცხოველს, — ეს იყო ჰეკატომბები, — რაც საგრძნობლად ამცირებდა პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუტყვის სულადობას, რამდენი მსვლელობა ცნობილი ტაძრებისკენ, რათა ეხილათ ღმერთების სახელით მოლაპარაკე ორაკულები, რამდენი ლოცვა ოჯახის სამსხვერპლოს ირგვლივ, სადაც პატივს მიაგებდნენ გარდაცვლილ წინაპრებს! რამდენი ძალისხმევა წესის ასაგებად მკვდართა დაბალზამებისა თუ დაწვისას! რამდენი გრანდიოზული მანიფესტაცია სახელგანთქმულ სალოცავებთან, სადაც ღმერთისა თუ ქალღმერთის თაყვანისმცემლები ათასობით იკრიბებოდნენ სალოცავად და აგრეთვე სტადიონებზე გამართულ საცირკო თუ თეატრალურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად („ოლიმპიური თამაშები" წარმოიქმნა ოლიმპიის ტაძარში გამართული დღესასწაულებისა და კონკურსებისაგან).

მაგრამ ამ ოფიციალურმა რელიგიამ ვერ შეძლო შეევსო სიცარიელე ადამიანთა შეშფოთებულ სულებში. კულტის ცერემონია მკვდარი იყო და არავითარ პირად ემოციებს არ იწვევდა. ეს იყო წეს-ჩვეულებებში გაყინული ღვთისმსახურება, რომელიც ადამიანის გულს არას ეუბნებოდა. ქურუმები ხშირად მხოლოდ ადმინისტრატორები ან დანიშნული მოსამსახურენი იყვნენ. ღმერთების, გმირების, ნახევარღმერთების ამბავი ვერ ხსნიდა სიცოცხლის დიად საიდუმლოებებს. ყოველი მანკიერების, სიძულვილის, შურის, ცდუნების საყოველთაო ჩვენება აფიქრებინებდა ადამიანს, რომ ღვთაებები უფრო ჭირვეულნი იყვნენ, ვიდრე მათი ქმნილებანი... ამას ემატებოდა ბედნიერ უკვდავთა გულგრილობა საწყალი ხალხისადმი.

მას, ვინც ფიქრობდა სიცოცხლისა და ბედისწერის დიად საკითხებზე, აქედან არ შეეძლო გამოეტანა არაფერი, გარდა მელანქოლიისა და გულგატეხილობისა. „სიჭაბუკე გრძელდება მხოლოდ ერთი დღე," — წერდნენ პოეტები, — „სიბერის ჟამს ჩვენ გველის შავი ბედი და სიკვდილი", „ჩვენ მივფარფატებთ, ვით მკვდარი ფოთლები". მაგრამ რა გველის სიკვდილის შემდეგ? აი უმთავრესი და უკიდურესობამდე გაურკვეველი კითხვა. დიდი ფილოსოფოსები მსჯელობდნენ „ლეთარგიაზე, რომელშიც ადამიანის სული შეერწყმის ღვთაებრიობას". სხვანი ლაპარაკობდნენ „აჩრდილთა სამეფოზე," რომელშიც სულები იცხოვრებდნენ მოსაწყენი უფერული ცხოვრებით. და იხეტიალებდნენ ვით ნისლიან დღეს...

მორწმუნენი შეშფოთებული იყვნენ და გრძნობდნენ სიცარიელეს, რომელიც ყველა ამ სიტყვის მიღმა იმალებოდა. ყველაზე განათლებული პიროვნებები სკეპტიკოსებად იქცეოდნენ ხოლმე და ურწმუნოება მოდური ხდებოდა. ღმერთებზე ქირქილებდნენ, მათ კულტს სასაცილოდ იგდებდნენ, თუმცა ცდილობდნენ არ გამოეწვიათ მასების გაღიზიანება და დაემტკიცებინათ თავიანთი მხარდაჭერა იმპერატორისთვის, რომელიც ფლობდა ტაძრებს, ქურუმებს, ქანდაკებებს. რამდენიმე დიდი მასწავლებელი ძალას არ იშურებდა, რათა ყველასათვის გაეგებინებინა, რომ იმ ღმერთების უკან, რომელთაც ყველა თაყვანს სცემდა, ერთი და იგივე ღვთაება იმალებოდა და მოქმედებდა. ფილოსოფოსი პლატონი უფრო მაღალ აზრს ანიჭებდა სიცოცხლეს: დედამიწაზე ადამიანმა უნდა ღაიცხროს თავისი ლტოლვანი, გახდეს თავისი თავის ბატონ-პატრონი, რათა განიმსჭვალოს უმაღლესი სიკეთის იდეით, რომლის ჭვრეტასაც მიეცემა სიცოცხლის შემდგომ, უკვდავი რომ გახდება...

ეპიკურელები და სტოიკოსები ვერ ხედავდნენ გამოსავალს მიწიერი ცხოვრების შემდეგ და რჩევას იძლეოდნენ ცხოვრება ისე აღექვათ, როგორიც არის, რათა შეძლებისდაგვარად უკეთესად ეცხოვრათ. ეპიკურელნი თვლიდნენ, რომ ადამიანი უბედურია თავისი სურვილების გამო: უნდა შეგვეძლოს მათზე უარის თქმა და მოთხოვნილებათა დაოკება.

სტოიკოსების აზრით კი ადამიანები ძალზე დიდ ყურადღებას უთმობენ ტანჯვას და ამიტომ არიან უბედურები. უმჯობესია მამაცურად დამორჩილდე ბედს, ვიდრე გმინავდე მისი მათრახის ქვეშ... ბოლო მაინც სიკვდილია. იმედის არც ერთი სხივი არ გამოსჭვივის ამ მოძღვრებაში.

ადამიანი ვერ დანაყრდა, რადგან მისი დანაყრებისათვის, უკვდავებისკენ, ბედნიერებისკენ ლტოლვისათვის, რაც მისი არსებისაგან განუყოფელია, „გაჩუმდიო" —უთხრეს. ხალხს ინსტინქტურად სჯერა ბედნიერი საიქიო ცხოვრებისა მას შემდეგ, რაც სააქაოს პატიოსნად და სწორად იცხოვრებს, მოიხდის თავის მიწიერ ვალს. მაგრამ მას სჭირდება გარანტია. იგი მზადაა დაემორჩილოს განწმენდის აუცილებლობას, მოინანიოს ცოდვები, მაგარმ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნებულია, რომ ამას მოჰყვება სასურველი დასასრული იმ ქვეყნად. მას სურს ისეთი კულტი, რომელიც ნათლად აუხსნის, რომ აღორძინებულია, გადარჩენილია და მას ელის ბედნიერი უკვდავება.

საერთოდ ადამიანს სურს იცოდეს, რომ ცხოვრებას აქვს რაღაც შედეგი, აქვს საზრისი. მას სურს შეიცნოს ბედნიერების საიდუმლოება.

გ) „საიდუმლოთა" მფლობელი რელიგიები ამაოდ ჰპირდებოდნენ თავიანთ მიმდევრებს სულიერ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას.

ამიტომ არის, რომ ოფიციალური რელიგიების გვერდით, ჩვენ ყველგან ისულ უფრო ბევრ „მისტერიათა რელიგიას" ვპოულობთ, მათ ასე უწოდებენ მაგიასთან სიახლოვის გამო, იმის გამო, რომ იქ მისაღებ ცერემონიებს იდუმალი მისტერიული ხასიათი ჰქონდა. მორწმუნეებს აცნობდნენ თუ როგორი იქნებოდა მათი საიქიო ცხოვრება. ძნელი წარმოსადგენია ის წარმატება, რომელიც ამ აღმოსავლეთიდან შემოტანილ კულტებს ხვდათ საბერძნეთსა და რომში. ისინი არსებობდნენ უძველეს დროს ეგვიპტესა და დასავლეთ აზიაში, რაც ამტკიცებს, რომ ადამიანის გული ყოველთვის და ყველგან ერთნაირი იყო (იზიდავს კულტი და სხვა).

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ასტროლოგიის გავლენა, რომელიც წინა აზიაში გაჩნდა და მოედო მთელს ცნობილ სამყაროს ინდოეთამდე. მნათობთა შესწავლით ასტროლოგები ამტკიცებდნენ (და დღესაც ამტკიცებენ), რომ შეუძლიათ იწინასწარმეტყველონ მოვლენები და ადამიანის ბედი.

აქაც ვლინდება ადამიანის გულის ღრმა მისწრაფება. უნდა ვერიდოთ ღმერთისაკენ მიმავალ გზაზე კაცობრიობის ამგვარ ძიებათა მიმართ აგდებულ თუ განურჩეველ დამოკიდებულებას. ყოველივე ეს მართლაცდა, ბუნდოვანია, გაურკვეველია, დამახინჯებულია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ადასტურებს ნეტარ ავგუსტინეს აზრს: „შენ შეგვქმენი ჩვენ შენთვის, ღმერთო, და გული ჩვენი არ დაოკდება მანამ, სანამ არ დაწყნარდება იგი შენში".

ინდუიზმი

1. მისი ძველი წარმოავლობა

ქრისტეს შობამდე 15 საუკუნით ადრე ინდოეთში დაიბადა თავისებური რელიგია. იგი ჩაისახა დამპყრობელთა მიერ ირანიდან და ასურეთიდან მოტანილი რელიგიური ტრადიციების ზეგავლენით. ამ დამპყრობლებს სურდათ, რაც უნდა დასჯდომოდათ, შეენარჩუნებინათ თავიანთი რასის სიწმინდე და გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაულახავი ზღუდე აღმართეს მათსა და ძირძველ მოსახლეობას შორის. ასე გაჩნდა კასტები.

რამდენიმე საუკუნე ეს რელიგია ცოტათი თუ განირჩეოდა ზემოთ განხილულთაგან: ეს იყო მრავალრიცხოვან ღვთაებებზე შექმნილი ლეგენდების კრებული; ხოლო კულტს შეადგენდა მეტ-ნაკლებად მაგიური წეს-ჩვეულებები, ცრურწმენები და მსხვერპლშეწირვა. წმინდა ლეგენდები გადაიცემოდა თავდაპირველად ზეპირად, ხოლო მოგვიანებით ხდებოდა მათი ჩაწერა. ამ პირველ წეს-ჩვეულებათა და რელიგიურ ლეგენდათა კრებულებს ეწოდება „ვედა" და დაწერილია სანსკრიტზე დაახლოებით VII საუკუნეში ქრისტეს შობამდე. ჩვენ აქ ვხვდებით იმავე ღმერთებს, რომლებიც იყვნენ მცირე აზიაში, ოღონდ სხვა სახელებით. რელიგია შედგება უმთავრესად კულტის გარეგანი გამოვლინებისაგან, თუ მსხვერპლი შეწირული იქნება ყველა წესის დაცვით, ადამიანს უფლება აქვს მოსთხოვოს ღმერთებს თავისი სურვილის შესრულება და იგი კმაყოფილდება.

2. ბრამინთა რელიგიური ბატონობა

თანდათანობით ქურუმთა კასტა — რომელიც საჭიროა წეს-ჩვეულებათა ზუსტი შესრულების სამეთვალყურეოდ, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. ეს „ბრამინთა" კასტა მეომრებზე უფრო გავლენიანი ხდება. დამპყრობლები გაიყვნენ სამ კასტად — ქურუმებად, მეომრებად და მიწათმოქმედებად. ბრამინები, რომელთაც წეს-ჩვეულებათა მეოხებით შეეძლოთ ღმერთებთან ურთიერთობა, მალე რელიგიურ მჩაგვრელებად იქცნენ. მათ შექმნეს მეტად აბსტრაქტული რელიგიური მსოფლმხედველობა, რომელიც ხალხს არ ესმოდა და არ უყვარდა. იგი გამიზნული იყო მხოლოდ არისტოკრატიისათვის — ეს იყო რწმენა სამყაროს ერთიანი სულისა, ღვთაებრივისა, რომლისგანაც შედგება ყოველი და რომელიც ყველგან აღწევს... მათ პრაქტიკულად მიივიწყეს უხეში კერპები, ისინი გადაულოცეს ღარიბ, უვიცა ხალხს, რომელიც არ უყვარდათ, ხოლო თვითონ შორს გადადგეს ნაბიჯი ღმერთის შეცნობის ჭეშმარიტ გზაზე.

მაგრამ იმის მაგივრად, რომ მასში მის მიერ შექმნილი სამყაროსგან განსხვავებული პიროვნება დაენახათ, ისინი ღმერთს ყველგან ხედავდნენ, ყველა საგანში. ეს არის ის, რასაც „პანთეიზმი" ეწოდება.

3. სამყაროს ერთიანი სულის კულტი

მრავალგამოსახულებიანი ბარელიეფებით შემკულ უთვალავ ტაძართა ხილვისას შეიძლება იფიქრო, რომ აქ უამრავი ღმერთია, რომლებზეც ჰყვებიან ყველაზე არაჩვეულებრივ ლეგენდებს. მაგრამ ეს ასე არ არის. თევზების, გველების, ძაღლების, ყვავილების, არწივების, კუების, ყვავების, ნიანგების... ყველა ამ გამოსახულების სახით ბრამინი თაყვანს სცემს სამყაროს ერთიან სულს (ბრამას), რომელმაც მიიღო ყველა ეს დროებითი და ილუზორული ფორმა. არსებობს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტება: „ის, ვინც აღწევს ყველგან, და ვინც არის ყოველი", ესე იგი — ღვთაება. ტექსტებში ჩაწერილია — „მყარად იცოდე, რომ მე ვარ დაუშრეტელი თესლი ყველა არსებისა... მე ვარ მზის სინათლე, ნაყოფთა სიტკბო, ყვავილთა სურნელი, მამაკაცთა სიცოცხლის ძალა, ბრძენთა ცოდნა, გულადთა გულოვნება, ჭმლოცველური აღმაფრენა მისტიკოსებისა, თავშეკავების ძალა ასკეტებისა..."

ადამიანის ცხოვრებისეული არსი, მისი „მე", მისი ცნობიერება გამომდინარეობს ღვთაებიდან, წარმოადგენს

თვით ბრმას გამოსხივებას. შეიძლება მოვიტანოთ შემდეგი შედარება: ეს მსგავსია კოცონიდან გამოფრენილი ნაპერწკლისა, იგი ერთგვაროვანია ცეცხლთან და მასში უნდა დაბრუნდეს. როდესაც ადამიანის სიკვდილი, იგი იკარგება დიად მთელში, სამყაროს ერთიან სულში, ესე იგი, ღვთაებრივობაში. უდავოა, აქ პირველ ნებისა ქრება, ადამიანი ვერ მოიაზრებს თავის თავს, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, სწორედ ეს არის მიზანი. ეს ის იდეალია, რომლისკენაც ყველა უნდა ისწრაფვოდეს, ეს „ნირვანაა". ადამიანი მაშინ აღწევს სრულყოფის უმაღლეს სტადიას, როდესაც შეძლებს დაძლიოს თავისი სხეულის ყველა სწრაფვა, მთლიანად განთავისუფლდეს მათგან, როდესაც იგი აღწევს განურჩევლობის უმაღლეს სტადიას და თითქოს ჩაკარგულია ჭვრეტაში. მაშინ მისი სული მზადაა უკანასკნელი „გარდასახვისთვის"... იგი უნდა გარდაიცვალოს, განიბნეს ღვთაებრივში... გაუჩინარდეს მასში, როგორც მდინარე ოკეანეში.

4. სულთა „გადასახლება" და ეორიგი გარდასახვანი

რა არის სულთა „გადასახლება?" ბოროტებისა და თავისუფლების გადაუჭრელი საკითხების არსებობისას როგორმე უნდა დაკმაყოფილდეს სამართლიანობის წყურვილი ადამიანის გულში. სწორედ აქედან გამომდინარეობს სულების გადასახლებათა სერია. ცნობიერებას, ამ „ღვთაების გამოსხივებას" ადამიანში, მისი სიკვდილის შემდეგ შეუძლია მიიღოს სხვა ფიზიკური გარსი, და ამის მიხედვით, თუ როგორი იყო ადამიანის ცხოვრება — ცუდი თუ კარგი, წარმოსდგეს მცენარედ, ცხოველად, უმაღლესი ან უმდაბლესი კასტის ადამიანად... და ა. შ. თავის საბოლოო განწმენდამდე, მხოლოდ უმაღლეს კასტას, ბრამინებს აქვთ უფლება სიცოცხლეშა შრომის შემდეგ საბოლოო და მუდმივი განსვენებისა. ბრამინის სული უერთდება სამყაროს ერთიან სულს. დანარჩენებმა თავიდან უნდა დაიწყონ ცხოვრება, დამსახურების მიხედვით. თითოეულის მიზანია თავიდან აიცილოს ყველა ეს მეტ-ნაკლებად ბედნიერი გარდასახვა იმით, რომ იცხოვროს რამდენადაც შესაძლებელია სრულყოფილად. იმის მაგივრად, რომ აღორძინდნენ მცენარის ან ცხოველის სხეულებში, ისინი დაიბადებიან ბრამინებად, ესაა გადარჩენის გზა, სხვა გზა არ არსებობს.

ურიცხვ ინდუსს დაძაბუნებამდე მიჰყავს თავისი თავი ასკეტური ცხოვრებით. მილიონობით ასკეტი უბრალო აგურისფერ სამოსელში, არგნითა და სამოწყალო თასით ხელში მიუყვება გზებს...ნებაყოფლობით იტანს საშინელ გაჭირვებას, ლოცვითა და ჭვრეტით მთელი წელი დადის ტაძრიდან ტაძარში. ცხოვრების ყოველი სიკეთისაგან ეს განდგომა, რომლის ერთადერთი მიზანია სიჩუმე და ლოცვა, არის რაღაც დიადი და შესანიშნავი. ახლაც კი ყველა კატეგორიის უამრავი ინდუსი, თვეების განმავლობაში მარტოვდება გამოქვაბულებსა თუ ქოხებში ანდა იკრიბება ჯგუფ-ჯგუფად ამისთვის განკუთვნილ ადგილებში დიადი მასწავლებლების — რამაკრიშნას, განდის ან შრი აურობინდო გოშეს გარშემო... იქ ეუფლებოდნენ და ახლაც ეუფლებიან რელიგიურსა და სხვა ცოდნას... აქ საჭიროა გულმოწყალება ლატაკთა, უქონელთა, მწირთა, ავადმყოფთა მიმართ, რომელთაც ყოველთვის მკურნალობენ, ყურადღებით უვლიან, ზიანს არ აყენებენ არც ერთ სულდგმულს.

სიცოცხლე ამ ინდუსებისათვის ფრიად სერიოზული რამაა, პატივსაცემი და ღვთიური საქმეა. დედამიწაზე კი არ უნდა იმხიარულო, არამედ უნდა ეცადო რაც შეიძლება ამაღლდე შენს იდეალამდე.

5. ინდუიზმში არის სახარების შესანიშნავი წინაპირობები

უნებლიედ განცვიფრებენ ის ამაღლებული სიტყვები, რომლებითაც ბრამინები მსჯელობენ ღმერთზე... ეჭვგარეშეა, რომ მათ გამოცხადებით მიიღეს ცოდნა, რომელიც ახლოა სრულ ჭეშმარიტებასთან.

განდი წერდა: „მუდმივად ვიტანჯები იმით, რომ ასე შორს ვარ მისგან, ვინც წარმართავს ჩემი სიცოცხლის თითოეულ ამოსუნთქვას, მისგან, ვისი შვილიც ვარ“.

კრიტიკა

ინდუიზმში არის ძალზე ლამაზი სულიერი და მისტიკური ზეაწეული მომენტები. ამისდა მიუხედავად, ხაზი უნდა გაესვას სერიოზულ მოურიგებლობას ამ რელიგიურ აზროვნებაში. თუ ადამიანში ყველაფერი ღვთაებრივია, თუ მისი ცნობიერება გამომდინარეობს სამყაროს ერთიანი სულისგან, როგორღა არსებობს ცოდვა? როგორ შეიძლება ადამიანი, თავის სიცოცხლეში, წინ აღუდგეს, ეურჩოს ღმერთს? რატომ, რით არის განსაზღვრული სულთა გადასახლება? ამ საშინელმა წინააღმდეგობამ არ შეიძლება გაუძლოს ჩვენი ლოგიკის სინათლეს.

ჭეშმარიტების ამ შესანიშნავი ძიების წინაშე შეიძლება მხოლოდ ქედი მოიხარო... და ინანო, რომ სახარებას ჯერ კიდევ არ გაუყოლიებია ეს ღმერთისკენ მლტოლველი სულები.

არადა, ყველა ამ ძალისხმევას, ხანდახან ძალზე ამაღლებულსაც კი არ შეეძლო არაფრის მიღწევა თვინიერ ქრისტეს შუქისა. მრავალრიცხოვან გარდასახვებს თან სდევს გაბნევა დიად მთელში. ყველა მონანიების ძალისხმევა და ყველა ძიება არსებითად ადამიანის პიროვნების განადგურებამდე დაიყვანება... რასაც ბოლოს და ბოლოს მივყავართ პესიმისტურ განწყობამდე. რა უბედურებაა ამ მილიონობით ადამიანმა არ იცოდეს ჭეშმარიტი ღმერთი, რომელიც არის სიყვარული, და რომელიც არის პიროვნება! და მაინც, მათმა გზამ კიდევ შეიძლება მიიყვანოს ისინი ქრისტემდე.

6. უსეშ ფეს-ჩვეულებათა და ლეგენდათა ძალად შეჭრა ბრამინების რელიგიაში

ამ შესანიშნავი, თუმცა ბოლოს შეწყვეტილი, სულიერი აღმავლობის გვერდით, რომლის წინაშეც ჩვენ ქედს ვიხრით, რადგანაც მისგან ბევრ ვითომ ქრისტიანს მოუწევს გაწითლება, უნდა მოვიხსენიოთ მრავალი ფეს-ჩვეულება და რწმენა, მემკვიდრეობით აღებული ინდოეთის ისტორიამდელი მოსახლეობისაგან დაპყრობის წინა პერიოდიდან. ბრამინებმა მოახერხეს უმაღლეს კასტებში განეხორციელებინათ რეფორმები, მაგრამ ვერასგზით ვერ შეძლეს აღმოეფხვრათ სახელმწიფოში ძველი რწმენანი და იძულებული გახდნენ ნებსით თუ უნებლიედ თავიანთ მაღალ აზრებთან თუ მისტიკურ ზესვლასთან შეეთავსებინათ ისინი.

სექტების მიხედვით ბრამინები ვიშნუს, შივას თუ ბრამას სახელით თაყვანს სცემენ სამყაროს უზენაეს და ერთიან სულს, რომელიც ყოველგან სუფევს. ხალხი კი, მთლიანობაში, ვერ კმაყოფილდება ასეთი აბსტრაქტული რელიგიით. მას სჭირდება ღმერთები, რომლებიც შეიძლება იხილოს, შეეხოს მათ, ილოცოს მათზე და მიმართოს მათ. მას სჭირდება ზუსტი მორალი, დასაშვებ და დაუშვებელ ქმედებათა სიით. მას

სურს იცოდეს თავისი ღმერთების ცხოვრება, შეძლოს მათი გამოსახვა, ჰქონდეს სახლში მათი ქანდაკებები. მას სჭირდება რელიგიური დღესასწაულები, სალოცავები. მისი წყურვილი ბედნიერების და უკვდავებისა უნდა დაკმაყოფილდეს უფრო პიროვნული და მისთვის მისაღები ფორმით.

აქედან წარმოდგა მრავალი ნახევარღმერთი, სახალხო გმირი კრიშნა, რამა, რომელთა წარმოშობაც დაკავშირებულია ფანტასტიკურ ლეგენდებთან.

როგორი იყო ბრამინთა რეაქცია კერპებისაკენ ხალხის ლტოლვაზე? მათ ისინი უბრალოდ მიითვისეს, ვინაიდან სხვა გზა არ ჰქონდათ, და ღვთიური წარმომავლობაც კი მიაწერეს მათ... გააიგივეს სამყაროს ერთიან სულთან, რომელიც სახელდებულია სექტების მიხედვით — ვიშნუ, შივა, ბრამა, ნახევარღმერთი კრიშნა სხვა არაფერია თუ არ მეცხრე ხორცშესხმა ვიშნუსი დედამიწაზე. ბუდა (რომელზეც ქვემოთ მოგითხრობთ) აგრეთვე ვიშნუს ხორცშესხმაა დიდ ადამიანში. შივა სამყაროს ერთიანი სულია და ამავე დროს ბატონი /სიკვდილ-სიცოცხლისა, შემოქმედი და /დამანგრეველი— ახალგაზრდა ქალი, წერო, თევზი, ტახი. ყოველი ლეგენდა მას თავისებურად ასახავს.

7. ინდოეთის წმინდა ქალაქებში

რა ემართება ხალხის კულტს და რწმენას? არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ რელიგიას იზიარებს 250 მილიონი ინდუსი და რომ შეუძლებელია მისი ობიექტური ასახვა რამდენიმე გვერდზე, იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სექტები და რწმენანი. ხალხის ეთიკა ძალზე თავისებურია და ჩვენთვის გაუგებარი. ტყუილი და ქურდობა არ იკრძალება... მაგრამ თუ თქვენ — ღმერთმა დაგიფაროთ — რძესთან ერთად ძროხის ერთი ბეწვიც კი ჩაყლაპეთ, ყველაფერი დალუპულია. სწრაფად უნდა განიბანოთ განგში, ან ტაძრის წმინდა წყალში... ან შეეხოთ ბრამინის ყურს, რომელიც თავისი დაბადებით სხვაზე მაღლა დგას. იგი მიწიერი ღმერთია, ყველაზე ახლოს არის ღმერთისკენ მიმავალ გზაზე. დანარჩენებს იგი აბუჩად იგდებს და უკადრისობს. ვინმე უბედურმა შემთხვევით ან შეცდომით თუ გამოტოვა წესის ასრულება, უნდა შეჭამოს ერთგვარი ცომი, რომელიც შედგება კარაქისა და ძროხის ფუნისაგან. წინათ ქვრივებსა და ბავშვებს კლავდნენ. ორგიები და პროსტიტუცია იფურჩქნება მონანიებისა და ლოცვა-ჭვრეტის გვერდით. ერთნი თვლიან, რომ სამყაროს ერთიან სულთან შერწყმის საუკეთესო საშუალებაა თრობა ან ურთიერთობა მეძავ ქალებთან, მეორენი კი ეწევიან ასკეტურ ცხოვრებას და უარს ამბობენ ყველა კანონიერ სიამოვნებაზეც კი.

ყველაზე მთავარია პატივისცემა წმინდა წიგნების — „ვედებისადმი", კასტებად დაყოფილი საზოგადოებისადმი, ბრამინთა ბატონობისადმი და წმინდა ძროხისადმი. ისე კი ყველაფერი დაშვებულია. განსაკუთრებით უხეში ცრურწმენანი დგანან ყველაზე წმინდა, ყველაზე სულიერ წეს-ჩვეულებათა გვერდით.

ბუდიზმი

ჩვენ განვიხილეთ ინდუიზმი იმდენად, რამდენადაც შესაძლებელი იყო რამდენიმე გვერდზე გადმოგვეცა ესოდენ მრავალფეროვანი რწმენის გაფურჩქნის სურათი.

დაახლოებით ქრისტეს შობამდე VII

საუკუნეში დიდმა რეფორმატორებმა თუ რელიგიურმა გენიოსებმა ახალ გზაზე დააყენეს დაკნინებული წარმართობა. ესენი არიან ლაო-ძი და კონფუცი ჩინეთში, აქედან: ორი რელიგია — დაოიზმი და კონფუციანელობა... ეს არის ზოროასტრი ან ზარატუშტრა სპარსეთში... ეს არის ბუდა ინდოეთში. მისგან გაჩნდა რელიგია ბუდიზმი, რომელსაც ბრამინები მტრულად შეხვდნენ. იგი გავრცელდა სიამზე, კამბოჯაში, ცეილონზე, ჩინეთში, კორეაში, იაპონიაში, ტიბეტში, მონღოლეთში. ოოტა რამ უნდა ვთქვათ ბუდიზმზე, რომელიც ისევე ნაკლებად არის ჩვენში ცნობილი, როგორც ინდუიზმი. ბუდიზმი ასობით მილიონ მიმდევარს ითვლის და უგუნურება იქნებოდა მისი მნიშვნელობის გაუთვალისწინებლობა, მით უმეტეს ჩვენს დროს, ვინაიდან ეს რელიგია განსაკუთრებით ძლიერია მისიონერობით.

უნდა გვესაუბრა სხვა რელიგიებზეც — ჩინურ კონფუციანელობაზე, შავკანიან ხალხთა ანიმიზმზე... მაგრამ თემის შეზღუდვის აუცილებლობა არ გვაძლევს მათზე შეჩერების საშუალებას.

1. ბუდას ცხოვრება

ბუდა შაკიამუნი გაჩნდა ინდოეთში, ბენარესის მახლობლად, მდინარე განგთან, ქრისტეს შობამდე VI საუკუნეში. მისი ნამდვილობის საკითხი ჩვენს დროში მეტად სადავოა. მრავალთა მსგავსად, ჩვენც ვუშვებთ მის არსებობას იმის გათვალისწინებით, რომ ძალზე რთულია ისტორიული არსის გახსნა ლეგენდებით შენიღბვის გამო.

ზოგი ფიქრობს, რომ ბრამინთა რელიგია იმხანად საჭიროებდა სერიოზულ გადასინჯვას. ბრამინები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ საკუთარი ავტორიტეტი და მალავდნენ ძვირფას წმინდა წიგნებს „ვედებს", ხოლო ხალხს უმეცრებაში სტოვებდნენ და ექსპლოატაციას უწევდნენ. ისინი უშვებდნენ ყოველგვარ ფანტაზიებსა და უხეშობას, ოღონდაც მორწმუნეებს საჩუქრები და შესაწირავი მიერთმიათ მათთვის რელიგიურ ღღესასწაულებზე.

ის, ვინც შემდგომში ბუდა გახდება, დაიბადა დაახლოებით 560 წელს ქრისტეს შობამდე, იყო შაკიას მთავრის შვილი, სახელად სიდჰართა ერქვა. შეისწავლა წმინდა წიგნები — „ვედები" და ბრამინთა განმარტებანი. ერთხელ ხვნის დროს ხარების ტანჯვის, დაქანცული ადამიანების, გუთნის პირით მოკვდინებული პატარა ცხოველებს — ჭიებისა და ჭიანჭველების მხილველ ყმაწვილ ბუდას ძალზე აუჩუყდა გული. სიდჰართა 16 წლის იყო, ქვეყნის ადათის მიხედვით ცოლი რომ შერთეს. თავადური ცხოვრების სიტკბოების მიუხედავად, მას არ ასვენებდა სიბერის, ავადმყოფობის და სიკვდილის საიდუმლოებები. სიდჰართამ მიატოვა სასახლე, მეუღლე, ახლადდაბადებული ბავშვი და დაიწყო ბერული ცხოვრება — ჭვრეტა და მდუმარება. შევიდა ბრამინთა და ასკეტთა სასწავლებელში, იქ ექვსი წლის განმავლობაში მარხულობდა და გვემდა საკუთარ სხეულს, რათა ეპოვა ხსნის გზა. ამ პერიოდში შეარქვეს მას მეტსახელი შაკიამუნი — შაკიას ქვეყნის ბერი.

ყველაფრისდა მიუხედავად, ამ ასკეტურმა ცხოვრებამ მას ვერ მოუტანა სასურველი სინათლე. იგი ფიზიკურად და მორალურად დაიქანცა... მიხვდა, რომ უაზრობა იყო ეს ტანჯვა-წამება თუ მარხულობა და დაიწყო მაძღრისად ჭამა. შეძრწუნებულმა მეგობრებმა მიატოვეს. ის კი დაჯდა ხის ძირას და ფიქრებში ჩაიძირა. ღრმა ჭვრეტაში მყოფს, მას უნდა გაეძღო მრავალრიცხოვან ცდუნებათათვის, რომლებიც ცხოვრების ყოველნაირ სიტკბოებას უქადდნენ. და აქ მას დაეუფლა დიადი შთაგონება, მან პოვა თავისი სიცოცხლის სინათლე.

მთელი მისი აზრი მიმართული იყო კაცობრიობის ტანჯვისაკენ, და ამ ტანჯვისაგან განთავისუფლებისაკენ. იგი ფიქრობდა ცოცხალ არსებათა გარდასახვის ციკლზე — არსებებისა, რომლებიც მეორდებიან მცენარეებში, ცხოველებში, ადამიანებში და მოაქვთ მხოლოდ ტანჯვა, რადგანაც ტანჯვის გარეშე არ არსებობს არც ერთი სიცოცხლე... და აი, მან იპოვა მიზეზი საყოველთაო ტანჯვისა და ამით საშუალებაც, რათა თავიდან აეცილებინა სულთა „გარდასახვის“ ულმობელი ბორბალი. მას „გაეხსნა სიბრძნე“... ამ დღიდან სიდჰართა, მთავრის ეაჟიშვილი, შაკიამუნი, ბერი შაკიას ქვეყნიდან, გახდა „ბუდა“— „განათლებული“, „ის, ვინც მიაღწია საგანთა უმაღლეს შემეცნებას“.

ბუდა ფიქრობდა, რომ ხელთ ეპყრა „ჭეშმარიტების საგანძური“. გარკვეულ პერიოდში მან შექმნა თავისი მოძღვრება გადარჩენაზე. თავდაპირველად სურდა ეს აღმოჩენა თავისთვის დაეტოვებინა, მაგრამ მალე იგრძნო, რომ ვალდებული იყო გაევრცელებინა. იგი ბუდა წარმატება აზრმა თავის დიად დანიშნულებაზე ბენარესში წარმოთქვა ცნობილი ქადაგება. შეაგროვა მოწაფენი და ორმოცი წლის განმავლობაში ქადაგებდა. ინდოეთში გარდაიცვალა 60 წლის ასაკში, სიკვდილის წინ თავის მოწაფეებს, განსაკუთრებით საყვარელ მოწაფეს ანანდას განუცხადა, რომ მხოლოდ მის მოძღვრებას შეუძლია მიიყვანოს ადამიანები სიკეთემდე და ბედნიერებამდე.

2. ბუდას დოქტრინა

ბუდამ აღმოაჩინა, რომ სიცოცხლე ტანჯვაა. ამ ტანჯვის მიზეზია სურვილები, სიცოცხლის წყურვილი, მუდმივი ცვლილების, ყოვლის მოსინჯვის, ყველაფრის გაგების მოთხოვნილება... ტანჯვის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ამ წყურვილის ჩახშობა, სურვილთა შეწყვეტა. საჭირო არ არის ღვთაების არსებობის, სულის უკვდავების შეცნობა, იმაზე ფიქრი, თუ რა ელის ადამიანს სიკვდილის შემდგომ. ეს ყოველივე შემეცნების სურვილია და სწორედ ის იწვევს წუხილსა და ტანჯვას. უნდა ვიცოდეთ მხოლოდ ერთი რამ: თავიდან რომ ავიცილოთ „გარდასახვათა“ წრებრუნვა ერთი არსებიდან მეორედ — ცხოველად, მცენარედ, ადამიანად — ამით კი მომავალში ახალი ტანჯვა, უნდა ვიცოცხლოთ ბუნებასთან სრული შეთანხმებით. ყველაფერში საჭიროა ზომიერება, ყოველთვის უნდა ვიმოქმედოთ გონივრულად, მოზომილად, ნორმალურად დავიკმაყოფილოთ მოთხოვნილებები და მუდამ, ყველა ვითარებაში შევინარჩუნოთ სრული სულიერი სიმშვიდე. უნდა შევეგუოთ იმას, რომ ყველაფერი წარმავალია — საკუთარი არსებობაც კი —და არავითარი შეკითხვა არ დავუსვათ ჩვენს თავს... რადგანაც სულ ერთია, ვერაფერს შევიტყობთ და რუდუნება არაფერს გვარგებს. ამიტომაც არის, რომ ის, ვინც დაუსრულებლად ფილოსოფოსობს და მსჯელობს, ბრამინთა მსგავსად უქმად კარგავს დროს. სხვათა შორის, ისინი ხსნასთან სხვებზე ახლოს არ იმყოფებიან. წეს-ჩვეულებანი და კულტი არავითარ სამსახურს არ ასრულებს, მაგრამ ის, ვინც გაიგებს და მისდევს ამ მოძღვრებას, გადარჩენილია. იგი დატოვებს ამქვეყნიურ არსებობას, სადაც თითქოსდა ცოცხლად იწვის ტანჯვათა ალზე, და გადარჩება „ნირვანაში“ (რაც ნიშნავს — ცეცხლის ალის ქრობას), მარადიული ბედნიერების სიჩუმესა და სიმშვიდეში.

კრიტიკა

რას წარმოადგენს „ნირვანა?“ თუ არსებობს, რაღად უნდა ვისურვოთ იგი, მაინც ხომ უნდა ჩავკლათ საკუთარ თავში სიცოცხლის უმცირესი სურვილიც კი? თუ არის ეს სრულყოფილი ბედნიერების, უბერებელი არსებობის მდგომარეობა? ბუდისტთა აზრი იმდენად ბუნდოვანი და მრავალმხრივია, რომ ჩვენი გაგება მას ვერ სწვდება.

ბუდა არსებითად არ ქადაგებდა რელიგიას — ერთობას ადამიანის გარეშე მყოფ არსებასთან.

იგი, როგორც ჩანს, ურაყოფს ღმერთის არსებობას და სულის უკვდავებას. თუმცა, მისი გაგებით, სული არის ღვთაების გამოსხივება. ჩვენს წინაშეა ძლიერ ამაღლებული, სუფთა, სულიერი მოქალაქეობრივი ეთიკა, რომლის მიღმა მოჩანს რელიგიური იმედი ღმერთთან დაბრუნებისა, ურომლისოდაც ადამიანი ვერ იარსებებს და რომელსაც ძალუძს მხოლოდ ნეტარებასთან მიყვანა. ჩვენ აქაც ვხვდებით ღმერთის მოთხოვნილებას, რომელიც ადამიანის არსშია ჩართული.

3. ბუდას მოწაფეები აერცელებენ მის მოძღვრებას

ბუდას ჰყავდა მოწაფეები, რომლებთან ერთადაც ცხოვრობდა. წარსული დროიდან დღევანდლამდე კაცთა თუ ქალთა გაერთიანებანი, მათი მაგალითისამებრ, თავს სწირავდნენ ხსნის ძიებას. დღესაც მრავალრიცხოვანია ბუდისტთა ტაძრები, იქნება ეს ცეილონზე თუ ჩინეთში, იაპონიასა თუ ტიბეტში. ზოგი მათგანი 5-დან 15 ათასამდე ბერს ითვლის. ისინი, ვისაც სურს გადარჩეს, თავიდან აიცილოს გარდასახვანი — მუდმივი გარდასვლები ერთი ცოცხალი არსებიდან მეორეში, უარს ამბობენ ოჯახსა და სიმდიდრეზე, იპარსავენ თმასა და წვერს, იცმევენ ყვითელ სამოსს, ცხოვრობენ ქორწინების გარეშე და სტოვებენ ქვეყანას. უარგნოდ, ყველა ცოცხალი არსების სიყვარულით, იქნება ეს ადამიანი თუ ცხოველი, ისინი ცდილობენ იხსნან თავიანთი თავი, არ ქურდობენ, არ ცრუობენ, ცდილობენ არ წამოცდეთ უწმაწური სიტყვა, ცხოვრობენ ყველასთან სიამტკბილობით, იკვებებიან ზომიერად, იღებენ, რასაც აძლევენ, დღეს ატარებენ ლოცვასა და ჭვრეტაში, ინანიებენ თავიანთ ცოდვებს. ეს ნამდვილი მონასტრული ცხოვრებაა. ბუდისტური მონასტრები ძალზე მრავალრიცხოვანი, აქტიური და გავლენიანია.

ბუდას მოწაფეების შეხედულება ნეტარებისკენ „გზაზე“, რომელიც დასახა მასწავლებელმა, გარკვეულად განსხვავებული იყო. ამიტომაც ბუდიზმში ვპოულობთ სამ დიდ ნაკადს, რომლებიც „ეტლებად“ იწოდებიან: „მცირე ეტლი“ (ცეილონზე), „ტანტრული“ — ბუდიზმისა და მაგიურ წეს-ჩვეულებათა ნარევი (ტიბეტში) და „დიდი ეტლი“, უმეტესად საინტერესო და ყველაზე გავრცელებული. იგი ებრძვის ეგოისტურ სიწმინდეს, რომელიც მხოლოდ თავის გადარჩენაზე ზრუნავს; ქადაგებს სხვათა სიყვარულს და მათი გადარჩენის სურვილს; ძალზედ დაკავებულია მისიონერობით, აქვს დიდი მქადაგებლური ძალა... და გაცილებით ადამიანურია; იგი აქტიურია, აქვს მდიდარი კულტი, სჯერა ღმერთებითა და წმინდანებით დასახლებული სამოთხისა, და ამიტომ უფრო მიმზიდველია... იგი ცდილობს გახდეს მსოფლიო რელიგია და მიესადაგოს რელიგიურ მისწრაფებებს ჩვენს დროშიც კი. მან წარმოშვა „თეოსოფია“ (1937 წელს ბუდისტთა საერთაშორისო კონგრესი ჩატარდა პარიზში).

4. ბუდისტური კულტი და ლეგენდები

ბუდისტთა წეს-ჩვეულებების, ტაძრების, ცხოვრების აღწერა ძალიან დიდ დროს წაიღებდა. ის, რაც ითქვა ინდუიზმზე, აქ უფრო გასაფართოებელია. რანგუნში (ბირმა) — „ათასი სავანის ქალაქში", სადაც მდებარეობს მსოფლიოში ერთ-ერთი ულამაზესი დაგონის სავანე, სამას ტაძარზე მეტია, რომლებშიც ათასობით ბუდას გამოსახულება, სხვადასხვა პოზაში ზის, წევს, დგას... თითქოსდა, ბუდას თმები მოთავსებულია ყველაზე მაღალ კოშკში. ხოლო ცეილონზე, მრავალრიცხოვან ტაძართა შორის ერთ-ერთი ყველაზე დიდებულია — მასში ინახება ბუდას კბილი! ყველგან ბუდას გამოსახულებაა... აწეული თითით — მშვიდობის სწავლებისათვის, რეალობის წინაშე დახუჭული თვალებით, ნეტარი ღიმილით, რომელიც მიანიშნებს ხსნას, ნეტარებას, მსოფლიოს სიხარულს და ა. შ.

ლეგენდა ბუდას ცხოვრებაზე ნამდვილი ზღაპარია ეს ნუგეშია მათთვის, ვინც არ კმაყოფილდება მხოლოდ მისი მორალით, მისი მშრალი, აბსტრაქტული რელიგიით, სილამაზისა და პოეზიის გარეშე.

5. რა ვიფიქროთ ბუდიზმზე?

რა დავასკვნათ? პირველ რიგში ხელაღებით არ უნდა გავკიცხოთ შესანიშნავი ძალისხმევა სულიერი აღმაფრენისა მრავალრიცხოვან მორწმუნე ბუდისტებში. ამ რელიგიამ შეძლო 20 საუკუნის განმავლობაში ეკვება შესანიშნავ ასკეტთა და ბრძენთა სულიერი ცხოვრება, ინდონეზიის, ტიბეტის, ინდოჩინეთის, იაპონიის ბუნებით მეომარ ხალხს ბუდისტური რელიგია წარმატებით უნერგავდა აზრს მშვიდობაზე, თვინიერებაზე, შეწყნარებაზე, სიკეთეზე, თანაგრძნობაზე, და განა ეს არ არის ის საუკეთესო, რაც ღმერთმა ჩადო ადამიანის გულში? გაუგებარია ეს ნარევი ჭეშმარიტად მშვენიერის, ეთიკურის, სულიერისა ცრურწმენასთან, სიუხეშესთან და გულუბრყვილობასთან. მორალური მანკიერებანი და მახინჯი ცრურწმენანი აქ უწმინდესი მსხვერპლგაღების, ყველაზე თავდადებული სიყვარულის გამოხატულების, სიკეთის გვერდით დგანან... და ეს ყველაფერი არეულია მოძღვრებათა, რწმენათა, სექტათა, წეს-ჩვეულებათა გორგალში. ბუდიზმის შესანიშნავი ძალისხმევა უფრო სუფთა, დაწყნარებული, ნათელი, მოწყალე, ყველასათვის ღია, საყოველთაო სულიერი ცხოვრების განხორციელებისთვის, ყველა ეგოისტური მიდრეკილებისაგან ადამიანთა განთავისუფლებისათვის მთელი ეს ძალისხმევა ვერ აღწევს მიზანს, რადგან მოწამლულია მრავალი სხვადასხვაგვარი მინარევით და ვარდება წარმართობაში, კერპთაყვანისმცემლობაში; უსუსურია იმიტომ, რომ არ ჰყოფნის შემეცნება ქრისტესი და მისი სახარებისა.

მაჰმადი და ისლამი

1. მაჰმადის ცხოვრება

მაჰმადი დაიბადა 560 წელს მექაში, არაბეთში — ვრცელ ნახევარკუნძულზე, რომელიც დაყოფილი იყო მრავალრიცხოვან წვრილ სამეფოებად, სადაც დათარეშობდნენ მომთაბარე ტომები. იმ დროისთვის მექა უკვე წმინდა ქალაქი იყო. აქ ერთმანეთს ხვდებოდნენ მიწათმოქმედები, მოსაზღვრე ქალაქების ვაჭ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რები და ნახევარკუნძულის შუაგულში მდებარე უდაბნოს ბედუინები.

თითოეულ ოლქს ჰყავდა თავისი ღმერთები, თავისი, ზოგჯერ ძალზედ უხეში, კერპები, რომელნიც წარმოიშვნენ 2000-3000 წლის წინ ასურეთში.

არსებობდა საშინელი სულების — „ჯინების“ კულტის ცრურწმენა; ამასთან, ყველა არაბი, მიუხედავად თავისი კერპისა, თაყვანს სცემდა „შავ ქვას“ მექაში, რომელიც ითვლებოდა ანგელოზის მიერ ზეციდან ჩამოტანილად. ტაძარს, სადაც ეს ქვა იდო, „ქააბი“ ეწოდებოდა. ყოველწლიურად მთელი არაბეთიდან აქ ჩამოდიოდნენ მლოცველები, იმართებოდა დიდი ლოცვები და სავაჭრო ბაზრობები. იდებოდა ზავი, წყდებოდა ყაჩაღობა, ყოველგვარი შუღლი ქალაქთა, ტომთა, ოჯახთა შორის.

ეს კერპთაყვანისმცემელი ტომები ხვდებოდნენ ებრაელებსა და ქრისტიანებს, რომლებიც უკვე მრავლად იყვნენ წინა აზიაში. რამდენიმე საუკუნე იყო, რაც არაბულ ელიტას ეჭვის ქვეშ ჰქონდა დაყენებული თავისი უიდეო-პრიმიტიული რელიგიის ღირებულება, ჭეშმარიტების მაძიებელთ უწოდებდნენ „ხანიფებს“ და მაჰმადიც ერთ-ერთი მათგანი იყო. მისი ჩვეულებრივი გარეგნობის ქვეშ იმალებოდა ტანჯული, მგზნებარე და მღელვარე სული. ერთდროულად მისტიკოსიც იყო და ხორციელიც, პოეტი და მჭვრეტელი, უდრეკი ნებისყოფის მქონე და ენერგიული, მკაცრი ორგანიზატორიც.

მაჰმადი ძალზედ ადრე დაობლდა და ბიძასთან მოხვდა აღსაზრდელად. მსახურად დაუდგა მდიდარ ნათესავ ქალს, დაჰყავდა მისი ქარავნები და ბოლოს ცოლადაც შეირთო. მაგრამ ამ მდიდარი ცხოვრების პერიოდშიც კი მას სტანჯავდა რელიგიის საკითხები. თანატომელების უხეში კერპთაყვანისმცემლობა მისთვის მიუღებელი იყო. ძალზედ იტანჯებოდა და... ეგებ ეს იყო თვითდარწმუნება, ხანგრძლივი და ხშირი ფიქრის ნაყოფი ან მისტიკური შედეგი ჭეშმარიტების თავგანწირული ძიებისა... მას ესმოდა როგორ ებაასებოდა ღმერთი ზართა უცნაურ წკარუნსა და ხეთა შრიალში, ექსტაზიდან გამოდიოდა იმის ღრმა რწმენით, რომ ღმერთმა მიანდო დიადი მისია: ებრძოლა კერპთაყვანისმცემლობასთან და ექადაგა ერთიანი ღმერთი.

მაჰმადი „წინასწარმეტყველი“ გახდა.

ახლობლებმა სწრაფად გაიზიარეს მისი რელიგიური მსოფლმხედველობა და იგი წავიდა საქადაგებლად მექაში, სადაც ცუდად შეხვდნენ. კორეიშიტებმა დაიწყეს მისი დევნა, ვინაიდან სულაც არ იყვნენ დაინტერესებული იმ კულტის გაქრობით, რომელსაც დიდი სარგებელი მოჰქონდა დინასტიისათვის. თავი რომ გადაერჩინა, მაჰმადი იძულებულა გახდა გაქცეულიყო. მან თავი შეაფარა იასრიბს (ახლანდელი მედინა), სადაც შექმნა თავისი რელიგიური პროპაგანდის ცენტრი. აქ იგი ფიქრობს, ფორმას აძლევს თავის მოძღვრებას და გადაწყვეტს დაამკვიდროს იგი წმინდა ომის მეშვეობით, რადგან მარტო ქადაგება შედეგს არ იძლევა. იწყება დაპყრობათა სერია... მარჯვე პროპაგანდის წყალობით მაჰმადმა მიიმხრო ღარიბი კლასები, რომლებსაც ექსპლუატაციას უწევდნენ მდიდარი კორეიშიტები. ამ სახალხო არმიით მან შეძლო გაეძლო მედინას ალყისათვის, ორი წლის შემდეგ კი თავად უტევს მექას, ალყას არტყამს და აიძულებს დამორჩილდეს, ანადგურებს ყველა კერპს და ადგენს ახალ რელიგიას, ყველა ურჩი ტომი დამორჩილებულია.

მედინაში წინასწარმეტყველის გარდაცვალების შემდეგ (მისი კუბო მოთავსებულია შესანიშნავ მეჩეთში) ისლამი ვრცელდება ხმელთაშუა ზღვის სან-

აპიროზე, ჩინეთამდე და ინდოეთამდე, აფრიკაში და საფრანგეთამდე, სადაც მისი შემოტევა პუატიესთან შეაჩერა კარლოს მარტელმა.

2. მაჰმადის რელიგიური მოძღვრება... ყურანი

„წინასწარმეტყველის“ მთავარი იდეა ის არის, რომ არსებობს მხოლოდ ერთი დიადი სინამდვილე: ერთადერთი ღმერთი, ალაჰი. „... არა არს ღმერთი, თვინიერ ალაჰისა, და მაჰმადი მისი წინასწარმეტყველია“. ეს ზუსტი და უპირობო განსაზღვრებაა. „ღმერთი ერთია. მხოლოდ ალაჰია დიადი“! ქრისტიანთა „სამებაც“ კი ღმერთის შეურაცხყოფაა... ხოლო ვინაიდან მუსლიმანები ერთადერთნი არიან, ვინც ღმერთის აბსოლუტურ უფლებებს ამტკიცებს, მათ უნდა იამაყონ ამით და, თუ საჭირო იქნა, ეს შესანიშნავი მოძღვრება წმინდა ომით გაავრცელონ მსოფლიოში.

თუ ღმერთი უსასრულოდ დიდია და მიუწვდომელი, თუ მან შექმნა სამყარო, მხოლოდ იმიტომ, რომ ასე სურდა. ყველა შემთხვევა — კარგიც და ცუდიც მხოლოდ მისი ნებით ხდება. „ვინ ხარ შენ, მოკვდავო ადამიანო, რომ გაბედო ალაჰთან დავა?“ იგი ისე მოქმედებს, როგორც მოსწონს და იმას აკეთებს, რაც სურს. მასთან პირად ურთიერთობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, იმის გაფიქრება, რომ ღმერთს შეუძლია დავიდეს ადამიანის დონემდე, სიგიჟეა, მკრეხელობაა უწოდო მას „მამა“, როგორც ქრისტიანები სჩადიან.

რაღა დარჩენია ადამიანს? უბრალოდ ღმერთს დამორჩილდეს — დამორჩილებული, ღმერთისთვის თავდადებული ადამიანი არის „მუსლიმი“ — მუსლიმანი. ისლამი სხვა არაფერია, თუ არა სრული და უსიტყვო დამორჩილება ყოვლისშემძლისადმი, ეს არის უარის თქმა პირად თავისუფლებაზე, სიმდიდრეზე, მიდრეკილებებზე. სწორედ აქედან მოდის ფატალიზმი, რომელთანაც დაკავშირებულია მუსლიმანის მთელი არსებობა — „ეს დაწერილი იყო“.

მორჩილების საფასურს მორწმუნენი მიიღებენ გარდაცვალების შემდეგ —უკვდავი ცხოვრების მუდმივი სიკეთის სახით. ხორციელი სისარული იქ არცთუ მცირე ადგილს დაიჭერს. ბედნიერები წამოწოლილნი იქნებიან მშვენიერ საწოლებზე, სამოთხის გრილ და ჩრდილუხვ ბაღებში, ელ სელსებილის წყაროსთან, დიდი თასებით შესვამენ ღვინოს და მიირთმევენ ნანადირევსა და ტკბილ ხილს. მშვენიერი „ჰურიები“, ციური ქალწულნი, რომელთაც ჯერ არ შეხებია არც ანგელოზი და არც კაცი, მათ სრულ განკარგულებაში იქნებიან, ხოლო მათ, ვისაც არ სწამთ ალაჰისა და მაჰმადისა, ვინც განუდგება ისლამს, ჯოჯოხეთი ელით. ისინი იგემებენ ცეცხლის ენებით გარშემორტყმული უსაზიზღრესი ხის ზაკუმის ნაყოფს.

ყველა ეს რწმენა ჩაწერილია „ყურანში“ (რაც ნიშნავს: „საზეიმო კითხვა“, „წარმოთქმა“). მაჰმადი მხოლოდ ზეპირად ქადაგებდა თავის დოქტრინას, მოწაფეებმა კი სასწრაფოდ ჩაწერეს მისი შთაგონებული სიტყვები. 20 წელიწადიც კი არ გასულა მაჰმადის გარდაცვალებიდან, რომ ხალიფა (მორწმუნეთა ბელადი) ოსმანმა შეკრიბა მის მოწაფეთა ყველა ჩანაწერი და გააერთიანა ისინი „ყურანად“, რომელიც არ შეცვლილა საუკუნეთა განმავლობაში.

მაჰმადის რელიგიური დოქტრინის გარდა, ყურანი შეიცავს სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების მთელ კოდექსს. იგი ყველაფერზე უკიდურესად კატეგორიულად მსჯელობს — ასე, მაგალითად, იქ ნათქვამია, რომ ქრისტიანობა მართლაცდა წარმოიშვა ღმერთისაგან, მაგრამ ძლიერ შეირყვნა და დამახინჯდა ქრისტიანთა მიერ და საბოლ-

ოოდ იქნა დაძლეული ისლამითა.ის, რაც ნათქვამია ყურანში, ნათქვამია სამუდამოდ: სადავო არაფერია. საუკეთესო მსჯელობანი თავიდანვე არაფრად ღირან, მაჰმადი არ მსჯელობდა, იგი კატეგორიულად წყვეტდა. საკითხებს. აი რატომაა მუსლიმანი ამაყი და ამპარტავანი. — იგი დარწმუნებულია, რომ ჭეშმარიტების მატარებელია... და სიცოცხლეს გაწირავს, მაგრამ მას არ უარყოფს.

3. ისლამის კულტი და ეთიკა

ისლამის წეს-ჩვეულებები ეყრდნობა ხუთ ვალდებულებას, ესაა „ხუთი დედაბოძი".

1. რწმენის აღიარება წარმოადგენს საჯარო კითხვას ოფიციალური ფორმულისა — „არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა, და მაჰმადი მისი წინასწარმეტყველია". ეს არის წესი, რომლითაც შედიან ისლამში. რწმენის ამგვარი აღიარება საკმარისია ხსნის მისაღწევად. მხოლოდ ბუნებრივმა სიკვდილმა ან განდგომისთვის სიკვდილით დასჯამ შეიძლება გამოიყვანოს ადამიანი ისლამიდან. მუსლიმანად. რჩებიან მთელი ცხოვრების განმავლობაში.

2. ლოცვა — მუსლიმანმა უნდა ილოცოს დღეში ხუთჯერ, განსაზღვრულ დროს: მზის ამოსვლის წინ, შუადღისას, სადილის შემდეგ, მზის ჩასვლისას და ღამე. ქალაქებში მუეძინი მინარეთიდან, დღეში ხუთჯერ უხმობს მლოცველებს სალოცავად. სადაც უნდა იყვნენ, მორწმუნენი იჩოქებენ, ასრულებენ განბანის ტრადიციულ მოძრაობებს, რომც არ იყოს წყალი, რამდენიმეჯერ მიწამდე თაყვანს სცემენ და ხოტბას ასხამენ ალაჰის სახელს, ვისაც საშუალება აქვს, ამ ლოცვას მეჩეთში ასრულებს.

3. მოწყალება — მუსლიმანი ვალდებულია დაეხმაროს ღარიბებს, ქასცეს მოწყალება. ხანდახან უარი უნდა თქვას თავის შემოსავალზე, რაფა ხელი შეუწყოს რელიგიურ პროპაგანდას ან წმინდა ომს.

4. მარხვა — მთვარის მეცხრე თვის 30 დღის განმავლობაში (თარიღი იცვლება ყოველ წელს) მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე მუსლიმანი თავს უნდა იკავებდეს ძილისგან, საკვებისგან, სასმელისგან, მოწევისგან. მზის ამოსვლამდე შეიძლება მცირედად დანაყრება. ღამით კი იგი ლოცულობს, მღერის და შეექცევა. ეს „რამადანის" თვეა, რომელიც მთავრდება დიდი დღესასწაულით.

5. სალოცავად სიარული მექაში — თითოეული მუსლიმანი, სიცოცხლეში ერთხელ მაინც, სალოცავად უნდა ჩავიდეს ისლამის წმინდა ქალაქში.

მუსლიმანთა ეთიკა მარტივია, იგი ერთ მთავარ პრინციპზე დაიყვანება. მორწმუნენი უნდა ცხოვრობდნენ სრული ურთიერთგაგებით, ყოველნაირად უნდა ცდილობდნენ, რათა მაჰმადის მიმდევართა შორის სუფევდეს მშვიდობა, მეგობრობა და თანხმობა.

დანარჩენი ყოველივე ნებადართულია, ადამიანური ინსტინქტები სრულიად თავისუფალია — პოლიგამია დაშვებულია 4 ცოლამდე (აქ არ ითვლებიან მხევლები). თავად მაჰმადი შეუღლის გარდაცვალების შემდეგ დიდ ჰარამხანაში ცხოვრობდა. ყურანი არ უშლის უშნო ანგარებას, შურისძიებას, სიცრუეს, ქურდობას, მაგრამ ამასთან ერთად ალაჰის სახელით მოუწოდებს უყვარდეს ოჯახი, მოწყალება გაიღონ ღარიბთათვის, ობოლთათვის, მოგზაურთათვის; მოითხოვს ტყვეების გამოსყიდვას, მოთმინებას განსაცდელში, პატიოსნებას გარიგებათა დროს, თუმცა ხსნაში დარწმუნებული მუსლიმანი დიდად არ იწუხებს თავს ეთიკის წესების დაცვით, წესებისა, რომლებიც ძის ინსტინქტებს ეწინააღმდეგებიან.

4. რა ვიფიქროთ ისლამზე?

ისევე, როგორც ყოველ რელიგიაში, ისლამში შეიძლება ვპოვოთ დიდი სულამაზის სულები, რომლებიც ხოტბას ასხამენ ღმერთს, სამსხვერპლოდ გამზადებულნი, აღვსილნი არიან ზომიერი ვნებებით, არიან მართალნი და ღრმად ზნეობრივნი. მაგრამ მათ გვერდით ზარმაცი, ცოდვიანი, უკიდურესობამდე ფორმალისტი ადამიანების მასაა, არიან ისეთებიც კი, ვინც არ ასრულებს მათი რელიგიის 5 მთავარ მოთხოვნას.

უნდა აღგვაფრთოვანოს იმან, რომ მუსლიმანები ასე კარგად შეიგრძნობენ ღმერთს და ღვთიურს, რომ ასეთი შეურყვნელი, გულწრფელი რწმენა აქვთ. ისიც უნდა ითქვას, რომ მაჰმადი აღტაცებული იყო ქრისტეთი, აღიარა მისი ადგილი ღვთაების გვერდით, დააყენა იგი თავის თავზე უფრო მაღლა. სწამდა მარიამიც კი, იესოს დედა, შეუბღალავი პირველქმნილი ცოდვით.

მაგრამ, მეორე მხრივ, ისლამური რელიგია მიუღებელია სხვა მხარეებით: ხალხისგან და სიყვარულისგან შორს მდგარი ღმერთით, ფატალიზმით, წმინდა ომის ქადაგებით, რომელიც პროპაგანდისტულ პრინციპად იქცა, ამორალურობით, მხოლოდ ხორციელი სამოთხის პერსპექტივით და ა. შ. ეს რელიგია, რომელიც მცირედად აკმაყოფილებს სულს, მარტივი და იოლი თავისი ეთიკური პრინციპებით, მიუხედავად ერთიანი, ყოვლისშემძლე ღმერთის კულტისა, მხოლოდ ჩრდილად გვეჩვენება ქრისტიანობის ნათელი მშვენიერების წინაშე.

გურამ თევზაძე

კაპადოკიელთა რენესანსი X-XI სს. საქართველოში

„კაპადოკიელთა რენესანსის“ ცნება გულისხმობს ბიზანტიურ თეოლოგიასა და ფილოსოფიაში სამი დიდი კაპადოკიელი თეოლოგის: გრიგოლ ღვთისმეტყველის (330-390), ბასილ კესარიელის (330-379) და გრიგოლ ნოსელის (335-394), მოძღვრებათა გავლენის განსაკუთრებულ ზრდას X-XI სს. „კაპადოკიის სამი დიდი მნათობის“ ნააზრევი ამ პერიოდის ბიზანტიურ აზროვნებას აინტერესებს როგორც ანტიკურ ფილოსოფიასთან ქრისტიანული თეოლოგიის სინთეზის (ცხადია თეოლოგიის უპირატესობით) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცდა აღმოსავლეთის აზროვნებაში. მისი მოშველიება შესაძლებლობას ქმნიდა და ნიადაგს ამზადებდა ანტიკურობის უფრო ღრმა აღორძინებისათვის, რომელიც დაკავშირებულია მიქაელ ფსელოსის (1018-1078) და იოანე იტალოსის (1025-1082 წ. შემდეგ) სახელებთან და „პროკლეს რენესანსის“ სახელითაა ცნობილი (1. LVII).

რენესანსული აზროვნებისაკენ სვლაში ამ ორი მიმდინარეობის კავშირი ეკვიჩვენებს თუ რა დიდ შესაძლებლობას იძლეოდა პატრისტიკული იდეების შერჩევით გამოყენება ახალი იდეალებისათვის ბრძოლაში. კაპადოკიელი მოაზროვნეები და განსაკუთრებით გრიგოლ ნაზიანზელი ქრისტიანული თეოლოგიის და ანტიკური სიბრძნის (ე. ი. ათენის და იერუსალიმის) კავშირს სასარგებლოდ მიიჩნევდნენ და, ამდენად, უპირისპირდებოდნენ ტერტულიანეს (160-220) და მის თანამოაზრეებს, რომელნიც ამგვარ კავშირს პრინციპულად მიუღებლად თვლიდნენ. სამივე ზემოაღნიშნული კაპადოკიელი მოაზროვნე მონიზმის ნეოპლატონური პრინციპის დამცველია. რასაკვირველია, ამ პრინციპს ისინი ქრისტიანული მონიზმის საფუძველზე ანვითარებენ, მაგრამ ამ არსებითად განსხვავებული საფუძვლის მიუხედავად, პლოტინის და პორფირეს მოძღვრებებთან კავშირი მაინც საგრძნობია, რაც ძლიერ საყრდენს წარმოადგენდა ყველა იმისთვის, ვინც უფრო მეტად ცდილობდა ნეოპლატონიზმის და ქრისტიანობის დაახლოებას. ეს ეხება იმათაც, ვინც ამას ფარულად აკეთებდა (როგორც, მაგ., „არეოპაგიტიკის“ ავტორი), ასევე ნეოპლატონიკოსებთან ერთად პლატონის ქრისტიანობასთან დაახლოების მსურველებს (მიქაელ ფსელოსი და იოანე იტალოსი) და იმათაც, ვინც ნეოპლატონური და ქრისტიანული თეოლოგიების გაიგივებას ცდილობდა (იოანე პეტრიწი).

ამგვარი საფუძვლის გარეშე XI ს. ბიზანტიაში წარმატებით მოღვაწეობას

კი არა, არსებობასაც ძნელად თუ შეძლებდნენ ფსელოსი და მისი თანამოაზრეები. მათ ხომ ისეთი უკიდურესი ორთოდოქსები უპირისპირდებოდნენ, როგორიც იყო პატრიარქი მიქელ კერულარიისი (1000-1058), რომლის სახელთანაა დაკავშირებული განხეთქილება და შტრიბა (სქიზმა) აღმოსავლეთისა და დასავლეთის უკლესიებს შორის 1054 წ. ეგი ასტიკად ებრძოდა კონსტანტინე მონომახის კარზე დიდი გავლენის მქონე ანტელექტუალისტთა ჯგუფს კონსტანტინე ლიხუდის მეთაურობით. ესენი იყვნენ მიქაელ ფსელოსი, იოანე მავროპოდი და იოანე ქსიფილინი. ეს ხალხი ნეოგაუდა იმ დროისათვის შესაძლებელ თავისუფალ აზროვნებასა და ჰუმანურობას. მეგობრობის ფრინციპის შეფასების მოშველიებით კარგად ჩანს მათი დამოკიდებულება ორთოდოქსულ საეკლესიო შეხედულებებთან. თუ ლიხუდის წრისათვის მეგობრობა წარმოადგენდა ადამიანთა შორის ამქვეყნიური სულიერი ურთიერთობის მწვერვალს, კერულარიოსი კატეგორიულად უარყოფდა ამქვეყნიურობის რამე ზნეობრივ ღირებულებას (2, 189). ფსელოსი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მეგობრობა ადამიანთა ამქვეყნიური ურთიერთობის ნორმად უნდა იქცეს, კერულარიოსი კი მოყვასის მიმართ კეთილგანწყობას უარყოფდა. იგი თავის პოზიციას იმით ამართლებდა, რომ ამგვარი დამოკიდებულება იმქვეყნიურობიდან აცილებსო ჩვენს მოქმედებასა და ფიქრს. მეცნიერება კერულარიოსისათვის უბრალო ლაყბობა იყო. თუ ფსელოსი მასთან ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა, ეს იმიტომ მოხდა, რომ კერულარიოსის მოქმედება იმპერატორის მიზნებს შეეჯახა. მაგრამ ესეც არ იქნებოდა საკმარისი, ფსელოსს საყრდენი ქრისტიან წმიდანებშიც რომ არ ეპოვა. აქ განსაკუთრებით გრიგოლ ღვთისმეტყველი იყო გამოსადეგი, რომელიც მუდამ ხაზს უსვამდა ბასილ დიდთან თავის მეგობრობას. კაპადოკიელებში-ც პოულობდა საყრდენს ფსელოსი ზოგი ნეოპლატონური დებულების გასამართლებლად. თუმცა ფრთხილი და მოხერხებული ფსელოსი ამ დებულებებს ნეოპლატონურს არ უწოდებდა, პირიქით, ეგი კერულარიოსს აბრალებდა ნეოპლატონელობას (3.88).

ფსელოსის მოწაფე და მეტოქე იტალოსიც ხშირად იყენებდა ამ საყრდენს. ამიტომ წერდა პ. იოანუ თავის ცნობილ ნაშრომში „მიქაელ ფსელოსისა და იოანე იტალოსის მოძღვრება ილუმინაციის შესახებ", რომ რამდენადაც ორთოდოქსიის დამცველები არაფერს არ ერიდებოდნენ და ყველგან ერესს ხედავდნენ, ფსელოსი და იტალოსი „თავიანთ განმარტებებში თეოლოგ გრიგოლ ნაზიანზელს ემყარებოდნენ" (4.45).

XX ს. ქართულ ფილოსოფიაში ფსელოსისა და კაპადოკიელთა ეს კავშირი საკმაოდ ადრე დაინახეს. ეს მოხდა რუსთველის მსოფლმხედველობის ფილოსოფიურ საფუძვლებზე კამათისას. პროფ. მ. გოგიბერიძე, ხედავდა რა ფსელოსისა და მისი მომხრეების მიერ კაპადოკიელთა უხვ გამოყენებას, მეორე მხრივ, გამოდიოდა რა საკუთარი ზოგადი პოზიციიდან, რომ არა ქრისტიანული სქოლასტიკა, არამედ მხოლოდ არაბული ფილოსოფია გამოდგებოდა რუსთველის ჰუმანიზმისათვის, ყურადღებას არ აქცევდა განსხვავებას ფსელოსსა და კაპადოკიელთა შორის. ამის ფორმალურ უფლებას ის აძლევდა, რომ ფსელოსი საკუთარი პოზიციის დასაცავად გულმოდგინედ ამტკიცებდა თავის ერთგულებას კაპადოკიელთა მიმართ. მ. გოგიბერიძის აზრით „ფსელოსის სკოლაშ ერთი ნაბიჯიც კი ვერ გადადგა წინ კაპადოკიელი „დიდი მამების" გრიგოლ ნაზიანზელისა და გრიგოლ ნოსელის მიერ პირველად წამოყენებული და იოანე დამასკე-

ლის მიერ მთელი აღმოსავლეთის ქრისტიანობისათვის საბოლოოდ დადგენილი დებულებიდან იმის შესახებ, რომ მეცნიერება ამქვეყნიურ საქმეებში უნდა იყოს ხელშემწყობი და მსახური თეოლოგიისა, ხოლო ლოგიკური მეთოდი უნდა ემსახურებოდეს ქრისტიანული დოგმების გამართლების საქმეს" (5.22).

მართალია, დღეს ქართველ მედიევისტთა უმრავლესობა იზიარებს შ. ნუცუბიძის თვალსაზრისს, რომ რენესანსის ფილოსოფიური საფუძველი ნეოპლატონიზმი იყო, მაგრამ მ. გოგიბერიძის დამსახურებად მაინც რჩება კაპადოკიელთა ახალი როლის შემჩნევა XI ს. ბიზანტიურ მსოფლმხედველობაში. უდავოა, სწორედ კაპადოკიელებმა მისცეს საშუალება მიქაელ ფსელოსს ემტკიცებინა, რომ „იგი ქრისტიანობამ მიიყვანა პლატონთან და არისტოტელესთან" (5.146).

კაპადოკიელთა ნააზრევისა და პოზიციის უდავო მნიშვნელობამ რენესანსული აზროვნების გაბატონებისათვის ბრძოლაში ზოგი მკვლევარი იქამდე მიიყვანა, რომ რენესანსის მოღვაწეთა იდეალად გამოაცხადეს „ეკლესიის მამათა მიერ ანტიკურობის შესწავლა". როგორც ვხედავთ, აქ საშუალება მიზნად იქნა აღიჩნეული, რაც სამართლიანად გააკრიტიკა შ. ნუცუბიძემ თავის წიგნში „რუსთაველი და აღმოსავლეთის რენესანსი" (6.29).

კაპადოკიელთა ნააზრევი, ისევე როგორც მოგვიანებით ოანე დამასკელის პოზიცია, საშუალებას იძლეოდა თეოლოგიას ფილოსოფიაში დაენახა დაქრემდებარებული, მაგრამ მაინც მოკავშირე. ეს კი ამზადებდა ანდა, ყოველ შემთხვევაში, შესაძლებელს ხდიდა უფრო მაღალ სინთეზს, რაც პროკლეს აღორძინების სახით მოხდა, რომლის არსებითი შინაარსი თეოლოგიისა და ფილოსოფიის იგივეობის მტკიცება იყო. ამ ახალ პოზიციას მხოლოდ იმდენად შეიძლება სინთეზი ვუწოდოთ, რამდენადაც ერთმანეთს ემთხვევა ფილოსოფიის უმაღლესი ნაწილი — „მეტაფიზიკა" და თეოლოგია, ხოლო ფილოსოფიის სხვა ნაწილები თანხმობაშია მასთან. ამგვარი გაგების პრინციპები ფსელოსთან და იტალოსთან შეფარვითაა მოცემული, იოანე პეტრიწთან კი სავსებით აშკარად. თუმცა აქაც ეეჭველადაა მიჩნეული სრული თანხმობა კაპადოკიელთა მოძღვრებასთან, ისევე როგორც პავლე მოციქულთან.

მიუხედავად ამ მსგავსებისა, კაპადოკიელთა როლი საქართველოში და ბიზანტიაში სხვადასხვაგვარად ვლინდება. ბიზანტიურ ფილოსოფიასა და თეოლოგიაში პროკლეს ძლიერი და გავლენიანი მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ. მაგ., იოანე ფილოპონუსი (VI ს.), რომლის შრომებს ზოგჯერ ათენის ფილოსოფიური სკოლის დახურვის თეორიული გამართლების ცდას უწოდებენ. ეს გარემოება ნათელს ფენს ამ სკოლის წარმომადგენლის, ცნობილი კომენტატორის სიმპლიციოსის გაბოროტებულ გამონათქვამებს თავისი ყოფილი ამხანაგის (ალექსანდრიიდან) წინააღმდეგ. (8.27). მაგრამ ქრისტიანულ თეოლოგიას, ისევე როგორც მაჰმადიანურს, სჭირდებოდა ნეოპლატონური ფილოსოფიის რიგი პრინციპები, ამიტომ მისი უბრალო აკრძალვა საქმეს არ შველოდა. ამ ასპექტით პროკლეს ყველაზე დიდი დარტყმა, შეიძლება ითქვას, მიაყენა „არეოპაგიტიკის" ავტორმა, როცა ყოველივეს, რაც მაშინდელ ქრისტიანობას სჭირდებოდა პროკლესაგან და საერთოდ ნეოპლატონიზმისაგან, ქრისტიანულ თეოლოგიაში მოუყარა თავი და პავლე მოციქულის მიერ მოქცეულ დიონისე არეოპაგელს მიაწერა. მაქსიმე აღმსარებლის გულმოდგინებით ამ ნაშრომმა და შემდეგ „მიზეზთა წიგნმაც" პროკლეს ადგილი დაიკავეს თეოლოგიაში. ამის გამო „არეოპაგიტიკა" როგორც წყარო ღვთისმეტყველებისა კაპადოკიელთა ნააზრე-

ვის წინამორბედად იქცა. ამიტომ იყო, რომ მკვლევარები XX საუკუნემდე სპეციალისტთა პროტესტის მიუხედავად, მაინც მსჯელობდნენ ხოლმე კაპადოკიელებზე „არეოპაგიტიკის" გავლენის თაობაზე. ეს ისტორიულად შემუშავებული განწყობა დღესაც იჩენს ხოლმე თავს „არეოპაგიტიკაზე" კაპადოკიელთა გავლენის სათანადო შეუფასებლობით.

„არეოპაგიტიკისა" და მაქსიმე აღმსარებლის გავლენით ბიზანტიურ ფილოსოფიაში პროკლეს ხსენება ქრება VII-XI საუკუნეშდე. როგორც ჰოდსკალსკი აღნიშნავს ნარკვევში „ნიკოლოზ მეთონელი და პროკლეს რენესანსი ბიზანტიაში", მთელი ამ ხნის განმავლობაში პროკლეს ორიოდე ენციკლოპედისტი თუ მოიხსენიებს და ისიც შემთხვევით (7:51.6). როგორც საყოველთაოდ ცნობილია, XI ს. მეორე ნახევარში ვითარება რადიკალურად იცვლება.

იმავე შედეგს ვხედავთ საქართველოში XI ს. დასასრულისათვის. მაგრამ ამ შედეგისაკენ მიმავალი გზა მნიშვნელოვნად განსხვავებულია. ნათელია, რომ ბიზანტიელ თეოლოგებს და ფილოსოფოსებს „არეოპაგიტიკის" თარგმნა არ სჭირდებოდათ. მთელი ამ ხნის განმავლობაში ეს წიგნი მაქსიმეს კომენტარებთან ერთად მათთვის თითქმის სამაგიდო იყო. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ „არეოპაგიტიკაში" ფილოსოფია უფრო მკაცრად უქვემდებარდება თეოლოგიას, ვიდრე კაპადოკიელებთან. მაგრამ ფილოსოფიის არსებობის უფლება და მასთან თეოლოგიის გარკვეული კავშირი მაინც დაშვებულია (მაგ. კამათი აპოლიფანთან, ასევე მოგვი ელიმას და პავლე მოციქულის „კამათის" ფილოსოფიური ანალიზი, 9.76; 237). ამ შრომაში ხშირადაა მოშველიებული ფილოსოფიური არგუმენტები, მიუხედავად იმისა, რომ პავლე მოციქული დასაბუთების საჭიროებას რწმენის სისუსტედ მიიჩნევდა.

ამის გამო პროკლეს გამოყენების გასამართლებლად ბიზანტიაში საჭირო იყო კაპადოკიელთა პოზიციის წინ წამოწევა. საქართველოში კი „არეოპაგიტიკა" ითარგმნა მხოლოდ XI ს. მეორე ნახევარში, ე. ი. მაშინ, როცა „კაპადოკიის სამი მნათობის" შრომების არაერთი თარგმანი არსებობდა. ალბათ ამ გარემოებამ შეუწყო ხელი „არეოპაგიტიკის" უფრო ჰუმანისტურ ინტერპრეტაციას საქართველოში, რაღგან უდავოდ იყო მიჩნეული, რომ კაპადოკიელები „არეოპაგიტიკასთან" სრულ თანხმობაში არიან და მის დებულებებს ავითარებენ. ამ გარემოში გახდა ეს სახელგანთქმული ძეგლი რუსთველის მსოფლმხედველობის ერთ-ერთი ფილოსოფიური საფუძველი, და მოამზადა ნიადაგი თვით პროკლეს თარგმნისა იოანე პეტრიწის მიერ. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ პეტრიწი, რომელიც ეკამათება, მაგრამ არ ახსენებს „არეოპაგიტიკას", ბოლოსიტყვაობაში (თუ ხელნაწერის ეს ნაწილი მას ეკუთვნის), სრულ თანხმობაშია ბასილ დიდთან და გრიგოლ ღვთისმეტყველთან, რაც შეეხება გრიგოლ ნოსელს, მას აქ ვერ ვხედავთ, რაც გამოცანაა და პასუხს მოითხოვს. შეიძლება ამ კითხვაზე პასუხი მოგვცეს გრიგოლ ნოსელის და ნემესიოს ემესელის მიერ ადამიანის ბუნების გაგებათა შედარებამ. უკანასკნელის „ბუნებისათვის კაცისა" პეტრიწმა აირჩია სათარგმნელად და ე. ი. ეთანხმებოდა მას.

წინასწარ ერთ ნიშანზე შეიძლება მივუთითოთ: სპეციალისტების აზრით, გრიგოლ ნოსელი პირველია მამათა შორის, რომელმაც სრული „ღვთისადმი მსგავსება" არა მხოლოდ ისტორიის დასასრულს, არამედ დასაწყისშიც მიანიჭა ადამიანს (10.195). მართალია, ეს მსგავსება შესაძლებლობის სახით არსებობს, რაც დაახლოების უსასრულო პროცესისათვის არის გათვალისწინებული, მაგ-

ეზეკიას ტუნი იერუსალიმში

რამ მაინც პრინციპული მსგავსებაა, რომელიც გამოხატავს ადამიანის მსგავსებას უშუალოდ ღვთისადმი, როგორც ამას ბიბლიური გადმოცემა გვაუწყებს. პეტრიწისათვის კი ადამიანი შექმნილია არა უშუალოდ ღვთის ხატად, არაუფრ მხოლოდ ღვთის ხატის მსგავსად (12.219).

გვაქვს თუ არა უფლება ვილაპარაკოთ კაპადოკიელთა რენესანსზე ქართულ კულტურაში? რენესანსი, ცხადია, რამეს აღორძინებას, ზელაზლა წარმოჩენას ნიშნავს, თანაც უფრო მაღალ დონეზე, რაც ახალ კულტურულ დონესთან წარსულის კულტურის ელემენტების სინთეზით ხორციელდება. კაპადოკიელები საქართველოში, რასაკვირველია, ცნობილი იყვნენ X საუკუნემდე, მაგრამ მათი ოარგმანები როგორც წესი ორიგინალიდან არ სრულდებოდა და, რაც მთავარია, არც განმსაზღვრელი იყო მსოფლმხედველობრივი აზროვნებისათვის. X საუკუნიდან კი სულ სხვა სურათს ვხედავთ. ანტიკური ფილოსოფიის გამორჩევით შესწავლა საქართველოში ოფიციალური განათლების აუცილებელ ნაწილად იქცა (11.100). ეს დაყოფა უშუალოდ უკავშირდება ბასილ დიდის მიერ „გარეშე სიბრძნის“ შეფასებას.

ქართული ქრისტიანობა, როგორც ცნობილია კაპადოკიური კულტურის ძლიერ ზეგავლენას განიცდიდა . ქრისტიანობასთან ერთად საქართველოში კაპადოკიელი მამების მოძღვრებაც ვრცელდებოდა. თუ გავითვალისწინებთ კაპადოკიელებზე ნეოპლატონიზმის უდავო გავლენას, ძნელი დასანახი არაა, რომ განათლების ეს ხაზი ჩვენს ქვეყანაში უნდა ჩაითვალოს ნეოპლატონური აზროვნების მეორე წყაროდ, ნეოპლატონიზმისა, რომელმაც შემდგომში არსებითად განსაზღვრა ქართული მსოფლმხედველობითი აზროვნების განვითარება. პირველ წყაროდ ვგულისხმობთ კოლხეთის რიტორიკულ ნეოპლატონურ სკოლას, რომელიც წარმართულ ნეოპლატონიზმს ქადაგებდა და რომლის ერთ-ერთ წარმომადგენლად ბაკური შეიძლება მივიჩნიოთ. რაც შეეხება ქრისტიანული ნეოპლატონიზმის გავლენის (კაპადოკიელთა გზით) კვალს ქართულ აზროვნებაზე მისი განვითარების ადრეულ პერიოდში, აქ შეიძლება მივუთითოთ პეტრე იბერზე. როგორც მისი ბიოგრაფები გვამცნობენ, იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ბასილ დიდის მოძღვრებას და სახელმძღვანელოდ მიუთითებდა მასზე თავის მოწაფეებს, რომელთა შორის ქართველებიც იყვნენ.

კაპადოკიის ზემოაღნიშნულ მოღვაწეთაგან საქართველოში ყველაზე გავლენიანი და ცნობილი იყო ბასილ დიდი (330-379). მას ხშირად, იმ ქალაქის მიხედვით, სადაც ეპისკოპოსი იყო, ბასილ კესარიელს უწოდებენ. ბასილმა განათლება ათენში მიიღო გრიგოლ ნაზიანზელთან ერთად და მრავალი ნეოპლატონური იდეა ქრისტიანული ინტერპრეტაციით გაავრცელა. მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო სიკეთის მონიზმის იდეა, რომელიც ბოროტების შეფარდებითობის მაჩვენებელი მარჯვე მაგალითებით გაამაგრა.

ძველ ქართულ კულტურაში ბასილის განსაკუთრებული მნიშვნელობა არაერთხელ აღნიშნულა. „ქართული ტრადიცია არც ერთ საეკლესიო მამას (თვით ქართველ მოღვაწეებიდანაც კი) ისეთი დიდი გულისყურით არ ეკიდება და ისეთ დიდ პატივს არ მიაგებს და არც ერთი მათგანი ისე გათავისებული არ ჰყავს, როგორც ბასილი“ (13.05). მას ქართულად მთარგმნელებიც გამორჩეული შეხედა: ექვთიმე ათონელმა სრულად თარგმნა მისი „ითიკა“, რომელიც შედგება „სწავლანისა“ და „თარგმანებაი ფსალმუნთაისა“-გან. მასვე ეკუთვნის ბასი-

ლის წერილების თარგმანი. ბასილს თარგმნიდნენ გიორგი ათონელი, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი.

„სწავლანი" საფუძვლიანად განიხილავს საკეთის მონიზმის რაობას, დროის პრობლემას, პიროვნების თავისუფლების საკითხს, ბერძნულ ფილოსოფიასთან ქრისტიანობის მიმართების საკითხს, ბერძნული ფილოსოფიის შერჩევის პრინციპს და მისი ათვისების საზღვრებს, ქალის და კაცის თანასწორობას, გონებისა და ნების მიმართებას, სიბრძნისა და ფილოსოფიის ურთიერთკავშირს, სიზმრისა და სინამდვილის ურთიერთმიმართებას და სხვ. ოსტატური თარგმანის წყალობით მთელი ეს პრობლემატიკა შემოვიდა ქართულ აზროვნებაში. ცნებებისათვის მონახულია ადეკვატური ქართული ტერმინები, რომელთაგან ბევრი შერჩა ქართულ კულტურას და დღესაც თანამედროვედ გვეჩვენება. ესაა: გამოცდილება, ქველმოქმედება, „დუმილით ქადაგება", მეგობრობა, სათნოება, სულის გონება, შიში, ძრწოლა, თუალი იგი სულისაი და სხვ. მადლიერ მკითხველს უნებლიეთ მოაგონდება გიორგი ათონელის ნათქვამი ექვთიმეზე: „...ეგევითარი თარგმანი... არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩუენსა და ვჰგონებ, თუ არცაღა გამოჩინებად არს" (13.03).

„ჭეშმარიტებისა სიტყუაი ძნიად შესაპყრობელ არს", — გვასწავლის ბასილი (13.19). მიუხედავად ამისა, მიაჩნია, რომ პიროვნება თავის ნამდვილ რეალობას მხოლოდ ჭეშმარიტების მიღწევით იძენს. ჭეშმარიტების ანუ წრფელი რწმენის დაცვა ნიშნავს საკუთარი პიროვნულობის, მეობის მოვლას და დაცვას. ბასილი ცდილობს აუხილოს ადამიანს „თუალნი იგი სულისაი კრძალვად თავისა თვისისა" (13.21). რადგან ჭეშმარიტებას სული ეძებს და პოულობს, სულისა და სხეულისაგან შემდგარი ადამიანის არსებას სული ქმნის. ამიტომ „ეკრძალე თავსა შენსა, რომელ არს სული შენი" (13.22).

გრიგოლ ნაზიანზელი (330-390), ანუ გრიგოლ ღვთისმეტყველი ძალზე პოპულარული იყო საქართველოში. ექვთიმეს ამ საქმეშიც ლომის წილი უდევს. უმთავრესად მხოლოდ მის მიერ თარგმნილი გრიგოლის შრომებიდან შედგენილი კრებულების რიცხვი ცამეტს აღწევს (15.6). ეფრემის თარგმანებიდან კი ოერთმეტი კრებულია შედგენილი. ეფრემი ჩვეული თავმდაბლობით, ძირითად დაინახურებას ამ საქმეშიც ექვთიმეს მიაწერს, რომელმაც გრიგოლის სიბრძნის ყანის ყოველი ძნა („ყოველი მჭელი"), „აუდა ურემსა ქართველთასა". თავისთვის მან დაცვენილ თავთავთა („კუვილნი") აკრეფა დაიტოვა (15.149). ამ ორი მოღვაწის მიმართებაში უკეთ შეიძლება გამოიკვეთოს ტერმინ „ფილოსოფოსის" მნიშვნელობა სხვადასხვა სკოლაში და სხვადასხვა პერიოდში. მაგალითად, ეფრემი აქ ექვთიმეს მორიდებით მიუთითებს, რომ იგი არ თვლიდა სათანადო ყურადღების ღირსად ფილოსოფიურ წიგნებს. „ფილოსოფიური" ამ გაგებით საღვთისმეტყველოს, ე. ი. თეოლოგიურს უპირისპირდება, როგორც უმაღლეს მიზანს. ფილოსოფიური წიგნების თარგმანს ეფრემი თავის წვლილად მიიჩნევს. აქედან შეიძლება უფრო გასაგები გახდეს ეფრემისავე განცხადება დამასკელის „დიალექტიკის" თარგმანზე დართული — „სხუაი არარად ოდეს თარგმნილა საფილოსოფოსთა წიგნთაგანი". აქაც ფილოსოფია ღვთისმეტყველებისაგან განსხვავებულია და ექვემდებარება მას როგორც ორგანონი, ე. ი. იარაღი, რომელიც არსებითად ნეიტრალურია საპირისპირო მსოფლმხედველობათა მიმართ. რომ „ფილოსოფია" სხვაგვარადაც ესმოდათ, ამის დასადგენად შეგვიძლია ოთ მისი გაგება ამონიოს ერმისის ქართულ თარგმანში, სადაც იგი უიგივდება ღვთის-

ძეტყველებას (17.5). უდავოა, რომ ეფრემი ექვთიმეს ამგვარად გაგებული ფილოსოფიისადმი უყურადღებობას ვერ დააბრალებდა. მომდევნო ქართულ კულტურაში, პეტრიწის გავლენით, ფილოსოფიის ამგვარი (თეოლოგიასთან გაიგივებულის) გაგება უფრო იკიდებს ფეხს. რუსთაველთანაც ფილოსოფია სიბრძნეა და უმაღლეს სიბრძნესთან გვაერთებს, იგი გარანტიაა უმაღლესთან შეერთებისა და არა უბრალო საშუალება თეოლოგიისათვის.

გრიგოლ ნაზიანზელის თარგმანებით ქართულ აზროვნებაში ორიგენეს ნააზრევიც შემოვიდა. თავისი უმცროსი მეგობრის გრიგოლ ნოსელის მსგავსად ნაზიანზელიც ნეოპლატონიზმისა და ორიგენეს გავლენას განიცდიდა. მაგრამ ის ორთოდოქსულობაში, ისევე როგორც ბასილისაში, არასდროს შეპარვიათ ეჭვი,განსხვავებით გრიგოლ ნოსელისაგან, ნაზიანზელი როცა ათენში სწავლობდა ბასილთან ერთად, ამავე დროს ეუფლებოდა იქ ფილოსოფიას შემდგომში ცნობილი იმპერატორი იულიანე — განდგომილად წოდებული (18.70), რასაკვირველია, გრიგოლიც, ბასილის მსგავსად, ფილოსოფიას თეოლოგიას უქვემდებარებდა, მაგრამ განსაკუთრებით კეთილგანწყობილი იყო მის მიმართ. „გრიგოლის მიერ ღმრთისმეტყველისა, დიდისა ბასილის საფლავსა ზედა წარწერილი სიტყუანი“, რომლებიც ეფრემ მცირემ თარგმნა ქართულად, ნათლად გამოხატავს ამ კეთილგანწყობილებას, რომელიც, ღვთისმეტყველის აეტორიტეტით ნამაგრებული, ფართოდ ვრცელდებოდა ქართულ აზროვნებაში — „ჰოი საყვარელნო ათინელნო, რომელთა შორის ვისწავლიდით და გასწავლიდით“ (11.373). ათენსა და იერუსალიმს შორის ამგვარ საპატიო კავშირს აკანონებს გრიგოლ ღვთისმეტყველი თავისი და ბასილ დიდის სახელით.

მიუხედავად ამ კავშირისა, გრიგოლი მკაცრად იცავდა ანტიკური ფილოსოფიის შერჩევით ათვისების პრინციპს. იგი გადაჭრით უარყოფდა პითაგორას და ორფელთა მოძღვრებას, ასევე პლატონის მოსაზრებებს სულთა გადასახლების თაობაზე (18.25).

გრიგოლ ნაზიანზელს ქართულად თარგმნიდნენ გრიგოლ ოშკელი, ექვთიმე ათონელი, დავით ტბელი, ეფრემ მცირე და იოანე პეტრიწი. ეს თარგმანები ისეა შერჩეული, რომ თანხმობაშია რენესანსისაკენ მაშინდელი ქართული კულტურის გეზთან. როგორც აღნიშნული იყო, გრიგოლი ადამიანთა ურთიერთობაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მეგობრობას, იცავს რწმენისა და ფილოსოფიის ურთიერთკავშირს, გადამწყვეტად მიიჩნევს ზნეობრივ მოქმედებას, მსჯელობასთან და განაზრებასთან შედარებით აშკარა უპირატესობას ანიჭებს საქმეს, ე. ი. ზნეობრივ პრაქტიკულ მოქმედებას. ამით მზადდება ნიადაგი რუსთველის ცნობილი მაქსიმისათვის — „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა“.

IV საუკუნის კაპადოკიელ მოაზროვნეთაგან გრიგოლ ნოსელი ყველაზე უმცროსი იყო, მაგრამ ფილოსოფიური სიღრმით ყველაზე ძლიერად ითვლება. მას მიაწერენ ქრისტიანული ფილოსოფიური მისტიკის პირველ სერიოზულ დაფუძნებას. ეს მხარე დიდხანს იფარებოდა ფსევდო-დიონისეს ავტორიტეტით, რომლის „განთქმული სპეკულაციის დიდი ნაწილი მასთან უკვე მოცემული იყო“ (19.398). ჰ. კოხის თანახმად, ფილონი და ნეოპლატონიკოსები ერთნაირად იყვნენ გრიგოლისა და „არეოპაგიტიკის“ ავტორის წყაროები. განსხვავება, ცხადია, ის არის, რომ „არეოპაგიტიკაში“ გადამწყვეტია ნეოპლატონიზმის უმაღლესი ლონის წარმომადგენლის, ე. ი. პროკლეს გავლენა. მაგრამ სპეციალისტები მა-

ინც სამართლიანად გამოყოფენ იმ პუნქტებს, სადაც „არეოპაგიტიკა“ სწორედ გრიგოლ ნოსელს ემყარება (19.399).

გრიგოლ ნოსელისათვის რომ გეკითხათ, იგი მხოლოდ აგრძელებდა უფროსი ძმის — ბასილ დიდისა და გრიგოლ ღვთისმეტყველის საქმეს, განსაკუთრებით ბასილ დიდის იდეების ნათელყოფას თვლიდა თავის მიზნად, მაგრამ იქვე, აღნიშნავდა, რომ მათი ანალიზის ანდა დასაბუთების პროცესში მას, პრობლემის შინაგანი ლოგიკით გატაცებულს, ზოგჯერ ბასილის მიერ დადგენილი საზღვრების გადალახვა უხდებოდა. ამას სხვებიც ამჩნევდნენ და ამიტომ განსხვავებით ბასილისა და გრიგოლ ღვთისმეტყველისაგან, მის ორთოდოქსულობაში ხშირად შეჰქონდათ ეჭვი, თუმცა გრიგოლ ნოსელი გულმოდგინედ ებრძოდა არიანელებს და კონსტანტინოპოლის 381 წ. კრებაზე რწმენის ფორმულის ჩამოყალიბებაშიც დიდი წვლილი შეიტანა.

გრიგოლ ნოსელი ორიგენესაც და ნეოპლატონიკოსებსაც კრიტიკულად ითვისებდა, რადგან ცდილობდა თანამიმდევრულად დაეცვა ქრისტიანული თეოლოგიის პრინციპები. მაგრამ სწორედ ამ თანამიმდევრულობის გამო წინააღმდეგობასაც უწევდა გაბატონებულ ორთოდოქსიას. მაგალითად, ყველა არსების პირველ წყაროსთან დაბრუნების ნეოპლატონური პრინციპის თანახმად, იგი ამტკიცებდა, რომ ჯოჯოხეთის ტანჯვა მარადიული არაა, რომ ყველა ცოდვილი და მათ შორის სატანაც ღმერთს დაუბრუნდება. ბასილისაგან განსხვავებით, ებრძოდა ძონობის ინსტიტუტს, დაუშვებლად მიაჩნდა იგი (20.136). იმასაც ამტკიცებენ, რომ გრიგოლმა მამათა შორის პირველმა დაიწყო ადამიანის ღმერთთან იმთავითვე სრული მსგავსების მტკიცება, რაც მისი მისტიკის საფუძველია. მაგრამ ამ მსგავსების რეალიზაცია ხილვათა და ამაღლებათა უსასრულო პროცესს გულისხმობს. ადამიანის როგორც ღვთის სახის არქეტიპისაკენ სწრაფვის გამოსახატავად მან შესანიშნავი ფორმულა გამოკვეთა — „მარადის საკუთარ თავზე მაღლა“ (აეი ჰუფსელოცერონ ეაუტო. 14.195). ამით ქრისტიანობაში უსასრულობის ცნების პოზიტიური მნიშვნელობა დამკვიდრდა. უსასრულობა ნოსელს პირდაპირი აზრით ესმის: ღმერთი სრულყოფილი სახით არც ერთი დონის ექსტაზში, თვით მოსეს მიერ ნისლში განცდილშიც კი, არ ვლინდება. ამას უკავშირდება ბიზანტიურ რენესანსში იტალოსის იდეა სამყაროთა ღმერთისაკენ უსასრულო განვითარებისა (2.206).

თხზულებაში, რომელსაც „მოსეს ცხოვრება“ ეწოდება, ნოსელმა შექმნა არსებითი მნიშვნელობის მისტიკური ტერმინი — „მბრწყინავი წყვდიადი“, როგორც ზეგონიერი ხილვის გამომხატველი. მისი გავლენა „არეოპაგიტიკის“ გავლით რუსთველამდე აღწევს. იგი რუსთველის „მზიანი ღამის“ შორეულ წინაპრად შეიძლება ჩაითვალოს (14.254-5). ეს ცნება და ტერმინი (ბრწყინვალე წყვდიადი — ლამპროს გნოფოს) არ ითვლება ნეოპლატონური და საერთოდ ბერძნული ტრადიციიდან გამომდინარედ, რადგან ამ ტრადიციის თანახმად, სიბნელე და წყვდიადი ითვლება ბოროტებად (21.113).

ნოსელის იდეების გავლენა ქართულ აზროვნებაზე დასტურდება როგორც უშუალოდ, ისე „არეოპაგიტიკის“ გზით. ნოსელს თარგმნიდნენ დავით ტბელი, ექვთიმე ათონელი, ეფრემ მცირე. თეოლოგიური მისტიკის ღრმა პრობლემებთან ერთად ამ თარგმანებით ჩვენში შემოვიდა იმ დროისათვის სოლიდური საბუნებისმეტყველო ცოდნა სამყაროსა და ადამიანის შესახებ. ნოსელი არცთუ წარუმატებლად ცდილობდა თეოლოგიისა და ბუნებისმეტყველების შერიგებას.

სხვა კაპადოკიელია მსგავსად, ნოსელიც უარყოფს სულთა გადასახლების თეორიას, სხეულამდე არსებული სულის იდეათა სამყაროდან სულში ჩასახლების შესაძლებლობას, ასევე იმის დაშვებას, რომ სული უნდა „კუალად მიეიდეს მუნით“ (22.117). ნოსელს ეჭვიც არ ეპარება, რომ ამგვარ შეხედულებათა დამცველების „სიტყუაი“ საერთოდ „დაუდგრომელ არს და დაუმტკიცებელ არს“ (იქვე). ნოსელ ეპისკოპოსს, რაკი მთარგმნელები ჰყავდა, მიმდევრებიც ეყოლებოდა ქართულ აზროვნებაში. ისინი იმ მიმდინარეობას ქმნიდნენ, რომელთაც იოანე პეტრიწი დაუპირისპირდება და სრულ თანხმობას დაინახავს პლატონის იდეათა თეორიასა და „შესაქმეს“ შორის.

ამტკიცებდა რა სულისა და სხეულის შექმნას ერთად, ანუ „ერთბამად ბუნებიერად“ (22.118), ნოსელს აქედან სულაც არ გამოჰყავს სულის უკვდავების უარყოფა. ამ პრობლემას მან მიუძღვნა სპეციალური ნაშრომი — „ძიებაი სულისათვის“, რომელიც პლატონის „ფედონის“ ქრისტიანული ვარიანტია. აქ სოკრატეს ადგილს უკვე გარდაცვლილი ბასილი იკავებს, ხოლო მოსაუბრეები არიან გრიგოლ ნოსელი და მისი ღვთისმოსაული უფროსი დაი, მაკინე. ამ ნაშრომის ძველი ქართული ორი განსხვავებული თარგმანის არსებობა მასში გადმოცემული იდეების გავლენაზე მიუთითებენ ქართულ კულტურაზე.

კაპადოკიელთადმი ინტერესის მკვეთრი აღმავლობა X-XI სს. საქართველოში, რაც ერის კულტურის შინაგანი მოთხოვნილებებით იყო განპირობებული, სასიკეთო აღმოჩნდა ქართული მსოფლმხედველობრივი აზროვნებისათვის. აღორძინდა არა მარტო მთარგმნელობითი კულტურა, არამედ ფილოსოფიური აზროვნების დონეც. შემუშავებულ იქნა ახალი ტერმინოლოგია, გაშინაურდა მრავალი მნიშვნელოვანი ფილოსოფიური იდეა, მომზადდა ნიადაგი კულტურის შემდგომი წინსვლისათვის. ეს გამოიხატა ჯერ „არეოპაგიტიკის“ და შემდეგ ნეოპლატონიზმის მწვერვალის — პროკლეს ქართულად თარგმნით. პროკლეს პეტრიწისეულმა თარგმანმა და კომენტარებმა საქართველოში ჰუმანიზმის ახალი საფეხურის ფილოსოფიური საფუძვლები მოამზადა.

იმსოს ფერხთით

ინდუსი მოციქულის სადუ სუნდარ-სინგის ოთხი სიტყვა. ნიუ-იორკი.

ფინათქმა

მათთვის, ვისაც არ წაუკითხავს მ ი ს ი ს პ ა რ კ ე რ ი ს ბროშურა სადუ სუნ-დარ-სინგზე და არაფერი სმენოდა მასზე, სადუს ლოზანაში ჩამოსვლა არაფერს ამბობდა. ქადაგებაზე ბევრნი არ წავიდნენ და არც ფიქრობდნენ, რომ ის რაღაც განსაკუთრებული ვინმე იყო. „ჩვენ გვეგონა, რომ ის, უბრალოდ, ერთი მრავალთაგანი ქადაგია", გამიგონია ჭემდეგ იმ ადამიანთაგან, რომლებიც საერთოდ არ დადიან ქადაგთა მოსასმენად და იმით კმაყოფილდებიან, რომ ქ რ ი ს ტ ი ა ნ ე ბ ი არიან. სწორედ ამდაგვართ არგებდათ სუნდარ-სინგის ბაგეთაგან სიმართლის მოსმენა. ისინი კი, ვინც წავიდა ერთ ან ყველა კრებაზე, სადაც სადუ ღაღადებდა, გაოცებული იყვნენ სახელდობრ იმით, რაოდენ არ ჰგავს ის სხვა ადამიანებს და საერთოდ მქადაგებლებსაც კი. ერთხელ ნახვის შემდეგ შეუძლებელი იყო დავიწყება სიმშვიდისა და სიწმიდის იმ შარავანდისა, რომელიც თითქოს მისგან მოეფინებოდა. თვალნათლივ ჩანს, რომ ის არის არამიწიერი კაცი — მოწაფე ქ რ ი ს ტ ე ს ი — მქადაგებელი. მასზე შეიძლება ითქვას: „აი, ადამიანი, რომლისთვისაც უცხოა თუნდაც იოტისოდენა თავის მოწონება, პათოსი და მირაღული ამპარტავნული აზრები". მან, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, ქ რ ი ს ტ ე ს თ ვ ი ს მისი თექვსმეტწლოვანი მსახურებისას, ისწავლა ჩვეულებრივ ადამიანურ აზრებზე ამაღლება. ვიდრე გარინდულია და მდუმარებს, ის თავად სიმშვიდე და მოკრძალებაა. როცა ლაპარაკს იწყებს, — იმ სულთა დამწველი ცეცხლია, რომელიც ცდილობს მათგან ამოშანთოს სუსტი, სნეული ადგილები. მისი ხმა ჟღერადია, მისი ჟესტები წრფელი და მართალია, მისი სიტყვები ძლიერი და დამარწმუნებელია; მასში ყველაფერი წარმოაჩენს განსაკუთრებული სულიერი ძალის, „ძალის მექონ" ადამიანს. ქადაგების დამთავრების შემდეგ კი, როცა მოკრძალებულად იღიმება და მასთან მიახლოებულთ ხელს უწვდის, ის თავად სიმშვიდე და სხივიერი სიკეთეა.

ინტერესსმოკლებული არაა მისი ბიოგრაფიის ერთი პატარა ფურცლის გადაშლა იმის გასაგებად, თუ როგორ დადგინდა ეს სულიერი სიმშვენიერით იშვიათი ადამიანი. ყოვლად უეჭველია, რომ ეს ღ ვ თ ი ს რჩეული თავის უზარმაზარ ენერგიას ქ რ ი ს ტ ე ს თ ა ნ ურთიერთობით იძენს. მაგრამ 16 წლამდე, ვიდრე ქ რ ი ს ტ ე ს არ იცნობდა, მის ცხოვრებაში უზარმაზარი როლი შეასრულა მისმა შესანიშნავმა დედამ, ეს მდიდარი ქალი, არისტოკრატიული გვარის შვილი, იმავდროულად მომხიბვლელი ბუნე-

ბის ადამიანი იყო. მან თავისი სიმშვიდე, სიწრფელე და სიკეთე შვილსაც მიამადლა. შვიდი წლის პატარა სუნდარს ყველგან დაატარებდა: მაშინაც, როცა ტაძარში მიდიოდა ხილის, ტკბილეულისა და ყვავილების შესაწირად, მაშინაც, როცა რელიგიური საუბრები ჰქონდა ინდუს ბრძენებთან, მაშინაც, როცა უდაბნოზე ვლიდა წმიდა სადუსკენ ნუგეშისა და სულიერი სიმშვიდის მოსაძიებლად.

„სუნდარ, ნუ იქნები შენი უფროსი ძმებივით ხორციელი და ცარიელი! ყოვლის უწინარეს სულიერი სიმშვიდე და ნამდვილი ღვთისმოსაობა ეძიე. ნეტავ, ოდესმე წმიდა სადუ გახდებოდე!“ დედის ეს სიტყვები სამუდამოდ აღიბეჭდა მის გულში.

არაჩვეულებრივად ნიჭიერი ბიჭი ჩინებულად სწავლობდა და უკვე შვიდი წლისამ ზეპირად იცოდა საღვთო წიგნები სანსკრიტულ ენაზე. თოთხმეტი წლისამ დაკარგა თავისი უსაყვარლესი დედა და ამით საშინლად იტანჯებოდა. მას, როგორც თავისი რელიგიის ერთგულ ინდუს — ფანატიკოსს, სძულდა ქრისტიანობა, ბიბლიის გაკვეთილებზე კამათობდა, წარმოუდგენელზე წარმოუდგენელ კითხვებს აყრიდა მისიონერებს, დასცინოდა მათ, ერთხელ კი მთელი კლასის თვალწინ დახია სახარება, ცეცხლში შეუძახა.

შემდეგ კი ღამღამობით, როცა სახლში ყველას ეძინა, ერთმანეთს ადარებდა ყურანსა და სახარებას, აყურადებდა ქრისტეს სიტყვებს და, შორეთს მზერამიპყრობილი, უფიქრდებოდა ქრისტეს პიროვნებასა და არაჩვეულებრივ ცხოვრებას.

და აი, ქრისტეს ნებით, ნორჩი მდეანელი ხდება ინდოეთის პაულე, თავგამოდებული მქადაგებელი, რომელიც რამდენჯერმე მოივლის მთელ ტიბეტს, ჰიმალაის, ინდოეთს, მოივლის ფეხშიშველი, ყოველად უსახსროდ. ის იყო ამერიკაში, ავსტრალიაში, პალესტინაში, დასასრულ, აქ, შვეიცარიაში, ინგლისსა და დანარჩენ ევროპაში, არც ერთი დღე არ შეუსვენია, მთელ სულს თვისას სწირავდა ქრისტეს, გულმხურვალედ მოუწოდებდა ყველა გულგრილსა და ურწმუნოს, რომ მისკენ მოქცეულიყვნენ, ამბობენ, გაზაფხულზე ფინეთსა და რუსეთში გამგზავრებას აპირებსო. ქრისტე იყოს მისი მშველელი ამ დიად საქმეში! რუსეთში მისმა ჩასვლამ შეიძლება უზარაზარი ზემოქმედება მოახდინოს საწყალ, წამებულ სულებზე. სწორედ იმიტომ, რომ მისი სიტყვები სადაა და მისი ქადაგება წიგნებიდან კი არა, თვით ცხოვრებიდანაა, ისინი ღრმად წვდებიან სულს, სადუ ამბობს, რომ ქრისტესთან ურთიერთობა შედეგია ლოცვისა, და ეს არის საიდუმლო, რომელსაც თითოეული ადამიანი თავისი პირადი გამოცდილებით უნდა ჩაწვდეს. სადუ მუდმივად ბუნებაში ცხოვრობს, ბუნება მისთვის ცოცხალი წიგნია, ამიტომ მისი ენა ძალზე ხატოვანია.

მას ვიღაცამ ჰკითხა: „ნიადაგ რატომ უნდა ვილოცოთ, როცა უკვე ვიცნობთ ქრისტეს?“ მან ასეთი შედარება მოიტანა: „როცა ერთხელ გემით ვმგზავრობდი, ვნახე თევზები დროდადრო როგორ ამოხტებოდნენ ხოლმე ჰაერში მეტი სუფთა ჰაერის შესასუნთქად. მათ ხომ წყალშიც ძალუძთ სუნთქვა. ასეა ადამიანიც. მას თითქოს ამქვეყნიურობაში ძალუძს ცხოვრება, მაგრამ დროდადრო იმ თევზებივით, ლოცვაში, სხვა სფეროში უნდა მოიკრიბოს სუფთა ჰაერი სულისათვის“.

მიწიერ სიკეთეთა თაობაზე სადუმ ასეთი შედარება მოიტანა: „ერთხელ, როცა ინდოეთში მდელოზე ვიწექი საოცარ ყვავილებში და ვმზერდი მათ, ერთი კაცი მომეახლა და მითხრა: „ჯობს წახვიდეთ აქედან, აქ უკვე ბევრი მოკვდა ამ ყვავილებით ტკბობისას“.

„განა ისინი შხამიანებია?“ ვკითხე მე-



ხიდოსნის კოშკი

„არა, მაგრამ ისე ლამაზებია, რომ ადამიანები მათ გამო ივიწყებენ შიმშილსა და წყურვილს, ნებაწართმეულნი იძინებენ მათ შორის და ველარ იღვიძებენ". „განა ასევე არაა, — ამბობს სადუ, — მიწიერ სიკეთეთა საქმეც? რასაკვირველია, ისინი თავისთავად შხამიანი არ არიან, მაგრამ მრავალნი მათი სილამაზის გამო როგორ ივიწყებენ სულიერ შიმშილსა და წყურვილს და უნებისყოფონი ხდებიან! თუ სული ლოცვაში ახლდება და ფხიზლობს, მიწიერი სიკეთე მას ვერავითარ ზიანს ვერ მიაყენებს, და საჩუქარი ჩვენთვის არ გახდება იმაზე უფრო ძვირფასი რამ, ვიდრე არის ის, ვინც მას გვჩუქნის".

ურწმუნოების ირგვლივ სადუმ ასეთი მაგალითი მოიხმო: „ადამიანი, რომელიც კენესის თავის იჭვთა გამო და ურწმუნობას უჩივის, მაგონებს ერთ ინდუსს, რომელსაც მე და ჩემი მეგობარი შევხვდით ერთხელ გზაში. საბრალო ინდუსს ხელი ჰქონდა მოტეხილი და ყვიროდა: „მომაცილეთ ეს საშინელი ტკივილები, მისაშველეთ!" ჩემმა მეგობარმა, რომელიც ექიმი იყო, აუხსნა მას, რომ თავიდან საჭიროა დამტვრეული ძვლების ადგილზე ჩასმა და ტკივილები გაქრება. იჭვების ამბავიც ასეა: — ადამიანმა ჯერ თავისი ცხოვრება უნდა დაუკავშიროს ღმერთს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გაქარწყლდეს მისი იჭვები.

ერთხელ დიდი ძალისხმევა დამჭირდა სამხრეთელი ინდუსისთვის იმის ასახსნელად, რომ ტიბეტში წყალი იყინება და მასზე შეიძლება იარო. მან მისმინა, მაგრამ ვერაფრით დაიჯერა. ხოლო თავად რომ დაენახა ყინული, ამის დაჯერება არ გაუჭირდებოდა. ასევე არიან ადამიანებიც, რომლებსაც, თავიანთ გულში თუ არ გამოსცადეს ქრისტეს უფლობა და სიხარული, არა სწამთ, იმიტომ, რომ მათ ეს გრძნობები ჯერ არ მსჭვალავთ".

ერთხელ სადუ ჰყვებოდა თუ როგორ ესახება ჩვენი ლოცვების ღმერთთან მიღწევა.

„როცა ოკეანეზე ვმგზავრობდი, ძლიერი სიცხისგან წყალი აორთქლდა, ჯერ ბურუსი გაჩნდა, შემდეგ ღრუბლები და წვიმამ დაუშვა. ხელები შევუშვირე და წვეთებს გემო გავუსინჯე, — ტკბილი იყო. მზის სითბომ ზღვის მარილები არ დაიჭირა, მხოლოდ სუფთა წყალი აორთქლა. ამ მაგალითმა ჩემთვის ნათელი გახადა თუ როგორ იღებს ღმერთი ჩვენს ლოცვებს, როგორ წმენდს და ათავისუფლებს მათ მთელი მიწიერი მტვრისგან, ყველა ამქვეყნიური წვრილმანისგან, რომლებიც მათშია ჩაწნული".

მსოფლიო ომის დროს საუბარი გაიბა რწმენის ამ მძიმე გამოცდაზე. სადუ ჩაფიქრდა და თქვა: „ევროპას კიდევ უფრო მძიმე დროება დაუდგება. ღმერთს უყვარს ადამიანები, მაგრამ ადამიანები, როცა კარგად ცხოვრობენ, ივიწყებენ ღმერთსა და ლოცვას, ეს კი მათთვის სულიერი სიკვდილია".

„ახალშობილთ წყალში სვამენ, ხელს უტყაპუნებენ, რათა ტირილი დაიწყონ და სუნთქვა ისწავლონ, ღმერთს კი უხდება მიწიერი ვაების მეოხებით ასწავლოს ადამიანებს ლოცვა".

სუნდარ-სინგის ერთი მეგობარი ჰყვებოდა თუ რა უპასუხა სადუმ შეკითხვაზე — ნუთუ არ ამაყობ, შენს მოსასმენად ათიათასობით ადამიანი რომ იყრის თავსო. „როცა ქრისტე იერუსალიმში შედიოდა, — თქვა სადუმ, — ადამიანები თავიანთ სამოსელს და პალმის ტოტებს ფენდნენ მის გზაზე. იესო ეტრულით მოდიოდა, მის ჰატივსაცემად დაფენილ ყვავილებს ფეხითაც კი არ ეხებოდა. კარაული, პირიქით, სამოსელსა და ტოტებზე მიაბიჯებდა. მაგრამ სასაცილო იქნებოდა, კარაულს რომ წარმოედგინა, თითქოს ქუჩები ძის პატივსაცემად იყო გამშვენებული. ასევე

სისულელე იქნებოდა ეამაყნათ ქ რ ი ს ტ ე ს სახელით მსუფევ ადამიანებს: მათთვის მიგებული პატივი მათ არ ეხებათ".

და ეს ქ რ ი ს ტ ე ს თ ვ ი ს წამებული, ბრძენი და თვინიერი მქადაგებელი, რომელსაც წამებისგან სხეული დაიარებული აქვს, ჩვენ, პავლე მქადაგებელსავით, ერთ რამეს გვთხოვს: „სულს ნუ ჩაიქრობთ!" ყველა თავის ქადაგებაში გვეუდრება, რომ ქ რ ი ს ტ ე ს თ ა ნ ყოველდღიური ურთიერთობით გავალვივოთ ის ღ ვ თ ი ს ნაპერწკალი, რომელიც ყოველ ჩვენგანში სუფევს.

ᲡᲐᲓᲣᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲙᲚᲐᲪ ᲛᲝᲜᲢᲑᲔᲚᲘᲐᲠᲗᲖᲔ 1922 ᲬᲚᲘᲡ 5 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ

ᲦᲛ Ე ᲠᲗ ᲘᲡ გულით შესაცნობად საჭიროა განმარტოების, სიჩუმის ძიება" ᲦᲛ Ე ᲠᲗ Ი არ შეიძლება გამჭღავნდეს მიწიერი ფუსფუსის წიაღ.

როცა ქ რ ი ს ტ ე ს სურდა ბრმადშობილის განკურვნა, გაიყვანა ქალაქგარეთ, რაცა მოშორებოდა ბრბოსა და გაწამაწიას. მან ნერწყვისაგან გააკეთა მირონი და ბრმას თვალებზე წაუსვა; არა იმიტომ, რომ ი ს თავის ნერწყვს სასწაულმოქმედად თვლიდა, არამედ იმიტომ, რომ მ ა ს სურდა ბრმის რწმენა გამოეცადა და რამდენადაც ბრმის რწმენა სრული არ იყო, თვალებიც ნაწილობრივ აეხილა. „გამვლელ ადამიანებს ვხედავ, როგორც ხეებს", თქვა მან.

მაშინ ქ რ ი ს ტ ე მ ხელები დაადო მას თვალებზე და ისინი მთლიანად აეხილნენ. მაგრამ მისი სულიერი თვალები დახშული იყო: მან ი ე ს ო ქ რ ი ს ტ ე შ ი ვერ იგრძნო ღ მ ე რ თ ი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ფიზიკური მხედველობის გარდა ჩვენ გვაქვს სულიერი მხედველობაც, რომლის წყალობითაც ვხედავთ ღ მ ე რ თ ს. მაგრამ ბევრ ადამიანს სულიერ მხედველობაზე ბისტი აქვს გადაკრული. ბაგეებით ვლაპარაკობთ ღ მ ე რ თ ზ ე, სულიერი მხედველობით კი ვერ ვხედავთ მ ა ს. თითქოს ნისლი ფარავსო მ ა ს ჩვენგან, ვიდრე უცებ ბისტი არ მოგვცილდება თვალთაგან. უნდა გითხრათ თუ როგორ მომცილდა ის მე.

საქადაგებლად როდი მოვსულვარ, — მე ხომ ქ რ ი ს ტ ი ა ნ თ ა შორის ვიმყოფები, — არამედ იმის დასამოწმებლად, რომ ცოცხალი ქ რ ი ს ტ ე ვიხილე.

ი ს სამყაროს ღ მ ე რ თ ი და მ ა ც ხ ო ვ ა რ ი ა და არა უბრალო ადამიანი, როგორც ამას ბევრი ფიქრობს. ვინც პირადად არ დარწმუნებულა მ ი ს ღვთაებრიობაში, მან ამაზე არ უნდა იდავოს.

ი ს მოვიდა ამ ქვეყნად ადამიანის სახით, აღსავსე ადამიანების სიბრალულით. მახსენდება ტიბეტში გაგონილი ამბავი ერთ მეურნეზე, რომელსაც ბევრი ცხვარი ჰყავდა. ერთხელ შინ მობრუნებულმა გაიგო, რომ ასი ცხვარი ფარას მოწყდა და მთებში დაიკარგა. მას ძალიან ეწყინა და მსახურები გაგზავნა საძებნელად, მაგრამ მსახურებმა ვერ იპოვნეს ცხვრები და რადგან მხეცებისა ეშინოდათ, მალე მობრუნდნენ. მეურნემ გადაწყვიტა, თვითონ წასულიყო საძებრად, ოღონდ ცხვრებს რომ მისი არ შეშინებოდათ და მინდობოდნენ, ცხვრის ტყავი მოისხა და ოთხით წაბაკუნდა მათკენ. ყველა ცხვარი მოაქუჩა, შეიყვანა ისინი შემოღობილში, დააპურა, დაჭრილებს იარები შეუხვია, შემდეგ კი ცხვრების გასაოცრად, ტყავი მოიხსნა,

წელში გაიმართა და კვლავ ადამიანად იქცა. ასე მოგვეჭცა ჩვენ ქრისტეს დროებით გახდა ადამიანი, რათა უფრო ახლოს მოსულიყო ჩვენთან და მოეტანა ჩვენთვის თავისი მოძღვრება.

„იმყოფეთ ჩემში და მე ვიმყოფებ თქვენში". ქრისტეს სურს, რომ ჩვენ დღეში რამდენიმე წუთს მაინც ვრჩებოდეთ მხოლოდ მასთან პირისპირ, რათა ჩვენ ლოცვაში ვეძიებდეთ ღმერთს. მაგრამ ადამიანები როგორ ნაკლებ ეძიებენ მას!

და თვალახელილმა ბრმამ ვერ გაიგო თუ რა სასწაული მოიმოქმედა მისთვის ღმერთმა და არ დაუმადლა მას.

და ვერც ამ ქანცგაცლილმა, რომელიც 38 წელი იწვა ბეთზდის აუზთან და რომელიც ქრისტემ უცებ განკურნა. 38 წელი იწვა!.. თითქოს როგორ აღტაცებას უნდა აღევსო მისი სული!

როცა მე პალესტინაში ამ აუზთან ვიჯექი, ვფიქრობდი, თუ როგორი უშადური არსებები არიან ადამიანები, როგორი მადლობელი უნდა იყოთ თქვენ ღმერთისა, რომ ქრისტიანებად დაიბადეთ. ეს დიდი ბედნიერებაა!

მე წარმართად დავიბადე და ჩემს სიყრმეში ქრისტეს ვდევნიდი. მძულდა ქრისტიანობა და ერთხელ სახარება დავხიე კიდეც. მაგრამ სულიერ სიმშვიდეს ვერსად ვპოულობდი და საშინლად ვიტანჯებოდი. ჩემს თავს ვუთხარ, რომ თუ ღმერთს ვერ ვპოვებდი, თავს მოვიკლავდი. — ჩვენი სახლის ახლოს რკინიგზა გადიოდა. საღამოს ვიბანავე, მოვემზადე და გადავწყვიტე დილით მატარებელს ჩავვარდნოდი. ისევ ავიღე სახარება, დიდხანს ვიკითხე, საათნახევარი ვილოცე.

უცებ მთელი ჩემი ოთახი აავსო განსაცვიფრებელმა ნათელმა. ამ ნათელ ღრუბელში დავინახე ეკლისგვირგვინიანი ქრისტე. მე არ ძალმიძს გადმოგცეთ, თუ როგორი საოცარი სანახაობა იყო ეს!

შემდეგ ის ასევე უცებ გაუჩინარდა. მაგრამ შეცნობა ქრისტესი, მისი იქ ყოფნის შეგრძნება დამრჩა, როგორც ყველა ჩემი იჭვის პირდაპირი პასუხი. და დიადმა სამყარომ, ქრისტეს სამყარომ, მის მიერ სახარებაში აღთქმულმა, მოიცვა ჩემი სული. მას აქეთ აგერ უკვე 16 წელია ის არ მტოვებს.

ეს იყო 18 დეკემბერს, 16-ში კი, მანამდე სულ ორი დღით ადრე. ჯერ ისევ ვდევნიდი ქრისტეს და ჩემი ხელებით დავფხრიწე სახარება!

მე ვპოვე ჩემი მაცხოვარი, და ამ მომენტიდან მთელი ჩემი ცხოვრება მას ეკუთვნის.

ყველა, ვინც ეძიებს, ქრისტეს პოვებს თავისსავე თავში, იმიტომ, რომ ყველა ჩვენგანისთვის მისი წყალობა თანაბრად დიდია. წარმართულ ქვეყნებში რომ გემოგზაურათ, გეცოდინებოდათ თუ რა არის ადამიანი გარეშე ღმერთისა! მე ვამტკიცებ, რომ ის მხოლოდ ცხოველია.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს წარმართულ ქვეყნებში მისიონერთა მუშაობას, რომლებმაც იქ წმიდა სახარების ნათელი მიიტანეს.

დიდ მადლობას მოვახსენებ ევროპელ მისიონერებს და გთხოვთ მათს საქმეს შეძლებისდაგვარად მხარი დაუჭიროთ.

ოღონდ, დასასრულ მინდა გითხრათ, რომ თუ წარმართები ღმერთს კერპთაგან იქმნიან, აქაური ეგრეთ წოდებული ქრისტიანები კერპს იქმნიან თავიანთი მე-სგან და მხოლოდ ძას ეთაყვანებიან. ქრისტე ჩემი ძეობებით გთხოვთ, რომ არ სდევნოთ ის თქვენი სიტყვებითა და საქციელით. ჩემი სიტყვები მიიღეთ, ვთარცა მისი სიტყვები"

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲢᲘᲕᲝᲚᲘᲡᲨᲘ 1922 ᲬᲚᲘᲡ 6 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ

„ᲘᲝᲐᲜᲔᲡ ᲡᲐᲮᲐᲠᲔᲑᲘᲡ“ მე-4 თავში, 42-ე მუხლში ვკითხულობთ:

„ხოლო ქალს ეუბნებოდნენ: შენი სიტყვებით როდი გვწამს, ვინაიდან თავად ვისმენთ და ვიცით, რომ ეს არის ჭეშმარიტად მაცხოვარი ქვეყნისა, ქრისტე“.

მეც იგივე მინდა ვუთხრა მათ: სხვათა სიტყვებით როდი ვირწმუნე მე, არამედ იმიტომ, რომ თვითონ ვნახე ის და უეჭველად ვიცი, რომ ის არის ღმერთი.

არცთუ დიდი ხნის წინათ პალესტინაში ვიყავი და სწორედ იმ იაკობის წყაროსთან ვიჯექი. სახარებაში ქრისტეს სამარიელ ქალთან შეხვედრის შესახებ რომ ვკითხულობდი, არ შემეძლო ამის ასე ცოცხლად წარმოდგენა. აქ კი სურათი წარმომიდგა სრულის რეალურობით, წყაროც და ქალაქი სუქარიც ნამდვილად არსებობენ; ყველაფერი ისევეა შემონახული, როგორც ქრისტეს დროს იყო. და, აი, როცა მან სთხოვა სამარიელ ქალს: „წყალი დამალევინე“. ქალი დიდად გაოცდა: „როგორ, შენ, იუდეველი, წყალსა მთხოვ მე, სამარიელ ქალს?“

მაგრამ ქრისტე თავს იუდეველად არ გრძნობდა. ის ასევე ქალში სამარიელ ქალს კი არ ხედავდა, არამედ ცოდვილს. მისთვის ეს იყო სული, რომლისთვისაც უნდა მიეცა ცოცხალი წყალი“. მასთან ის ლაპარაკობდა როგორც ღმერთი.

„მაგრამ ვინც დალევს წყალს, რომელსაც მე მივცემ, არასოდეს მოსწყურდება უკუნისამდე“.

მე ეს ჩემს თავზე გამოვცადე და ვადასტურებ თქვენს წინაშე, თუ რა გააკეთა ჩემთვის წმ. სახარებამ. ვიდრე მე წარმართი ვიყავი და ინდუსების საღმრთო წიგნებს ვკითხულობდი, არ შემეძლო სულიერი წყურვილის მოკვლა, მაგრამ როცა ქრისტიანი გავხდი, ყველაფერი ვპოვე ამ წყაროში. მან საკვებით მომიკლა წყურვილი. ამ წყაროდან ცოცხალი წყლის დალევა ყველას შეუძლია. გაჩუმებას ვერ შეძლებს ვერავინ, ვის გულშიც ქრისტე გამოცხადებულა. მან უნდა დააამოწმოს ეს ბედნიერება. ასე მოიქცა ეს ქალიც: მან წყაროსთან დააგდო თავისი სურა; დაავიწყდა კიდეც, რომ ელოდნენ მას წყლითურთ, და ქალაქს გაემართა სხვების მოსახმობად, ამბობდა, რომ ქრისტე იპოვნა.

და მათ, როცა მოვიდნენ და იხილეს ის, ირწმუნეს ის მასთან პირადი ნაცნობობის შემდეგ.

ასეთი პირადი ნაცნობობა აუცილებელია ყველა ჩვენგანისთვის. ქრისტეს სურს და მას ძალუძს გაუმჟღავნდეს ყველა ჩვენგანს. მისთვის ჩვენ ყველანი ძვირფასნი ვართ. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ყველა როდი უშვებს მას თავის სულში. ღმერთს კი ძალით არავინ უნდა. ის სიკეთისკენ ძალით არ ეზიდება.

თუ თქვენ გინდათ მოიპაროთ, ის თქვენს ხელს არ დააკავებს. თუ თქვენ გინდათ იცრუოთ, ის თქვენი პირის მოსაკუმად არ მოვა. თუ თქვენ გინდათ რამე შესცოდოთ, ის ხელს არ შეგიშლით. მაგრამ თუ თქვენში ბუდობს მისკენ, სიყვარულისკენ, სიკეთისკენ ლტოლვა, — ის მოვა თქვენდა შველად, ოღონდ მას უნდა, რომ თქვენი სრულქმნა ნებაყოფილობითი იყოს.

საუბედუროდ, ჩვენ ვხედავთ მხოლოდ ჩვენი სხეულებრივი თვალებით, ჩვენი სულიერი თვალები კი დახშულია. ამიტომ ვერ ვხედავთ ჩვენ ღმერთს აბ

მას ვხედავთ ბუნდოვნად. ეს ასე იყო იმ მოწაფეებისთვისაც კი, რომლებმაც სამი წელი დაყვეს ქრისტესთან. მაგრამ როცა ის მათ მოევლინა ემაუსისკენ მიმავალ გზაზე, მათ აეხილათ სულიერი თვალები. „განა არ გვიხურდა მკერდში გული, როცა გვესაუბრებოდა გზადაგზა?“ ჩვენ ღმერთს თავით კი არ შევიცნობთ (ლუკას სახარება, 24, 32), არამედ გულის ამ ნთებით.

მარიამმაც, რომელსაც ასე უყვარდა ქრისტე, მაშინვე ვერ იცნო ის აღდგომით, არამედ თავიდან მებაღე ეგონა. და როცა ქრისტემ სახელით მიმართა, მარიამს თვალთაგან ბისტი მოსცილდა.

ადამიანის გული გარდაიქმნება, როგორც კი ქრისტე დაივანებს მასში. „იმყოფეთ ჩემში და მე ვიმყოფებ თქვენში.“

მაგრამ განა ბევრში მყოფობს ის? (იოანე, 15, 4). დიახ, ქრისტესთვის არის ადგილი ეკლესიაში, მაგრამ მისთვის არ არის ადგილი ადამიანთა გულებში.

ისინი იმყოფებიან ღმერთშ[1], იმიტომ, რომ ღმერთი ყველგანაა, ყველაფერს ავსებს. მაგრამ ღმერთი არ იმყოფება მათში, რადგან ისინი არ ეძიებენ მას. მათი სული აღსავსეა სხვა საზრუნავით. მე ამას მაგალითით განვმარტავ.

ჰიმალაებში ჩემი მოგზაურობის დროს, ერთხელ მდინარის ნაპირზე ვიჯექი, წყლიდან ქვა ამოვიღე და დავამტვრიე, რათა დამენახა, შიგნით სველი იყო თუ არა. შიგნით ის მთლად მშრალი იყო, თუმცა მრავალ წელს იდო წყალში. გულის საქმეც ასეა: ის ცოცხლობს ღმერთში, მაგრამ ღმერთი არ ცოცხლობს მასში. ის ქვასავით მაგარი და უხეში არ უნდა იყოს. ის ამ მხრივ შეფერო ღრუბელს უნდა ჰგავდეს. ღრუბელი წყალშია და წყალი ღრუბელშია, ისინი თითქოს ერთნი არიან, — თუმცა, ღრუბელი წყალი არაა, და წყალი ღრუბელი არაა. ასეა ნახშირიც, — უცეცხლოდ მავია, მაგრამ ცეცხლში შეაგდეთ და სულმთლად გადასხვაფერდება.

ბევრნი, „ქრისტიანთაგანნიც“ კი, ამბობენ: „ჩვენ ვაღიარებთ, რომ ქრისტე არის დიდი ადამიანი, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია მისი ღვთაებრივობის გაგება“.

მათ არ ძალუძთ გაიგონ, თუ რატომ არ გამოსცადეს თავიანთ თავზე მისი ღვთაებრივი ძალა. მე კი გამოცადეს და ვადასტურებ თქვენს წინაშე, რომ ქრისტე ცოცხალია, და რომ ის არა მარტო დიდი ადამიანია, ის ღმერთია.

შემიძლია განა დავივიწყო ყველაზე იმ საოცრება, რომელთა მოწმეც ვიყავი ინდოეთში? მისიონერი კარტარ-სინგი ჩემი ახლო მეგობარი, წარმართებმა აწამეს. მე მივედი იმ ადგილზე, ამიყვანეს მთაზე, სადაც ის აწამეს, და სადაც მოკვდა, ჩააკრეს კამეჩის სველ დაუმუშავებელ ტყავში, რომელიც მზეზე ხმობისას შეიკუმშა და მოგუდა ის. ინდუსი, რომელიც ამას მიამბობდა, იღიმებოდა. მე გაოცებით ვკითხე: „თქვენ ასეთ სამწუხარო ამბებს ჰყვებით, სახე კი ასეთი სიხარულითა გაქვთ გაბადრული?“ — „ეს იმიტომ, რომ მე რაღაც საოცრებ ვნახე: არა სიკვდილი, არამედ ზეციერი, განსაცვიფრებელი სიხარული. ამ ადამიანს, რომელიც წამებით კვდებოდა, ისეთი ბედნიერი სახე ჰქონდა, ისე უმადლოდა ქრისტეს, რომ მისთვის წამების უპირატესობა უბოძა, ისე ბედნიერი იყო, რომ ყველანი განეცვიფრდით, ბევრმა კი ქრისტე ირწმუნა

[1] როცა სუნდარ-სინგმა კარტარის მაგს შვილის ნაქონი სახარება მიუტანა და ქრისტესთვის მისი სიკვდილის ამბავი ამცნო, აცრემლებულმა მოხუცმა მთრთოლვარე ხმით თქვა: „მეც მწამს ის!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ჩემი ამხანაგი ხელთ იგდეს წარმართებმა, მას უთხრეს: „ან განუდექ ქრისტეს, ან ხრამში გადაგიშვებთ“. ციცაბო მთის ქვევით საშინელი უფსკრული იყო და ის შიშმა აიტაცა, მაგრამ ქრისტეს დაენდო. როცა ინდუსებმა დაინახეს, რომ მას ქრისტესგან განდგომა არ სურდა, ხელი ჰკრეს და იმ საშინელ უფსკრულში გადაუძახეს. პირდაპირ საოცრება იყო, რომ ის სასიკვდილოდ არ დაშავდა. თვითონ მიამბო, რაც გადახდა ამის შემდეგ: „როცა თავის წამოწევა მოვახერხე, დავინახე, რომ სულ გასისხლიანებული ვიყავი, განძრევაც კი არ შემეძლო. გავიფიქრე: „აი, მარტო ვარ და მშველელიც არავინაა“, მიმოვიხედე კიდეც. ვხედავ, მოდის კაცი, მეხმარება კლდესთან მივჩოჩდე და მას დავეყრდნო, წყალი ვთხოვე. უცნობი ნაკადულისკენ წავიდა და ორჯერ მომიტანა წყალი პეშვით. მესამედ, როცა შისი პეშვიდან წყალს ვსვამდი, შევნიშნე, რომ ხელებზე ნამსჭვალები აქვს. მაშინ მივხვდი, რომ ის ქრისტეა. ჩემი გულიმადლობის გრძნობით აღენთო და როცა „ო, ჩემო მაცხოვარო!“ წარმოვთქვი, გამვლელი გაუჩინარდა.

მაგრამ მან მე განმკურნა, ვიგრძენი. რომ ჩემი სხეული თითქოს დამტვრეული არ იყო. ერთი საათის შემდეგ უკვე შევძელი წამოდგომა და სწორედ იმ სოფელში წასვლა იმის დასამოწმებლად, თუ რა მიყო ღმერთმა“.

როცა მან ყველაფერი ეს მიამბო, უნებლიედ შევეჭვდი, იმიტომ, რომ ადამიანები ასეთ რამეებს როგორღაც ვერ შეეჩვევნენ. და მომინდა თავად დავრწმუნებულიყავ ამ საოცრების სრულ სინამდვილეში. გარკვეული ხნის შემდეგ ჩავედი სწორედ იმ სოფელში და იქაურებმა, არაქრისტიანებმაც კი, დამიდასტურეს ეს ფაქტი, მიამბეს თუ როგორ შეეძრწუნდნენ ისინი, როცა ის მისიონერი ისევ იხილეს. „ის მთლად ჯანმრთელი იყო, მაშინ როცა დარწმუნებული ვიყავით, რომ დალეწილი ეგდებოდა უფსკრულში.“

მაგალითად, პირადად მე ასეთი საოცრება შემემთხვა. ინდუსების ერთ სოფელში მითხრეს, თუ კიდევ ჩამოხვალ აქ ქრისტეზე სასაუბროდ, მოგკლავთო. მე მაინც განვაგრძე ქადაგება.

მათ ამისთვის არ მომკლეს, მაგრამ გამაშიშვლეს, მაგრად მიმაკრეს ჯაჭვებით ხეზე და, რაც ყველაზე უფრო საშინელი იყო, წამართვეს ჩემი სახვრება და მოსასხამი, ჯაჭვებს კლიტე დაადეს და მარტო დამტოვეს. ეს მძიმე გამოცდა იყო. თავიდან სიცივისგან ძალიან ვიტანჯებოდი. შემდეგ ვიწყე გულმხურვალედ ლოცვა და დარწმუნებული ვიყავი, რომ ქრისტეს არ მივუტოვებივარ. მთელი ღამე ვიყინებოდი და ვერ ვიძინებდი. ვლოცულობდი. უცებ დიდი შვება ვიგრძენი: ჩემთვის ცხადი გახდა ქრისტეს იქ ყოფნა. სული სიხარულით აღმევსო. გავიგე, თუ რას ნიშნავდა „ზეცა მიწაზე“. სიცივე უკვე აღარ მტანჯავდა და დაძინებაც კი შევძელი. ხმაურმა გამომაღვიძა, — ჩემი ხიდან მომწიფებული ნაყოფი ჩამოვარდა. შევკრთი და ამ დროს ვიგრძენი, რომ ჯაჭვები მეცლება ხელებიდან... მე თავისუფალი ვიყავი! იქვე მიწაზე ეგდო მწიფე ნაყოფი, რომლითაც ყელი გავისველე. მთელი სიყვარულითა და მთელის სულით შევწირე მადლი ქრისტე-მაცხოვარს.

დილით იმავე სოფელში ჩავედი. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ მათი განცვიფრება! დამიწყეს გამოკითხვა, თუ ვინ გახსნა საკეტი, მაგრამ იგი დაკეტილი აღმოჩნდა, გასაღები თვით ლამას ჰქონდა. ისინი საგონებელში იყვნენ ჩავარდნილი... ჩემთვის კი სავსებით ნათელი იყო, თუ ვინ მიხსნა.

მაგრამ თქვენ მკითხავთ თუ აღმოსავლეთში რატომ ხდება საოცრებები, აქ კი არ ხდება?

იმიტომ, რომ თქვენ დაშორდით

ღმერთს. ევროპელები კარგავენ მის ლოცვა-კურთხევას. ისინი იმდენად არიან გატაცებული თავიანთი მატერიალური კეთილდღეობით, ფუფუნებით, მანქანებით, ჰაერში ფრენაც კი ისწავლეს; მათ ყველაფერი აქვთ, — და ღმერთი არ სჭირდებათ. რამდენი ასეული წელიწადია, რაც ღმერთზე ელაპარაკებიან, მაგრამ მათთვის ის შორეულია, ცოცხალი არაა. ჩვენ, წარმართებმა, მხოლოდ 70 წელია, რაც ქრისტეს არსებობა გავიგეთ, და გვსურს ნამდვილი კავშირი მასთან. შესაძლოა, ქრისტე ამიტომაც გვიჭერს მხარს საოცრებებით და გულუხვად წარმოგვიელენს ლოცვა-კურთხევას.

ნუ მიწყენთ, რომ გულს გტკენთ! მაგრამ ჩემი მოვალეობა უნდა შევასრულო, — უნდა გითხრათ ის, რის გადმოცემასაც ღმერთი მავალებს: თქვენ მას ნაკლებად იცნობთ და თქვენ მას არ ეძიებთ.

სამწუხარო იქნება, თუ უკანასკნელნი პირველნი გახდებიან. ქრისტეს პირადად ცნობა შეიძლება მხოლოდ ლოცვისას, თქვენ კი ამბობთ: „ლოცვისთვის არა გვცალიაო“.

მაგრამ მოგეახლებათ სიკვდილი და მას ველარ ეტყვით: „სიკვდილისთვის არა გვცალიაო“. და სიკვდილი არ გეტყვით თქვენ: „კარგი, ჰო, დავიცდი; მორჩი შენს საქმეებს!“

სიკვდილის ველზე მარტო მიხვალთ. სულმთლად მარტოკა, თანამდევი არ გეყოლებათ.

აქ მხოლოდ ქრისტე შეიძლება შემოგხვდეთ, თუ თქვენ ის ადრე მიიღეთ თქვენს გულში, ვითარცა მაცხოვარი. ის კი, ვინც მხოლოდ საამქვეყნო საქმეებს მიხდევს, ვერასოდეს ნახავს მაცხოვარს და ვერ იპოვის ზეცას მიწაზე.

ეძიეთ სიჩუმე და განმარტოება!

თუ ქრისტე მომევლინა მე, დიდ ცოდვილს, რომელიც მას დევნიდა, მით უფრო მოგევლინებათ თქვენ, ვინც მას არასოდეს დევნიდით.

სახარებაში ვხედავთ, რომ მას არასოდეს არ სძულებია ცოდვილნი. მას ისინი ებრალებოდა და უყვარდა, მაგრამ თვით ცოდვა სძულდა.

„უჩემოდ არაფრის გაკეთება არ ძალგიძთ“.

თქვენ რომ წარმართულ ქვეყნებშა გემოგზაურათ, ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში დარწმუნდებოდით.

თუ აქ, მიწაზე ქრისტეში სუფევამ შეიძლება ასეთი ნეტარება, ასეთი აუწერელი სიხარული გარგუნოთ, რაღა უნდა იყოს სხვა, მარადიულ, მისთანდასწრებით სუფევაში?...

ვიდრე დავამთავრებდე, მხურვალე მადლობა უნდა მოგახსენოთ იმ გულისყურისა და სიჩუმისათვის, რომლითაც მისმენდით. ასეთივე გულისყურითა და სრული სიჩუმით უსმინეთ ქრისტეს, როცა მის პირდაპირ მარტო იქნებით...

„ვილოცოთ რათა გახდეთ ქრისტიანები არა მხოლოდ სახელით“.

ᲡᲐᲓᲣᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ
ᲢᲐᲫᲐᲠᲨᲘ 1922 ᲬᲚᲘᲡ 7 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ

„მარკოზის სახარებაში“ (მე-12 თავი, მუხ. 28, 29, 30) ვკითხულობთ: „და მოვიდა ერთი მწიგნობართაგანი, რომელმაც გაიგონა მათი კამათი და მიხვდა, რომ კარგად უპასუხა მათ და ჰკითხა იესოს: „რომელია უპირველესი მცნება?“ ხოლო იესომ მიუგო მას: „აი, უპირველესი მცნება: უფალი ღმერთი ჩვენი ერთი უფალია! და გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით და მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით და მთელი შენი ძალით, — აი, უპირველესი მცნება“.

სწავლული კაცი საკვლევით დაეთანხმა ქრისტეს სიტყვებს და ისინი მოიწონა კიდეც. მაგრამ მან ეს გულით კი არა, გონებითა თქვა. ჩვენი აზრები ხომ ხშირად კისერს ქვემოთ არ ჩამოდის, — გულამდე ვერ აღწევს. ქრისტემ, რომელსაც ეს ესმოდა, უპასუხა მას: „შენ სამოთხესთან ახლოსა ხარ". მწიგნობარმა ეს სიტყვები, ალბათ, ქებად მიიჩნია. თუმცა, რომ ჩაკვირვებოდა, მიხვდებოდა, რომ ამ სიტყვებს არ უნდა გაეხარებინა.

სამოთხესთან ახლოს ყოფნა მასშ ყოფნას არ ნიშნავს. გასათხოვარი ქალები, რომლებმაც საქმროები ხელიდან გაუშვეს, საქორწილო ნადიმზე ვერ მოხვდნენ. ისინი კარზე კი აკაკუნებდნენ, მაგრამ ეს კარი უკვე დაკეტილი იყო. შეიძლებოდა კი იმით ეხარნათ, რომ საქორწილო ნადიმთან ახლოს იყვნენ? ისინი კარს აქეთ იყვნენ და არა კარს იქით, ნადიმისაგან მხოლოდ კარის სიხქე ჰყოფდათ. შესვლას ითხოვდნენ, მაგრამ უკვე გვიან იყო.

აიღეთ სხვა მაგალითი. როცა წარღვნას ელოდნენ, არავის არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ის იქნებოდა. იგებოდა კიდობანი, მაგრამ ადამიანებს მაინც არ სჯეროდათ, ხუროებიც კი, რომლებიც ხსნის კიდობანს აგებდნენ, წარღვნის შესაძლებლობას არ უშვებდნენ; სამუშაოდ იმიტომ მიდიოდნენ, რომ ფულს უხდიდნენ.

და, აი დაიწყო წარღვნა. კიდობანი დაიხურა. სასოწარკვეთილმა ადამიანებმა არ იცოდნენ საით გადაკარგულიყვნენ. კიდობნისკენ გაცურდნენ. აი, უკვე მის კართან არიან, მასთან „მთლად ახლოს" არიან. მაგრამ კიდობანში არ არიან. ისინი იქ არ შეუშვეს, იმიტომ, რომ ღმერთმა თავად ჩაკეტა კარები. ხუროებმა თქვეს: „მაგრამ ის ხომ ჩვენ ავაგეთ?" — თქვენ ის ფულისთვის ააგეთ და იქ არც თქვენთვისაა ადგილი.

ბევრნი ასე დგანან მთელი სიცოცხლე ხსნასთან „სულ ახლოს", დადიან ეკლესიებში, აკეთებენ კეთილ საქმეებს, მაგრამ სამოთხეს არა აქვთ თავიანთში. მე ადრე არ მესმოდა, შემდეგ კი გავიგე, რასაც ნიშნავდა: „ჩვენ სასუფეველში ვართ და სასუფეველი ჩვენშია".

ხსნის რწმენას სულს არამიწიერი სამყარო აძლევს. „მშვიდობას გიტოვებთ თქვენ, მშვიდობას ჩემსას გაძლევთ თქვენ: არა ისე, როგორც ქვეყანა იძლევა, მე გაძლევთ თქვენ" (იოანე 14, 27). მაგრამ ხსნაზე წინასწარ უნდა ვიფიქროთ, მახსენდება ინდუსების ნაამბობი ერთ მამაც მონადირეზე. მან მარტომ შეუტია ლომს. ჩინებული თოფი ჰქონდა, მაგრამ ააცდინა. გამძვინვარებული ლომი გადმოუხტა. მონადირემ, რაკი არ იცოდა, როგორ ეშველა თავისთვის, გადაწყვიტა, რომ დაიღუპა. ამ დროს ტყეში მდგარი თავისი ქოხი გაახსენდა და იქით მოკურცხლა. კართან სულ ახლოს იყო, „ხსნასთან სულ ახლოს იყო." მაგრამ გასაღები არ ჰქონდა ხელთ, რათა მაშინვე გაეღო კარი, და სანამ ჯიბეებში გასაღებს ეძებდა, ლომმა მოუსწრო და მოგუდა.

აქაც ასეა: მონადირეს გადარჩენისგან მხოლოდ კარის სისქე ჰყოფდა. ახლოს არ ნიშნავს შიგნით.

მწიგნობარი ამაოდ ამაყობდა მის მიერ ქრისტეს მცნების „გონივრული" გაგებით, და საკმარისი არაა ჩვენს მიერ ქრისტეს მოძღვრების მოწონება, მისი ცხოვრებით აღტაცება. ჩვენ ჩვენში ის გულით უნდა შევიგრძნოთ.

ქრისტე გამომეცხადა მე, წარმართს, დიდ ცოდვილს, რომელმაც საკუთარი ხელებით დავხიე სახარება, და თქვენ, ქრისტიანებს, თუ დაიწყებთ მის ძიებას, რატომ არ გამოგეცხადებათ ის? შემდეგ თქვენ ჩემზე უარესი დღე დაგადგებათ, თუ ქრისტესადმი გულგრილნი დარჩებით. თავის დროზე ღმერთი გეტყვით: „მე თქვენ ინდუსსაც კი გიგზავნიდით ჩემს

დასამოწმებლად, მაგრამ თქვენ არ დაიჯერეთ". გეშინოდათ დაგვიანებული მონანიებისა.

მე სიყრმიდანვე ღვთისმოსავი ინდუსი ვიყავი და ვფიქრობდი, რომ კეთილ საქმეებში ვპოვებდი სულიერ სიმშვიდესა და ხსნას. მაგრამ მე ის მხოლოდ ქრისტიანობაში ვპოვე. ქრისტიანობა ეკლესია ან საზოგადოება არაა; ის თვით ქრისტეა! მას ძალუძს თავის შვილებს სრული სიმშვიდე და სიხარული მიანიჭოს თვით ტანჯვაშიც კი, ერთი ჩემი მეგობარი მისი ქადაგების გამო ხეს მიაკრეს თავდაყირა, და ამ დროს მასთან მიდიოდნენ ადამიანები და ეკითხებოდნენ, თავს როგორ გრძნობო. მან უთხრა: „თქვენს საქციელში თვითონ თქვენ გცნობთ, თქვენს ბუნებას ვცნობ: თქვენში ყველაფერი — თქვენი სიცოცხლე, თქვენი შეხედულებები, თქვენი ქცევები, — თავდაყირაა. ნორმალურ ადამიანებს თქვენ ვერ იტანთ, თავდაყირა ამიტომაც დამკიდეთ მე". საერო კაცებს არ სიამოვნებთ ღვთის მაძიებელი კაცები; ისურვებდნენ, რომ ისინი „თავდაყირა" ეხილათ.

მხოლოდ ქრისტეს ძალუძს ერთბაშად მოგვხსნას ცოდვები და თავისი მშვიდობა და ღვთის სასუფეველი დამკვიდროს ჩვენს სულში.

როცა ავაზაკმა, რომელიც ქრისტეს ახლოს ეკიდა, გულით გაიგო, რომ მის გვერდით უბრალო ადამიანი არ იყო ჯვარცმული, მან მას ლოცვა აღუკლინა, ქრისტემ მიუგო: „ახლავე იქნები ჩემთან სამოთხეში". მან არ თქვა: „გარკვეული დროის შემდეგ შეგიყვან შენ სამოთხეში", არამედ თქვა: ახლავე. ამ სიტყვებით მან გვიჩვენა, რომ, როგორც კი ცოდვილმა გულწრფელად მოინანია და ირწმუნა, ის მოკვდა ცოდვისთვის.

მეორე ავაზაკი, ხელმარცხნივ რომ იდგა, აბუჩად იგდებდა ქრისტეს და ასევ ცოდვილადვე მოკვდა. ასე დაიხოცნენ გოლგოთაზე სამნი: ერთი — მთელი სამყაროს ცოდვების გამო, მეორე — ცოდვისათვის (ე.ი. დაიბადა ახალი ცხოვრებისათვის) და მესამე — ცოდვილი.

როგორ უნდა მოვკვდეთ ცოდვისათვის? არის მხოლოდ ერთი გზა: ლოცვა. დღეში თუნდაც რამდენიმე წუთით მაინც უნდა დავრჩეთ ქრისტეს პირისპირ განმარტოებულნი.

დაე, შეგეწიოთ ის, რათა ღვთის სასუფეველი გქონდეთ თქვენს წიაღში, ამინ!

სადუს მეოთხე სიტყვა წარმოთქმული მარტერის სამლოცველოში 1922 წლის 9 მარტს

მევენახის იგავში (მათე, 21-ე თავი) მოთხრობილია მამაზე, რომელიც მიეიდა თავის ძესთან და უთხრა: „შვილო! წადი დღეს სამუშაოდ ჩემს ვენახში". მამას არ უთქვამს: „წადი, მოემზადე, რათა დაიწყო ჩემს ვენახში მუშაობა"; ის მან მაშინვე სამუშაოდ გაგზავნა. მას სჭირდება სანდო, ერთგული მუშაკები. ჩვენს სემინარიებსა და აკადემიებში მეტისმეტად დიდხანს ემზადებიან თეორიულად. სახელმძღვანელოთი ცურვის შესწავლა შეუძლებელია. საჭიროა, რომ ჩაგაგდონ წყალში და მხოლოდ მაშინ გაიგებ შენი საკუთარი პრაქტიკიდან, თუ რას ნიშნავს ცურვა.

ქრისტეზე სიტყვებით ლაპარაკი საკმარისი არაა. თვით ის უნდა გყავდეთ გულში.

ერთმა ასეთმა თეორეტიკოს-მისიონერმა მკითხა: „ქრისტეს შუამავლობა

რისთვისაა საჭირო? ძე შეცდომილზე იგავში ხომ მამა თავად მიდის შვილის მისაგებებლად და იღებს ცოდვილს?" ნათელია, რომ მას უნდოდა ამ იგავის გამოყენებით დავმტკიცებინა ქრისტეს მოსანანიებელი მსხვერპლის ზედმეტობა. არადა, ეს იგავი სულ სხვა მიზნითაა მოყვანილი, სახელდობრ კი იმისთვის, რომ თავისი მაგალითით გვიჩვენოს ცის დიდი სიხარული ყოველი მოქცეული ცოდვილის გამო. იგავში მამა თავად მიდის ძე შეცდომილის შესახვედრად იმიტომ, რომ ძე შეცდომილი მისთვის უცხო ადამიანი კი არა, მისი ოჯახის წევრია. ცოდვილის შემგებებელი ასეთივე მამაა ქრისტეც ჩვენთვის. ამ იგავისთვის სხვა დოგმატის მიკერების ცდა უკვე საშიში და არაკეთილსინდისიერი ტვინის ჭყლეტის ნაყოფია.

იმის ნაცვლად, რომ სახარება გვეპყრას ხელთ, როგორც სულიერი საზრდო, ასეთი მწიგნობრები მის გაანალიზებას ცდილობენ. ერთ მათგანს, განუწყვეტლივ ყველაფრის მაკრიტიკებელს, დავუსახელე მაგალითი ქიმიკოსისა, რომელიც რძის ანალიზს აკეთებდა. როცა მან რძე ზუსტად დაშალა მის შემადგენელ ნაწილებად და რძემ როგორც საკვებმა შეწყვიტა არსებობა, მივუთითე გოგონაზე, რომელიც იქვე ისე სვამდა ფინჯნიდან რძეს, რომ მის ანალიზზე არც ფიქრობდა და ვუთხარი: „თუკი გინდათ, რომ სახარება თქვენი სულიერი საზრდო იყოს, ისე მოიქეცით, როგორც ეს გოგონა ექცევა თავის რძეს, — მისით საზრდოობისას ანალიზს შეეშვით".

თავისი სიტყვის დასრულების წინ სადუ ამბობდა, თუ როგორ ემალლიერება ის დასავლელ მისიონერებს იმის გამო, რაც გააკეთეს მათ ინდუსებისთვის. ზოგიერთი მათგანი ქრისტეს დესპანი იყო წარმართთათვის; მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვინც მრავალი მხოლოდ ჩამოაცილა ქრისტეს. ის, ვინც ქრისტეს მხოლოდ წიგნებით იცნობს, არ გამოდგება მისიონერად. ის სარგებლობაზე მეტ ზიანს მოიტანს. „აჯობებს მოგვცეთ ერთი, მაგრამ ქრისტეს გულით შემცნობელი, ვიდრე ასი სწავლულიღვთისმეტყველი".

ჩვენი ძმები ივედრებიან: „მოგვეცით სიცოცხლე, მხოლოდ სიცოცხლე! არ გვინდა თეორიები და ფილოსოფიები".

„ჩვენ ყველას, მთელი სამყაროს ქრისტიანებს, ქრისტე გვაერთიანებს და მე ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩემს თავს აქ ისე ვგრძნობ, როგორც ბედნიერ ოჯახში!"

როცა სადუმ დაამთავრა და დაჯდა, პროფესორმა შავანმა მას ჰკითხა: „მართალია, სადუს დიდი მოწონება არ გამოუხატავს ღვთისმეტყველთა მიმართ, მაგრამ უაღრესად საინტერესო იქნებოდა იმის ცოდნა, თუ როგორ უყურებს ის ქრისტიანობის ისტორიის შესწავლას, ისეთი დიდი ადამიანების შრომების ცოდნას, როგორიც არიან, მაგალითად, ფრანცისკ ასიზელი, თომას კემპენელი, რომლებიც მას უეჭველად წაუკითხავს?" სადუს პასუხი:

„ჭეშმარიტება ერთია. ის მხოლოდ განსხვავებულად შუქდება სხვადასხვა ადამიანის მიერ, მათი გაგების შესაბამისად. იქნებიან ისინი წინა საუკუნეების წმიდანები, თუ დასავლეთის ან აღმოსავლეთის ქრისტიანები, რამდენადაც გვემოწმებიან ქრისტეზე, თვით მის ცხოვრებაზე, ისინი ჭეშმარიტებაში იმყოფებიან და განსხვავებული გზებით, მაგრამ საერთო მიზნისკენ მიდიან. მე თომას კემპენელიც წავიკითხე და ფრანცისკ ასიზელიც. და მათ ბევრი რამ მომცეს, მაგრამ, რასაკვირველია, პირადმა გამოცდილებამ განუზომლად მეტი მომცა. სემინარიაში თეორიული სწავლებით ცოტა მივიღე. საჭიროა, რომ ჩვენი თავი გულთან ერთად მუშაობდეს; ჰარმონია მხოლოდ ამ შემთხვევაში მიიღება. ერთი ჭეშმარიტების

შესწავლისას ჩვენ შეგვიძლია დასავლეთის ძმებისგანაც ვისწავლოთ და აღმოსავლეთის ძმებისგანაც. მე ვიყავი ამერიკასა და ინგლისში, იქ ვესაუბრე წმიდა ადამიანებს და მათგან ბევრი რამ ვისწავლე. მაგრამ იქ ვესაუბრე სტუდენტ ღვთისმეტყველთაც, რომელთა შორისაც შეინიშნება შემდეგი მოვლენა: მათ უცებ გული უცრუვდებათ და ფაკულტეტს სტოვებენ. მე მათ ვკითხე მიზეზი. ეს იმით ახსნეს, რომ მათში თეორიამ იწყო ცოცხალი სულის ჩაკვლა. და მათ წასვლა ამჯობინეს".

შემდეგ ბ-მა ბიუნიონმა ჰკითხა: „რა გზით იპოვოს ღმერთი იმან, ვინც ჯერ ვერ პოვა კავშირი ცოცხალ ქრისტესთან, მაგრამ მთელი სულით ისურვებდა, რომ ის ჰყოლოდა თავის თავში?" სადუმ მიუგო: „მე ვიცი ერთი გზა, რომელზეც ჩვენ თვით ქრისტემ მიგვითითა: ესაა ლოცვა. ღმერთი ყველაფერს გაცილებით უფრო მარტივად აწყობს, ვიდრე ჩვენ ვფიქრობთ. ადამიანებს უყვართ ყველაფრის გართულება, ის კი მოქმედებს ყველაზე პირდაპირი და მარტივი გზით. უნდა მივმართოთ უშუალოდ თვით ქრისტეს.

კიდევ იყო ორი კითხვა: 1. ჩვეულებრივ ცხოვრებაში როგორ გამოვიცნოთ ქრისტეს ნება? და 2. როგორ გავთავისუფლდეთ ცოდვისგან? — სადუმ მიუგო: „ქრისტე ლოცვის გზით ეხილება ადამიანებს, და მაშინ, ვასრულებთ რამის ნებას, მას, სულ უფრო მეტად ვუახლოვდებით და ვსწავლობთ ჩვენში მისი ხმის გულისყურით მოსმენას. ეს გამოცდილებით უნდა გაიგო. ამის ახსნა ძალზე ძნელია, რადგანაც ეს ძალზე პირადი განცდებია".

„მეორე კითხვაზე ვრცლად პასუხის გაცემა არ მომიწევს, რადგან მას, ვისაც გულში ქრისტე ჰყავს, ცოდვის დამარცხება არ გაუჭირდება".

კიდევ ჰკითხეს: „რამდენადაც სადუმ ბევრი რამ გვიამბო ქრისტესთვის ტანჯვის თაობაზე, ხომ არ შეეძლო მას ისიც ეთქვა, მისი უწინდელი (მოქცევამდელი) ტანჯვები სასარგებლო იყო თუ არა სულისთვის? მათ მის მოქცევაზე გავლენა ხომ არ მოახდინეს?" რაზეც სადუმ უპასუხა:

„თუმცა ტანჯვებზე, ციხეებსა და დევნაზე მოგითხრობდით, და, ამ გამოთქმებს ვხმარობდი, სხვათა უქონლობის გამო, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ სიტყვა „ტანჯვა" სრულებითაც არ გადმოსცემს იმ სულიერ მდგომარეობას, რომელშიც მაშინ ვიმყოფებოდი. ქრისტესთვის ტანჯვა რაღაც განსაკუთრებული მოვლენაა. ეს ნიშნავს იმას, რომ მიწაზე განიცადო უმაღლესი, რამდენიც კი ხელმისაწვდომია ადამიანისთვის. სიხარული. ამ მდგომარეობას სხვას ვერაფერს დაარქმევ, თუ არა „ზეცას მიწაზე".

როცა მე ციხეში ორ-ორ დღეს არ მაძლევდნენ საჭმელს, უფრო ბედნიერი ვიყავი, ვიდრე მაშინ, როცა თავისუფლებაში გემრიელ კერძებს გეახლებოდით, რადგან ყველაფრის აღკვეთისას კიდევ უფრო მეტად ვგრძნობდი ჩემთან ქრისტეს ყოფნას. მე არასოდეს მაშინებდა ქრისტესთვის ტანჯვა და ძალზე ხშირად ვუბრუნდებოდი იმავე ადგილს, სადაც მდევნიდნენ. ჩემს ზურგს უკან არავითარი კომიტეტი არ იდგა და არ მიბიძგებდა; ამაზე მივდიოდი კეთილი ნებით, იმიტომ, რომ ქრისტესთვის ტანჯვა ტანჯვა კი არა, უმაღლესი სიხარულია. მოქცევამდე მე ნამდვილად ვიტანჯებოდი. აი, ჯოჯოხეთი ეს იყო. მაწამებდა ცხოვრების სიცარიელე, წუთითაც ვერ ვისვენებდი; გვიან ღამეშდე ვკითხულობდი ინდუსთა წიგნებს, მათში ვეძებდი კითხვათა პასუხს. მამაჩემი მეტყოლა ხოლმე: „თვალებს იფუჭებ! რად გინდა შენ, ასეთ ნორჩს, ყველა ამ კითხვით თავის გაწამება?" მაგრამ მე ტკივილით ვეძიებდი ჭეშმარიტებას. სამაგიეროდ, ვპოვე იგი".

ბ-მა სეკრეტანმა შემდეგი კითხვა დაუსვა:

„აღმოსავლელ ქრისტიანებს, ემსახურებიან რა ქრისტეს, შეუძლიათ წმიდანები გახდნენ და ამით უმაღლესი სიხარული განიცადონ, მაგრამ რისი გაკეთება დაგვრჩენია ჩვენ, რომლებსაც არ ძალგვიძს ქრისტესთვის ვეწამოთ და სიკვდილს შევეგებოთ? ჩვენთვის იმ სახარებისეულ სიხარულს ხომ არ წარმოადგენს ზრუნვა ღარიბ-ღატაკებზე, ავადმყოფებზე, რასაც კისრად იღებენ მოწყალების დები და სხვა მოღვაწეები?“

სადუმ მიუგო: „ქრისტესთვის სიკვდილი უფრო ადვილია, ვიდრე ყოველდღე ქრისტესთვის ცხოვრება.

ამ დღეებში შევიტყვე, რომ ჩემი ერთი ამხანაგი, მქადაგებელი, წარმართებს მოუკლავთ..

მე არ მიმაჩნია, რომ ის მოკვდა. მე ვიცი, რომ ის გარდავიდა ახალ, უმაღლეს ცხოვრებაში. ქრისტიანი არ კვდება. ეს მისი სიკვდილი კვდება.

თუ თქვენ როდისმე, შესაძლოა ჩქარა, ამასვე გაიგონებთ ჩემზე, კი ნუ იდარდებთ, გაიხარეთ ჩემს გამო. ნუ იფიქრებთ, მოწამეობას ვეძიებდე, მე მხოლოდ ვფიქრობ ამაზე. თვინიერ ყოველგვარი შიშისა. მაგრამ მე ვამჯობინებ ვიცოცხლო ქრისტესთვის, რათა რაც შეიძლება მეტად დავამოწმო მისი სუფევა.

ყოველდღე ქრისტესთვის მუშაკობა ყოველდღე კვდომას ნიშნავს. მაშინ ჩვენში ყოველდღე ქრისტესთვის კვდება ჩვენი ეგოიზმი, ჩვენი „მე“. ეს ადვილი არაა, მაგრამ მისი შემწეობით ყოველდღე შეგვიძლია ამის მიღწევა.

ერთხელ კიდევ გეტყვით: მე არავითარი ახალი სარწმუნოებრივი მოძღვრება არ მომიტანია თქვენთვის. მე მხოლოდ ცოცხალი ქრისტეს მოწმე ვარ თქვენს წინაშე.

დაე, სუფევდეს მისი სამყარო თქვენს გულებში!
ამინ!“

თარგმნა
ჯუმბერ თითმერიამ.

ათონის მთის ბერთა მისტიკური ღვთისმეტყველების შესახებ*

ეგვიპტის მეუდაბნოე მამათა შორის ჯერ კიდევ IV საუკუნეში გავრცელებულმა ისიხაზმის (ბერძ. ἡσυχία — დუმილი) მოძღვრებამ, როგორც ცნობილია, ათონის მთაზე ბერთა და დაყუდებულთა შორის შეაღწია მე-7 საუკუნის ბოლოს წმ. პეტრე ათონელის მეშვეობით, შემდგომ კი იქ დიდი აღორძინება პოვა.

XIX ს-ის შუა ხანებში ათონი მოინახულა და აღწერა რუსმა ეპისკოპოსმა პორფირი უსპენსკიმ** 1845 წლის 30 ნოემბერს, სწორედ ათონის ქართველთა (ივერთა) მონასტერში ძან იხილა ისიხასტთა მოძღვრების სქემა, რომელიც გამოაქვეყნა კიდეც თავის ნაშრომში (როგორც ბერძნ. დედანი, ასევე მისი რუს. თარგმანი). ისიხასტთა მოძღვრების ამ სქემასთან ერთად ჩვენ ვთარგმნეთ საფრანგეთში მოღვაწე ცნობილი თეოლოგის ვლადიმირ ლოსკის (1903-1958) სტატია, რომელიც ამავე თემას ეძღვნება***.

ისიხასტების მოძღვრება
(სქემა)

დისკო ან წრე — სიყვარული, სინათლე მასში — იმედი, ხოლო სხივი — რწმენა. ყველაფერი კი ეს ერთადერთი ანარეკლი და ბრწყინვალება ერთი.



ლოცვა არის გონების აღმაფრენა ღვთისაკენ, ადამიანისა და ღმერთის შეერთება, ხოლო თავისი ქმედებით — ქვეყნისაგან განდგომა, მისი ღმერთით შეცველა, დედა და ასული ცრემლთა, ცოდვებისაგან განწმენდა, ხიდი გადებული

---

* პირველად დაიბეჭდა „საღვთისმეტყველო კრებულში" № 6, 1965. ფართო მკითხველამდე არ მისულა, რადგან ჟურნალი ფაქტობრივად აკრძალული იყო. მისი ტირაჟი სულ 200-ს შეადგენდა და ზევიდან ეწერა „სამსახურებრივი მოხმარებისათვის", რედ.

** еп. Порфирий Успенский. «История Афона», ч. III. отд. II. СПБ 1892.

*** „Dieu vivant" — Perspectives religieuses et philosophiques, I (Paris 1945). Vladimir Lossky, A l'image et á la ressemblance de Dieu. Paris 1967; ЖМП 1968, № 3-4

ცდუნებებზე, ზღუდე ნაღველთაგან, გამხნევება სულიერი ბრძოლების დროს, საქმე ანგელოზთა, ყველა უხორცოთა აღმზრდელი, მუდმივი მხიარულება, უსასრულო ქმნა, სიკეთეთა წყარო, სულიერ წყალობათა მომხვეჭელი წარმატება უხილავი, სულისათვის საზრდო, გონებისათვის განათლება, სასოწარკვეთილების ბოსპობა, იმედისათვის დასტური, მწუხარებისათვის დაცხრომა, ბერთა სიმდიდრე, დაყუდებულმდუმარეთა განძი, წარმატებათა სარკე, ძალისხმევათა გამოვლენა, სულიერ მდგომარეობათა ნათელმყოფობა და მომავლის გამოცხადება.

დუმილი, მდუმარება არის გულის წადილთა ჩამოშორება, თვით კურთხეულ საზრუნავთა უარყოფა, სხეულის უგულებელყოფა.

ვისაც სურს მდუმარება მოიპოვოს, მაგრამ საზრუნავთ არ განერიდება, ცდარება იმ ადამიანს, რომელმაც მაგრად გაიკრა ფეხები და იმავე დროს სწრაფად სიარულს ცდილობს.

იშვიათია ადამიანები, რომელთაც ღრმად შეისწავლეს ამ ქვეყნად არსებული ფილოსოფია; იშვიათია ისინიც, რომელთაც უწყიან მდუმარების ფილოსოფია, რაც ღმერთშია.

ვისაც ღმერთი ჯერ არ შეუცვნია, იგი მდუმარებაში გამოუცდელია და ადვილად შეიძლება გადაეყაროს მრავალ სულიერ საშიშროებას.

მდუმარება ანადგურებს გამოუცდელთ, რადგან ისინი, არ უგემიათ რა სიტკბოება ღვთისა, უთვალავ გზებზე განიბნევიან.

ვინაც შეიყვარა სიკეთე ლოცვისა, გაექცევა ადამიანებს როგორც კანჯარი.

ვინც ვნებებითაა შეპყრობილი, და უდაბნოში კი ცხოვრობს, მას დილით აცდუნებენ ეშმაკნი პატივმოყვარეობისა და ნდომათა, შუადღისას — სიზარმაცის, მრისხანებისა და წუხილის დემონები, ხოლო საღამოს — მყრალი ტირანები უბადრუკი მუცლისა.

მდუმარება ესაა განუწყვეტელი ღვთისმსახურება და ღმერთის წინაშე ყოფნა.

იგი შენთვის მხოლოდ მაშინ იქნება სასარგებლო, როდესაც თითოეულ შენს ამოსუნთქვასთან დაკავშირებული იქნება იესოს ხსოვნა.

ნიმუშად მდუმარებისა დაე შენთვის იყოს დიდი არსენი.

მდუმარეა ის, ვინც მარტოდმარტო საუბრობს ღმერთთან და განუწყვეტლივ მის მიმართ ლოცულობს.

მდუმარებაში წარმატებულმა იცის საიდუმლოთა სიღრმე.

სენაკი მდუმარესი არის სხეულის საპყრობილე, და ამ საპყრობილეში მოიპოვებ ცოდნას.

მდუმარეა ის, ვინც ამბობს: მ ე მ ძ ი ნ ა ვ ს, ხ ო ლ ო გ უ ლ ი ჩ ე მ ი ფ ხ ი ზ ლ ო ბ ს.

ბერს ადამიანი ეხმარება, ხოლო მდუმარეს — ანგელოზი.

წინასწარი საქმე ისიხასტისა არის უზრუნველობა ყოველივე ამქვეყნიურისადმი, როგორც გონიერისადმი, ასევე უგონოსადმი, როგორც წერა-კითხვის უცოდინარს არ ძალუძს წერილის კითხვა, ასევე მასაც, ვისაც არ გააჩნია ეს უზრუნველობა, არ ძალუძს ილოცოს დაუზარებლად და მოიპოვოს ვერგანსაძარცველი განძი გულისა.

მდუმარებაში გაძოუცდელმა დღისითა და ღამით იუარჯიმოს

ლოცვასა და უფალი იესო ქრისტეს გახსენებაში.	ფსალმუნთ გალობაში	კითხვაში	ცოდვათა, ამსჯავროს, სიკვდილისა და ტანჯვის გახსენებაში	ხელსაქმეში

იგი იშვიათად უნდა ტოვებდეს თავის სენაკს, ხოლო ყოველგვარ მუსაიფსა და თვალების მიშტერებას თავი უნდა აარიდოს.

ოთხი საქმე აქვთ მდუმარეთ:

ვნებათა შესუსტება + დამწყებთათვის	გულმოდგინება ფსალმუნთა გალობაში + წინწაწეულთათვის	განუწყვეტელი ლოცვა + წინწაწეულთათვის	ჭვრეტა + სრულყოფილთათვის

თორმეტი სარბიელი აქვთ მათ, ისევე როგორც 12 ნეტარება:

1	2	3	4	5	6
გონების უშფოთველობა	წმინდა არცოდნ*	ღვთისაკენ სწრაფვა	გონებით წარმოსახვა ტანჯვათა	სიკვდილის გახსენება	დაუცხრომელი ლოცვა

საიმედო დამცველი

7

სიკვდილი ქვეყნისათვის

სიძვის მოკვდინება	მიდრეკილების არცოდნა

8	9	10	11	12
საკმლია არმოთხოვნილება	ღვთისმეტყველებითობა	სულიერი განმსჯელობა	ცრემლთა მომრავლება	მრავალსიტყვაობის დაკარგვა

ნარმატების ნიშნები მდუმარებაში:

1 თავმდაბლობის მატება	2 მრისხანების შემცირება	3 გონებადაბნელების შეწყვეტა	4 სიყვარულის გამრავლება	5 ვნებათა ჩამოშორება
6 ავხორცობის დაკნინება	7 უხალისობის აცოდნა	8 გულმოდგინების მატება	9 გულშემატკივრობა	10 ალამაყის არქონა

* წმ. ისაკი ამბობდა: „წმინდა გონება ლოცვის დროს ნათლება ყოველად წმიდა სამების ხილვით, და მაშინ იგი წყვეტს ლოცვას, მთლიანად ექსტაზში იმყოფება და ჭვრეტს მიუწვდომელს ხოლო ეს ჭვრეტა არის ის არცოდნა, რომელიც ცოდნაზე აღლაა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

. მთავარი ავი ზრახვები

1	2	3
ღორმუცლობისა	სიძვისა	ვერცხლისმოყვარეობისა

მ ო რ ჩ ი ღ ე ბ თ ა ნ

4	5	6	7	8
მრისხანეებისა	მწუხარებისა	უხალისობისა	პატივმოყვარეობისა	სიამაყისა

დაყენებულ - მდუმარეებთან.

მდუმარების წყალობათა კიბე

ბეჩავი ბერი, სახელითა თეოფანე.	ვდგამ კიბეს ღვთაებრივ წყალობათა,	რომელიც ცდით შევიმეცნე ღვთივშემოსილთაგან.
პირველ საფეხურზე უწმინდესი ლოცვა.	რომლისგანაც წარმოსდგება რაღაც გულისმიერი სითბო;	ხოლო მის შემდგომ გვევლინება წმინდა ენერგია.
—	—	—
შემდეგ გულის ღვთაებრივი ცრემლები.	რომლის დროსაც ცხრება ყოველგვარი ზრახვები.	და იწმინდება გონება.
ზესფეროთა საიდუმლოების ჭვრეტა.	რომლის შემდეგაც ხდება უცნაური გაბრწყინება გამოუთქმელი გზით.	ხოლო ამ გაბრწყინებისაგან ხდება ხოლმე გამოუთქმელი გასხივოსნება გულისა
—	—	—
აქედან კი სრული სრულყოფილება.		

10. სრულყოფილება	ათეული საფეხურთა — ღვთაებრივი ფილოსოფია
9. გულის გასხივოსნება	
8. უცნაური განათება	ათეული საფეხურთა — ყველა
7. საიდუმლოთა ჭვრეტა	ნიგნთა ნაყოფი
6. გონების განწმენდა	ათეული საფეხურთა სრულყოფილებას ამჟღავნებს.
5. ზრახვათა სიმშვიდე	
4. გულის ცრემლები	საფეხურთა ათეულს ზეცად
3. წმინდა ენერგია	ავყავართ
2. გულის სითბო	საფეხურთა ათეულს
1. წმინდა ლოცვა	ღვთის ხილვასთან მიეყავართ

ისიხასტთა ამ სქემას ახლავს ეპ. პ. უსპენსკის მინაწერი: „აი, რა მაღლა დანავარდობენ არწივნი ღვთისა! ჩვენ კი ნეტავ მიწაზე მაინც ვიდოდეთ მონანიებით, რწმენით, სიყვარულითა და იმედით“.

ვლადიმირ ლოსკი

სინათლის ღვთისმეტყველება წმ. გრიგოლ პალამას მოძღვრებაში

I

წმ. გრიგოლ პალამას, თესალონიკიის არქიეპისკოპოსის, მისტიკურმა ღვთისმეტყველებამ მწვავე პოლემიკა გამოიწვია დასავლეთში, რომელიც არ ჩამცხრალა XIV საუკუნის შემდეგაც. ხელახლა ვეხები რა სარწმუნოებრივი მოძღვრების ერთერთ იმ დებულებას, რომელიც ჰყოფს დასავლეთის და აღმოსავლეთის ქრისტიანებს, სულაც არ ვაპირებ ძველი კონფესიონალური კამათის განახლებას. მაგრამ მეჩვენება, რომ იმისათვის, რათა უკეთ გავიცნოთ ერთმანეთი, მართებულია მთელი გულახდილობით გადმოიცეს ის, რაც განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენთვის ჩვენს სულიერ ტრადიციებში და მდუმარებით გვერდი არ ავუაროთ ჩვენი სულიერი ცხოვრების იმ დამახასიათებელ თავისებურებებს, რომლებიც რჩებიან რა ხშირად გაუგებარნი როგორც ერთი, ისე მეორე მხარისათვის, ამდენ კამათს აღძრავდნენ წარსულში.

მე ძალზე კარგად მესმის, თუ რამდენი უცნაური და უჩვეულო რამაა დაკავშირებული გრიგოლ პალამას სახელთან დასავლეთის ღვთისმეტყველთა უმრავლესობისათვის. მისმა მოძღვრებამ განიცადა მძაფრი კრიტიკა დასავლეთში. საკმარისია გავიხსენოთ გვერდები, რომლებიც მას უძღვნა დენი პეტრომ[1]. თვით ნმინდა ისტორიული გამოკვლევების კითხვისას (მაგალითად, მმ. ჟიუჟისა და გიშარდანის[2] შრომებისა) იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათი ავტორები ადამიანში, რომლის აზრსაც ისინი იკვლევენ, ხედავენ მხოლოდ თავიანთ მოწინააღმდეგეს. აქედან — მრავალრიცხოვანი გაუგებრობანი, რომლებიც ხელს უშლიან იმის სწორ შეფასებას, რასაც დასავლეთში ჩვეულებისამებრ „პალამიზმს“ უწოდებენ, და, — გავბედავ და ვიტყვი, — ქრისტიანული აღმოსავლეთის გადმოცემის ღვთივ არსის გაგებას. მართლაც, ჩვენთვის წმ. გრიგოლ თესალონიკელი სულაც არ წარმოადგენს რაღაც ახალი მოძღვრების ავტორს: იგი მხოლოდ ერთ-ერთი მოწმეა გადმოცემისა, ზუსტად ისევე, როგორც მაგალითად, წმ. ათანასე დიდი, ბასილი დიდი, გრიგოლ დიდი ანდა მაქსიმე აღმსარებელი. თავისებურება მისი მოძღვრებისა ძირითადად განსაზღვრულია იმით, რომ იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამს სარწმუნოებრივი მოძღვრების რამდენიმე დებულებას, თუმცა მათ აგრეთვე ვხვდებით სხვა მამებთანაც. თავისებურება მისი მოძღვრებისა შესაძლოა აიდევ ის არის, რომ იგი გაბედულად წამოჭრის იმ პრობლემებს, რომელნიც აღემატებიან ადამიანურ გაგებას. ამიტომ ჩემთვის განსაკუთრებით ძნელი იქნება პალამას აზრების გამოყოფა მართლმადიდებლური ეკლესიის საერთო საგანძურიდან. მაგრამ სწორედ ამიტომ უნდა გვაინტერესებდეს ჩვენ მისი ღვთისმეტყველება როგორც ერთ-ერთი ჭეშმარიტი გამოხატულება მართლმადიდებლური სულიერი ცხოვრების სარწმუნოებრივი მოძღვრების საფუძვლებისა — ბიზანტიურისა, რუსულისა და ნებისმიერი სხვისა.

არიან ადამიანები, რომელთა ცხოვრება და მოღვაწეობა ისე მჭიდროდაა დაკავშირებული მათი ეპოქის დიდ მოვლენებთან, რომ შეუძლებელია მათი ბიოგრაფიის დაცილება მათი საუკუნის ზოგადი ისტორიისაგან. წარმოუდგენელია, მაგალითად, საუბარი იმავე წმ. ათანასე დიდის ცხოვრებაზე ისე, რომ არ შეეხოთ ისტორიას არიანული პაექრობებისას, ყველა საეკლესიო კრებისა და შეკრებულობის ისტორიას, ყველა რელიგიურ და პოლიტიკურ არეულობას IV სა-

ვდოლოხ ვია. Via dolorósa

უკუნისას. იგივე შეიძლება ითქვას წმ. გრიგოლ პალამაზე. სწორედ ამიტომ, არ შევეხები რა მის მთელ ბიოგრაფიას, — აშისათვის ჩვენ დაგვჭირდებოდა ჩვენი თემიდან ძალზე შორს გადახვევა, — შემოვიფარგლები აქ მხოლოდ რამდენიმე ნონაცემით ძირითადად ქრონოლოგიური რიგისა. პალამა დაიბადა მე-13 საუკუნის ბოლოს (შესაძლო თარიღი — 1296 წ.) კონსტანტინოპოლში ან მცირე აზიაში. მისი ოჯახი ეკუთვნოდა საიმპერატორო კარის დიდგვაროვანთა წრეს, რამაც საშუალება მისცა ღრმად შეესწავლა ფილოსოფია და ღვთისმეტყველება. დაახლოებით 20 წლის ასაკში პალამა ბერად აღიკვეცა წმინდა ათონის მთაზე, რომელიც დატოვა 1340 წელს იმ აუცილებლობასთან დაკავშირებით, რათა მიეღო ენერგიული მონაწილეობა დოგმატიკურ ბრძოლაში. 1347 წელს იგი გახდა თესალონიკიის არქიეპისკოპოსი. მისი სიცოცხლის უკანასკნელმა წლებმა (გარდაიცვალა 1359 წელს) გაიარა კონსტანტინოპოლს (სადაც თხუთმეტი წლის მანძილზე შედგა რამდენიმე საეკლესიო კრება და სინოდი), თესალონიკიის კიოედრასა და ათონის მთას შორის, რომელსაც იგი, იყო რა განწყობილი ძირითადად ლოცვა-მჭვრეტელური ცხოვრებისადმი, განუწყვეტლივ უბრუნდებოდა[3].

უდავოა, რომ წმ. გრიგოლ პალამა უმჭიდროესადაა დაკავშირებული ათონს მთის სულიერ გარემოსთან. მაგრამ უხეში შეცდომა იქნებოდა დაგვენახა მასში მხოლოდ დამცველი ბერ-ისიხასტთა ასკეტიკური და მისტიკური პრაქტიკისა.[4] მართალია, პოლემიკა, რომელმაც აიძულა პალამა დაეტოვებინა მონასტრის სიჩუმე, დაიწყო მის მიერ ისიხასტთა ლოცვითი მეთოდის აპოლოგიით, რაც მძაფრად გააკრიტიკა კალაბრიის ბერმა ვარლაამმა. ეს უკანასკნელი, აქცევდა რა ყურადღებას მხოლოდ ზოგიერთ გარეგნულ ხერხს ათონელთა მჭვრეტელობითი ლოცვისას (მაგალითად, სხეულის უძრავი და დახრილი მდგომარეობა, სუნთქვის შეკავება და სხვა ტექნიკური პირობები, რომლებიც რეკომენდებულია გონების კონცენტრაციის გასაადვილებლად გონითი ლოცვის დროს), ცდილობდა ათონის ბერთა გამასხარავებას, სახავდა რა მათ რაღაც ხეპრეებად, რომელთაც წარმოედგინათ, რომ თითქოს სულიერი უნარნი თავმოყრილი არიან ჭიპში და რომ მექანიკურ ქმედებათა გზით შეიძლებოდა ღვთის ჭვრეტის მიღწევა*. ამა-

* ისიხაზმის ამ ტექნიკას ასე აღწერს კონსტანტინოპოლის ქსეროკერის მონასტრის ბერი სიმეონი XI საუკუნეში: „ჩარჩაზე კარი შენი სენაკისა, დაკეტ კუთხეში და გახაშორე აზრი შენნი ყოველივე მიწიერს — სხეულებრივსა და სწრაფწარმავალს. შემდეგ დახარე შენი ნიკაპი მკერდზე და მიაპყარ გრძნობადი და სულიერი თვალი შენს ჭიპს; შემდეგ მოიკუმე ნესტოები ისე, რომ ოდნავ შეიძლებოდეს სუნთქვა, და თვალებით მოძებნე დაახლოებით ის ადგილი გულისა, სადაც თავმოყრილია სულის ყველა უნარი. თავდაპირველად შენ ვერაფერს ვერ დაინახავ შენი სხეულის გამჭოლ; მაგრამ როდესაც გაატარებ ამ მდგომარეობაში დღესა და ღამეს, მაშინ, ჰოი ნახწაულო, დაინახავ იმას, რაც შენ არასოდეს არ გიხილავს, დაინახავ ძალზე მკაფიოდ, რომ შენი გულის ირგვლივ ერცელდება ღვთაებრივი სინათლე“. კალაბრიის ბერმა ვარლაამმა სწორედ ეს აიგდო სასაცილოდ, უწოდა რა ამ მეთოდს „ჭიპგონებითობა ან ჭიპსულიერება“ — ომფალოფსიქია (ბერძნ). 1341 წლის საეკლესიო კრებამ, რომელზედაც გამოვიდა წმ. გრიგოლ პალამა, დაგმო ვარლაამი. ეს შეხედულება შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ღმერთი თავისი არსით არის ერთი, მაგრამ მასში არის მრავალი ენერგია. ამ ენერგიათა რიცხვს განეკუთვნება მადლი ღვთისა და ღვთაებრივი გაბრწყინება. ეს გაბრწყინება იყო ადამში მის დაცემამდე. მაგრამ ადამის დანაშაულის შედეგად დაიკარგა იგი. ყველა გამოვლინდა თაბორზე, რათა ვიცოდეთ, თუ რანი ვიყავით და რანი გავხდებით. მხოლოდ ეს გაბრწყინება აძლევს ადამიანს საშუალებას გახდეს სრულყოფილი ღვთის მსგავსად. ღირსეულთ ღმერთი ანიჭებს გამღძრთობ მადლს, რომელიც არის თვითმყოფი სინათლე. ეს სინათლე, ეს ჭეშმარიტ ანგელოზთა, არის დიდება ღვთაებრივი ბუნებისა და მშვენიერება მომავალის ჟამისა. მისი დანახვა შეიძლება სხეულებრივი თვალით. იხ. Нов. Энц. Сл. СПБ, т. XIX, 683. (მთარგმნელის შენიშვნა).

ზე ვარლაამი არ შეჩერდა: ეყრდნობოდა რა ისიხასტთა მტკიცებას, რომ „ზოგიერთს დამყენებელი მჭვრეტელობითი ლოცვისას ელირსება ხოლმე ხილვა ძეუქმნელი სინათლისა, მან ისინი დაადანაშაულა მესალიანობაში[5]. კამათი გადავიდა თვით ამ სინათლის ბუნებაზე, და ვარლაამმა პოლემიკის სიცხარეში გასაცხადა, რომ სინათლე, რომელშიაც ქრისტე მოეცხადა მოწაფეებს თავისი ფერისცვალების ჟამს თაბორის მთაზე, იყო სხვა არაფერი, თუ არა ქმნილი ფენომენი, ასე ვთქვათ, წმინდა ატმოსფერული რიგისა, ე. ი. თავისი ბუნებით უფრო დაბალი, ვიდრე ადამიანური აზროვნება. ამან ააღელვა მთელი ბიზანტიის იმპერია.

საეკლესიო კრებაზე, რომელიც მოიწვიეს კონსტანტინოპოლში 1341 წელს, პალამამ დასვა საკითხი დოგმატიკურ პლანში[6]. იგი საუბრობდა მისტიკური ცდის რეალობაზე, ღვთის შემეცნების შესაძლებლობაზე, ამ შემეცნება-ხედვის ბუნებაზე, დაბოლოს, მადლის ბუნებასა და მის ცდისეულ აღქმაზე. ასეთი იყო თემა მოძღვრებისა, რომელსაც აღიარებდა წმ. გრიგოლ პალამა — თავისი ეპოქის საეკლესიო კრებათა სულისკვეთების გამომხატველი[7]. გადავიდეთ ახლა ამ მისტიკური ღვთისმეტყველების ზოგიერთი ძირითადი მომენტის განხილვაზე[8].

II

მართლმადიდებლური ეკლესია არასოდეს მკაფიოდ არ ანსხვავებდა ერთმანეთისაგან ღვთისმეტყველების სფეროსა და მისტიკის სფეროს. ყოველ ჭეშმარიტ დოგმატიკურ შრომას საფუძვლად მისტიკური გამოცდილება უდევს[9]. მეორე მხრივ, ყოველი მისტიკური ქმნილება დაკავშირებულია დოგმატიკურ სფეროსთან იმდენად, რამდენადაც იგი გამოხატავს და ააშკარავებს თავის შინაარსში ცდისეულ წვდომას ღვთაებრივი საგნებისას. თუკი ისეთი წმინდა „მისტიკური“ ავტორი, როგორიც იყო წმ. სვიმეონი, იწოდება „ახალ ღვთისმეტყველად“, ეს ნიშნავს, რომ მისტიკა განიხილება როგორც ღვთისმეტყველება უპირატესად. მაგრამ იგი შედის სიღრმეებში, ასე ვთქვათ, დაფარულ-საიდუმლოში, რომელიც გახმიანებას არ ექვემდებარება. წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის წერილები, მაგალითად, განკუთვნილი იყო მხოლოდ იმ ბერებისათვის, რომელიც უკვე ჰქონდათ მჭვრეტელობითი ცხოვრების გამოცდილება[10].

„ტომოს ჰაგიორიტიკოს“, შედგენილი ათონის მთის ბერთა მიერ, წმ. გრიგოლის მიერ შთაგონებული და დაწერილი მისი მეთვალყურეობის ქვეშ, საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ, თუ სახელდობრ რას მიაკუთვნებდა იგი მისტიკური ღვთისმეტყველების სფეროს[11]. „ტომოსის“ ავტორები ძველ აღთქმაში, ძველი კანონის სხვა დოგმატებთან ერთად, ხედავენ წინასწარმეტყველურ ხილვებს მომავლის დოგმატებისას, ევანგელური ეპოქის დოგმატებისას, რომლებიც ძველი აღთქმის ადამიანს წარმოუდგებოდა როგორც საიდუმლოებანი, რომელთა ხათლად გამოხატვა შეუძლებელი იყო. ასევე ჩვენთვის, ევანგელურ ეპოქაში ცხოვრებთათვის, მომავლის საქმენი, სასუფეველი ღვთისა, წარმოსდგება საიდუმლოებებად. ეს საიდუმლოებანი საკვლევით შეიძლება შეცნობილ იქნენ ან, უფრო სწორად, მათ ცდისეულად შეიძლება ჩაწვდნენ მხოლოდ წმიდანები — ისინი, რომლებიც სრულ ერთიანობაში ცხოვრობენ ღმერთთან, რომლებიც მადლით არიან გარდაქმნილნი და განეკუთვნებიან უფრო მომავალი საუკუნის სიცოცხლეს, ვიდრე ჩვენს, მიწიერ ცხოვრებას[12]. ამიტომ ადვილად შეიძლება მივხვდეთ, თუ რას გრძნობდა წმ. გრიგოლ პალამა, როდესაც იძულებული გახდა

ლოგმატიკური ფორმით გამოეთქვა ის, რაც განეკუთვნებოდა საიდუმლოების სფეროს, რისი შენახვაც იყო საჭირო მჭვრეტელობის სიწმიდეში, და არა მისი ყველასათვის უწყება გონებისათვის ხელმისაწვდომი ცნებებით.

არსებობს ღვთისმეტყველების ორი სახე. პირველს, რომელიც ღმერთში ხედავს აბსოლუტურად მარტივ ობიექტს, ყველა შესაძლებელი ცოდნა ღვთაებრივი თვისებების შესახებ აჰყავს ამ პირველადმარტივამდე, რის შედეგადაც ღვთის ბუნება შესაძლებელია შეცნობილ იქნეს მხოლოდ ანალოგიათა მეშვეობით, რომლებიც განეკუთვნებიან არსს, რომელიც აღემატება ჩვენს გაგებას, რომლის ბუნებრივი ფუნქციაა რთულ და მრავალგვარ საგანთა შემეცნება; მაგრამ არის აგრეთვე სხვა ღვთისმეტყველებითობა, რომელშიაც ღვთის შეუმეცნებადობას აქვს უფრო რადიკალური მნიშვნელობა. ეს შეუმეცნებადობა არ შეიძლება დასაბუთდეს ღვთაებრივი არსების აბსოლუტური სიმარტივით: მაშინ ნამდვილად შეიძლებოდა გვევარაუდა არსი, შემეცნებადი — თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც — ანალოგიათა დახმარებით: არსი მარტივი, თავისი ატრიბუტების ანალოგიური. პირიქით, თუკი ამოვალთ ღვთის შეუმეცნებადობიდან, უფრო დასაშვებია ვამტკიცოთ, რომ მის შესახებ არ შეიძლება მსჯელობა როგორც მარტივი არსის შესახებ, რადგან ეს იქნებოდა მისი აბსოლუტური შეუმეცნებადობის ხელყოფა და მიუხედავად ამისა, ეს ღვთისმეტყველება არანაკლები ძალით ამტკიცებს ღვთის შემეცნების შესაძლებლობას.

ამგვარად, ჩვენს წინაშეა ანტინომიური ღვთისმეტყველება, რომელიც ოპერირებს ურთიერთსაწინააღმდეგო, მაგრამ თანაბარჭეშმარიტ მტკიცებათა დაპირისპირების გზით. წმ. გრიგოლ პალამა თვით აღიარებს თავისი ღვთისმეტყველებითი მეთოდის ამ ხასიათს, როდესაც ამბობს: „ყოველ ღვთისმეტყველებას, რომელსაც სურს ღვთისმოსაობის თაყვანისცემა, ახასიათებს მტკიცება ან ერთისა, ან მეორისა, თუკი ორივე მტკიცება ჭეშმარიტია; წინააღმდეგობა კი საკუთარ თავთან საკუთარ მტკიცებებში — ხვედრია ადამიანთა, რომელთაც სავსებით წართმეული აქვთ გონება“[13]. იგი აქ ლაპარაკობს ანტინომიის ორ წევრს შორის წინასწორობის შენარჩუნების აუცილებლობაზე[14], რათა არ მოვწყდეთ გამოცხადების რეალობებს, შევცვლით რა მათ ადამიანური ფილოსოფიის ცნებებით. ასე, მაგალითად, ვსაუბრობთ რა ღმერთზე, უნდა ითქვას, რომ იგი ერთია და რომ იგი არ არის ერთი. საბელიუსმა, რომელმაც ვერ შეძლო დაცვა ამ წინასწორობისა და რომელიც, უწინარეს ყოვლისა, ხედავდა ერთიან არსს, დაკარგა ცნება პირთა საქმიანობისა და ქრისტიანთა ცხოველი ღმერთი. შეცვალა წარმართ ფილოსოფოსთა რაღაც ღვთაებრივი არსით. ამ ანტინომიური ღვთისმეტყველებითობის მიზანია არა ცნებათა სისტემის დამუშავება, არამედ ის, რომ იყოს ადამიანური გონების საყრდენი მის მიერ ღვთაებრივ საიდუმლოებათა ჭვრეტისას. ორი ჭეშმარიტი მტკიცების ყოველი ანტინომიური დაპირისპირებიდან იშვება დოგმატი, ე. ი. რეალური განსხვავება, თუმცა კი გამოუთქმელი, მიუწვდომელი; არ შეიძლება მისი ცნებებზე დაფუძნება და არც მისი დედუცირება განსჯათა გზით, რამდენადაც იგი გვევლინება რელიგიური რეალობის გამომხატველად. თუკი ჩვენ იძულებულნი ვართ ჩამოვაყალიბოთ ეს განსაზღვრებანი, ეს ხდება სწორედ იმიტომ, რათა შევინარჩუნოთ ანტინომია, რათა ხელი შეეშალოთ ადამიანის გონებას, გაანადგურებს რა ანტინომიას, შეცდომაში ჩაკარდეს და შემდეგ დაიწყოს ღვთაებრივ საიდუმლოთა ჭვრეტა უმარილო რაციონალიზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის მეთოდით, შეცვლის რა ცნებებით ცოცხალ გამოცდილებას. ანტინომია კი პირიქით — ამაღლებს გონებას ცნებათა სფეროზე, აჰყავს რა იგი გამოცხადების კონკრეტულ მონაცემებამდე.

III

ამოსავალი წერტილი წმ. გრიგოლ პალამას ღვთისმეტყველებისა — ესაა ანტინომია შემეცნებადსა და შეუმეცნებადს შორის ღმერთში. ესაა ანტინომია ორ ღვთისმეტყველებით გზას შორის, რომელიც დაადგინა წმ. დიონისე არეოპაგელმა: მტკიცების (კატაფატიკურ) გზასა და უარყოფის (აპოფატიკურ) გზას შორის. შეიძლება ღვთის შემეცნება მტკიცებათა გზით, მივაწერთ რა ღმერთს ამ სრულყოფილებათ, რომელთაც ჩვენ ვხედავთ შექმნილ სამყაროში: სახიერება, სიბრძნე, სიცოცხლე, სიყვარული, ყოფიერება. შესაძლებელია აგრეთვე მისი შემეცნება ნეგატიურად, აპოფატიკური გზით, უარვყოფთ რა მის მიმართ ყველაფერს, რასაც მიმართება გააჩნია ყოფიერების სფეროსთან, რადგან ღმერთი — ყოფიერებაზე უმაღლესია, იგი ყველაფერზე მაღლა იმყოფება, რისი დასახელებაც კი შეიძლება. პალამას მოძღვრების მიხედვით, რომელიც ამაში ერთგულია არეოპაგელის აზრისა, დაპირისპირებულობა ამ ორ გზას შორის, ღვთისმეტყველებითობის ამ ორ სახეს შორის არ შეიძლება გადაიჭრას არავითარი შეთანხმებით. საინტერესოა პალამას ამ პოზიციის შედარება (და საერთოდ დიონისეს მთელი ტრადიციისა აღმოსავლეთში) სხვა (განსაკუთრებით დასავლეთის) ღვთისმეტყველთა პოზიციებთან, რომლებიც აგრეთვე, მეტი ან ნაკლები ოდენობით, წარმოადგენდნენ მემკვიდრეებს არეოპაგიტული აზროვნებისას. ასე, მაგალითად, წმ. თომა აკვინელის მოძღვრების მიხედვით, ანტინომია ღვთისმეტყველებითობის ორ გზას შორის საერთოდ არ არსებობს: კატაფატიკური და აპოფატიკური გზები შესაძლებელია და კიდეც უნდა იყვნენ შეთანხმებული, უფრო ზუსტად — დაყვანილი უნდა იქნენ ერთ გზამდე, კატაფატიკურ გზამდე პოზიტიური ღვთისმეტყველებისა: უარყოფათა გზა ამ შემთხვევაში არის სხვა არაფერი, თუ არა მხოლოდ დამატება, მხოლოდ კორექტივი მტკიცებათა გზისა. მისი მიზანია მხოლოდ მიუთითოს, რომ ყველა მტკიცება, რომელიც ღვთაებრივ ბუნებას განეკუთვნება, გაგებულ უნდა იქნეს რაღაც უფრო ამაღლებული აზრით (modo sublimiori). ნიკოლოზ კუზანელის, ამ დიდი მისტიკური დიალექტიკოსის აზრით, რომლის აზროვნებასაც ყველაზე მეტად აზის ბეჭედი დიონისეს ტრადიციისა (რაც, სხვათა შორის, უნდა ითქვას მთელ გერმანულ მისტიკურ სკოლაზეც), ანტინომია ღვთისმეტყველებითობის ორ გზას შორის ინარჩუნებს მთელ თავის მნიშვნელობას: ისინი ადამიანური გონებისათვის შეუერიგებადნი არიან, მაგრამ მათი წინააღმდეგობა წყდება ღმერთში, რომელიც არის დაპირისპირებულობათა შეთანხმება „coincidentia oppositorum“. ბუნება*, სადაც ერთმანეთს ემთხვევა ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებები, ისევე, როგორც უსასრულობაში ერთმანეთს ემთხვევა ორი პარალელური ხაზი. წმ. გრიგოლ პალამას მოძღვრების მიხედვით, რომელიც აქ მხოლოდ აზუსტებს დიონისეს ძირითად აზრს, ანტინომიას კატაფატიკურ და აპოფატიკურ ღვთისმეტყველებებს შორის თავისი რეალური საფუძველი ღმერთში აქვს. როგორც ყველა ღვთისმეტყველებითი ანტინომიები, მაგალითად, ანტინომია ერთიანობასა და სა-

---

* იგულისხმება ღვთის ბუნება. მთარგმნ. შენიშვნა

ობას შორის, რომელიც პოსტულირებას ახდენს განსხვავებისას ბუნებასა* და პირებს[16] შორის, ორი გზის ანტინომია ჩვენი გონების წინაშე ააშკარავებს რაც საიდუმლო განსხვავებას თვითონ ღვთის ყოფიერებაში: ესაა განსხვავება მის არსსა და მის ქმედებებს, ანუ, ღვთაებრივ ენერგიებს შორის.

ეს განსხვავება, რომელიც დაამტკიცა ეგრეთ წოდებულმა პალამიტურმა საეკლესიო კრებებმა, როგორც დოგმატი ეკლესიისა, არის წმ. გრიგოლ პალამას მთელი ღვთისმეტყველებითობის ძირითადი პრინციპი, რომლის მიზანი იყო მოეცა დოგმატიკური დასაბუთება მისტიკური ცდისა, დაუდო რა ამ ცდის რეალობას საფუძვლად დოგმატი, დაკავშირებული ღვთის ყოფიერების სახესთან. მაგრამ პალამა არ იყო ავტორი ამ განსხვავებისა ღვთის არსსა და მის ენერგიებს შორის, — მან მხოლოდ ხაზი გაუსვა მოძღვრების ერთ-ერთ პუნქტს, რომელიც საერთო იყო ბევრი საეკლესიო მამისათვის.

ხშირად მოჰყავთ წმ. ბასილი დიდის სიტყვები: „თუკი ენერგიები ჩვენამდე დადიან, არსი სრულიად მიუწვდომელი რჩება"[17]. წმ. იოანე დამასკელი კიდევ უფრო მკაფიოდ ატარებს განსხვავებას არსს, ანუ საკუთრივ ბუნებას შეუცნობადს, სრულიად მიუწვდომელსა და იმას შორის, „რაც ახლოა ბუნებასთან" ღვთაებრივი თვისებები ანუ ენერგიები[18], ე. ი. „ის, რაც შეიძლება შევიმეცნოთ ღვთის შესახებ" — პავლე მოციქულის მიხედვით (რომ. I,19). უფრო ნათლად რომ გავიგოთ, თუ რას წარმოადგენენ ქმედებანი ანუ ენერგიები ბუნებასთან მათ მიმართებაში პალამასა და სხვა ბერძენ მამათა მოძღვრებაში, საჭიროა, პირველ ყოვლისა, უკუვაგდოთ ყოველგვარი იდეა მიზეზობრიობისა[19] და თვით იდეაც მიზეზის ოპერატიული თანდასწრებისა მის ქმედებებში. ენერგიები — ეს არაა ღვთაებრივი არსისათვის უცხო ქმედებანი, ღვთის გარეგნული აქტები, განპირობებულნი ღვთის ნებით, როგორც, მაგალითად, სამყაროს შექმნა ან მისი განმგებლური ქმედებანი, ისინი — გადმოფრქვევაა თვითონ ღმერთის ბუნებისა, მისთვის კუთვნილი ყოფიერების მოდუსი, რომლის მიხედვითაც იგი არსებობს არა მხოლოდ თავის არსში, არამედ მის გარეთაც ყოველი სახე, აღებული შექმნილი სამყაროდან, რომელთა დახმარებითაც პალამა ცდილობს გაგვიხსნას არსი ამ განსხვავებისა იმათ შორის, რაც არის ღმერთი თავის არსში და რაც არის ღმერთი თავის ენერგიებში, როგორც თვითონ აღიარებს — არასაკმარისია. იგი „არსს მზის დისკოს ადარებს, ხოლო ენერგიას — სხივებს[20]. იგი ღმერთს ადარებს აგრეთვე ადამიანურ გონებას, რომელსაც ძალუძს სულ სხვადასხვაგვარ საგანთა აღქმა ერთიდან მეორეზე გადასვლით, მაშინ როცა თვითონ ინტელექტი თავისი არსით სხვა სუბსტანციებში არ გადადის[21]. წმ. იოანე დამასკელი ენერგიებს განსაზღვრავს სიტყვებით „მოძრაობა" ან „გაჩოსვლანი ღვთისა".

არასწორი იქნებოდა მიგვეჩნია, რომ ღვთაებრივი ენერგიები არსებობენ მხოლოდ ღმერთის მოქმედების მიხედვით იმის მიმართ, რაც მის გარეთაა ე. ი. სამყაროს შექმნის თვალსაზრისით. მთელი შექმნილი სამყარო წარმოადგენს მხოლოდ შემოქმედის ნების მიერ წინასწარ დადგენილ შეზღუდულ თანაზიარობას ღმერთთან[23]. სამყარო რომ არც ყოფილიყო შექმნილი, ღმერთი მაინც იარსებებდა არა მარტო თავის მიუწვდომელ არსში, არამედ მის გარეთაც, თავის ენერგიებში, რომლებიც იფრქვევიან არსიდან[24]. ლაპარაკობს რა ენერგიებზე, წმ. გრიგოლ პალამა ზოგჯერ მათ უწოდებს „დაბალ ღვთაებას, უპირისპირებს რა ამათ ღვთაებრივ არსს — „უმაღლეს ღვთაებას"[25], მაგრამ იგი აზუსტებს, რომ ეს

* იგულისხმება ღვთის ბუნება მთარგმ. შენიშვნა



გერახის ნანგრევები

სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ღმერთი მცირდება თავისი არსის ბუნებრივ გამოსვლებში. ესაა მისი ძირითადი განსხვავება პლატონისტებისაგან, მიუხედავად ტერმინოლოგიის მსგავსებისა („ენერგია", „გამოსვლა"). არსი აღიარებულ უნდა იქნეს უმაღლესად ენერგიებთან მიმართებაში იმავე აზრით, როგორადაც მამაზე — ღვთაების ერთიან წყაროზე — ჩვენ ვსაუბრობთ როგორც პირველზე ძესთან და სულთან მიმართებაში. გარდა ამისა, განსხვავება არ არის გაყოფა: იგი არ ყოფს ღმერთს შემეცნებადსა და შეუმეცნებადზე, — ღმერთი აცხადებს თავისთავს, მთლიანად ავლენს თავს თავის ენერგიებში და რჩება სრულიად შეუმეცნებადი, ვერსაუწყებელი თავის არსში. იგი რჩება ი მ ა დ ვ ე ყოფიერების ამ ორ მოდუსში: ი გ ი ვ ე, და ამავე დროს ს ხ ვ ა, დიონისე არეოპაგელის სიტყვით[26]. ჩვეულებისამებრ წმ. გრიგოლ პალამა თავს არიდებს ტერმინ „არსს" (უსია-ბერძ.), სთვლის რა მას არასაკმარისად და შეუფერებლად იმის აღსანიშნავად, თუ რას წარმოადგენს ღმერთი თავისი ბუნებით. იმის აღსანიშნავად, რისი სახელდებაც არ შეიძლება, იგი უპირატესობას ანიჭებს დიონისესგან ნასესხებ სიტყვას „ზეარსს". ღმერთში თვით განსხვავება არსსა და მას შორის, რაც არსი არაა, საჭირო გახდა სწორედ იმიტომ, რომ ღმერთი თავისი არსით არ არის შეზღუდული. იგი უფრო მეტია, ვიდრე არსი, — ცხოველი ღმერთი — ღმერთი ბრაამისა, ისააკისა და იაკობისი, ყოვლადწმიდა სამება, და არა ღმერთი ფილოსოფოსთა და სწავლულთა.

IV

ღმერთში არსებული ამ რეალური განსხვავებულობიდან გამომდინარე პირველი შედეგი განეკუთვნება თვითონ მისტიკური ცდის ობიექტს. ესაა არა ღმერთი თავის არსში, ვერსაუწყებელი და შეუცნებადი თვითონ განსაზღვრების მიხედვით, რადგან ჩვენ თუ შევძლებდით რაღაც მომენტში რამდენადმე მის არსთან ზიარებას, მაშინ ამ მომენტში ჩვენ ვიქნებოდით არა ის, რაც ვართ, არამედ ღმერთები ჩვენი ბუნების მიხედვით; მაგრამ ჩვენ ვართ ქმნილი არსებანი, მიწოდებულნი მადლის მეშვეობით გავხდეთ იმად, რასაც ღმერთი წარმოადგენს ბუნებით[27]. თუ წმ. პეტრე მოციქული ჩვენ გვიწოდებს „ღვთაებრივი არსის თანაზიართ", ეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს არსი მისაწვდომი ხდება ზიარებისათვის თავის ენერგიებში, მაგრამ არა „თავის თავში". იგივე შეიძლება ითქვას ღვთის შემეცნებაზე, და სისავსე ამ შემეცნებისა იოტისოდენადაც არ მცირდება იმით, რომ ჩვენ არ ძალგვიძს ღვთის შემეცნება სხვაგვარად, თუ არ მის ენერგიებში. წმ. გრიგოლ პალამა (ისევე, როგორც საერთოდ ყველა მართლმადიდებელი ღვთისმეტყველი) არასოდეს ლაპარაკობს ღვთაებრივი არსის ხედვაზე: ცხოველი და პიროვნული ღვთის სახის ჭვრეტას წმიდანები შეძლებენ მომავალი საუკუნის სიცოცხლეში. მოძღვრება არსზე როგორც ნეტარი ჭვრეტის ობიექტზე — აზროვნების ამ წყობაში იქნებოდა ძალზე აბსტრაქტული, რელიგიური რეალობის ინტელექტუალური ცნებებით შემცვლელი. როდესაც პალამა ლაპარაკობს ღმერთზე, მას ყოველთვის მხედველობაში აქვს ყოვლადწმიდა სამება. სამპიროვნული ღვთაების გარეშე, — ამბობს იგი, — მე არაფერს არ ვუწოდებ ღვთაების სახელს — არც არსს, არც პიროვნებას[28]. ამიტომ, თუკი იგი ენერგიებს განსაზღვრავს სიტყვით „ღვთაებანი" (მრავლობით რიცხვში), ეს ხდება სწორედ იმდენად, რამდენადაც ისინი დამახასიათებელნი არიან ერთარსი

პიროვნებებისათვის როგორც მათი სიცოცხლე, ძალა, სიბრძნე, სიწმინდე საერთოა მამიზა, ძისა და სული წმიდასათვის[29]. ყოველი ენერგია გვიელენს ჩვენ სამებას — საწყისსა და მწვერვალს. ყოველი მისტიკური ცდისას ყოველივე ამისგან გამოდის და ყოველივე უბრუნდება მას: მამას — წყაროს ერთიანი ღვთაებისას, ძესა და სული წმიდას, რომელნიც წარმოქმნილნი არიან მისგან მიმწვდომელი ბუნების ერთიანობაში. ენერგიები, მარად და მარად ამ ბუნებიდან გამომდინარენი, რომელთაც ჩვენ შეგვაერთებს სული წმიდა, გვანიჭებენ ჩვენ გაღმრთობას, გვხდიან ჩვენ ყოველადწმიდა სამების სიცოცხლის თანაზიარს, — იმ სიცოცხლისას, რომელსაც ევანგელიები უწოდებენ სასუფეველს ღვთისას.

მეორე შედეგი არსსა და ენერგიათა შორის განსხვავებისა ესაა კონკრეტული და, ასე ვთქვათ, დინამიკური ხასიათი იმისა, რაც საღვთისმეტყველო სახელმძღვანელოებში იწოდება ღვთის „თვისებებად" ანუ „ატრიბუტებად": თვისება-ენერგიები. წმ. გრიგოლ პალამას მოძღვრებაში სულაც არ წარმოადგენენ აბსტრაქტულ ცნებებს, რომლებიც განეკუთვნებიან ღვთაებრივ არსს; ეს პიროვნული და ცოცხალი ძალებია — არა რამე ინდივიდუალურ არსებათა გაგებით, როგორც ამას განმარტავდნენ პალამას მოწინააღმდეგენი, რომელნიც ბრალს სდებდნენ მას პოლითეიზმში, არამედ სწორედ პიროვნული ღმერთის გამოვლინებების გაგებით. ამ თვისებებს ენიჭებაო სრულიად კონკრეტული დასახელებები, აღებული უფრო ხშირად წმიდა წერილიდან, და პალამას სავსებით არ აღელვებს მათი ანთროპომორფული გამოხატვა, რადგან მიზანი მისტიკური ღვთისმეტყველებისა არის გონების კვლავ მიბრუნება აბსტრაქტული ცნებებიდან ღვთაებრივი რეალობების ცდისაკენ. ამ ღვთისმეტყველებაში ძალზე იშვიათად გვხვდება „ფიგურალური გამოთქმები", და როდესაც წმ. გრიგოლ პალამა ძალზე აბსტრაქტულ და ფილოსოფიურ ტერმინ „ენერგიას", რომელიც ძირითადად მოხერხებულობის გამო გამოიყენებოდა დოგმატიკურ დისკუსიებში, ცვლის უფრო კონკრეტული ტერმინით „ღვთაებრივი სინათლე", ამ სიტყვას ხმარობს სრულიად რეალური გაგებით.

V

წმიდა წერილი — ისევე, როგორც ლიტურგიკული საგალობლები და მთელი ლიტერატურა წმიდა მამებისა — სავსეა გამოთქმებით, რომლებიც განეკუთვნებიან ღვთაებრივ სინათლეს, ღვთის დიდებას, თვითონ ღმერთს, რომელსაც უწოდებენ „წმიდას". საკითხავია: ამაში მხოლოდ მეტაფორები უნდა დავინახოთ, რიტორიკული ხახვები? თუ ეს სინათლე არის ღვთის ჭეშმარიტი ასპექტი, მისტიკური რიგის რეალობა?

„ღმერთი იწოდება სინათლედ არა თავისი არსის მიხედვით, არამედ თავისი ენერგიის მიხედვით", — ამბობს პალამა[30]. ენერგიები, რომლებიც ავლენენ ღვთაებრივ ბუნებას, იწოდებიან სინათლედ არა მხოლოდ მატერიალურ სინათლესთან ანალოგიის მიხედვით (ენერგია, რომელიც ვრცელდება სხივოსანი სხეულიდან, მაგალითად, მზის დისკოსაგან): ღვთაებრივი სინათლე, წმ. გრიგოლ პალამას გაგებით, ესაა მოცემულობა მისტიკური ცდისა, ესაა ხილული ასპექტი ღვთაებისა, ენერგიები, რომლებშიაც ღმერთი უკავშირდება და თავს უცხადებს მათ, ვინც განიწმინდა გული თეისი. ეს სინათლე ანუ გაბრწყინება, რომელიც აღემა-

ტება გონებასა და გრძნობას[31], — მოვლენაა არა ინტელექტუალური რიგისა (როგორც ხშირად ხდება „გაბრწყინება“ გონებისა ალეგორიული და აბსტრაქტული გაგებით); ეს არც მოვლენაა მგრძნობელობითი რიგისა, მაგრამ ეს სინათლე აღავსებს ერთდროულად გონებასა და გრძნობას, უვლენს თავის თავს მთლიან ადამიანს, და არა მისი აღქმის რომელიმე ცალკეულ უნარს. ღვთაებრივი სინათლე არამატერიალურია და თავის თავში არ შეიცავს არავითარ გრძნობადს, მაგრამ ეს არც გონების სინათლეა. „ტომოს ჰაგიორიტიკოსი“ ანსხვავებს 1) გრძნობად სინათლეს; 2) გონების სინათლეს, 3) შეუქმნელ სინათლეს, რომელიც აღემატება როგორც პირველს, ასევე — მეორეს. გონების სინათლე განსხვავებულია იმისაგან, რომელიც გრძნობებით აღიქმება; მართლაც, გრძნობადი სინათლე ჩვენ გვიცხადებს საგნებს, რომლებიც შეესაბამებიან ჩვენს გრძნობებს, ხოლო გონების სინათლე გვიცხადებს ჭეშმარიტებას, რომელიც აზრებში იმყოფება. მაშასადამე, მხედველობა და გონება აღიქვამენ არა ერთსა და იმავე სინათლეს, მაგრამ თითოეულ ამ უნარს ახასიათებს მოქმედება შესაბამისად თავის ბუნებასთან და თავის საზღვრებში, ხოლო როდესაც ისინი, ვინც ამის ღირსია, ღებულობენ მადლსა და სულიერ და ზებუნებრივ ძალას, ისინი აღიქვამენ როგორც გრძნობებით, ასევე გონებით იმას, რაც აღემატება ყოველგვარ გრძნობასა და ყოველგვარ გონებას... როგორ? ამის შესახებ უწყის მხოლოდ ღმერთმა და იმან, ვინც მოიპოვა მადლიანი ცდა[32]. ეს შეუქმნელი, მარადიული, ღვთაებრივი სინათლე გაღმრთობისა არის მადლი[33], რადგან სიტყვა „მადლი“ ეხება ღვთაებრივ ენერგიებსაც იმდენად, რამდენადაც ისინი ჩვენ გვეძლევიან და ასრულებენ საქმეს ჩვენი ხსნისას. ამგვარად, მოძღვრება მადლზე წმ. გრიგოლ პალამასთან, ისევე, როგორც მთელ მართლმადიდებლურ ღვთისმეტყველებაში, დაფუძნებულია ღმერთში მის ბუნებასა და მის ენერგიათა შორის განსხვავებაზე. „განათება, ანუ ღვთაებრივი და განმღრთობი მადლი, არის არა არსი, არამედ ენერგია ღვთისა“, — ამბობს იგი[34]. მადლი — ესაა არა მხოლოდ რაღაც ფუნქცია; იგი უფრო მეტია, ვიდრე ღვთის დამოკიდებულება ადამიანთან; იგი სულაც არ არის მოქმედება ან შედეგი, რასაც ღმერთი ქმნის ადამიანის სულში; იგი თვით ღმერთია, თავისი თავის განმცხადებელი და შემავალი გამოუთქმელ შეერთებაში ადამიანთან. „ღმერთი მადლით მთლიანად მოიცავს მათ, ვინც მისი ღირსია, და წმიდანები მოიცავენ ღმერთს მთელ მის სისავსეში“[35]. არის რა სინათლე ღვთაებისა, მადლს არ ძალუძს დარჩეს დაფარულად ან შეუმჩნეველად[36]: მოქმედებენ რა ადამიანში, ასხვაფერებენ რა მის ბუნებას, შედიან რა მასთან უფრო მჭიდრო ერთიანობაში, ღვთაებრივი ენერგიები სულ უფრო ხილულნი ხდებიან, უცხადებენ ადამიანს ცხოველი ღმერთის სახეს —„სასუფეველი ღმრთისაჲ, მოძავალი ძალითა“ (მარკოზ 9,1). ეს ღვთაებრივი ცდა, ამბობს პალამა, ეძლევა ყოველს მისი საზომით და შეიძლება იყოს მეტად ან ნაკლებად ღრმა, იმათ ღირსებათა მიხედვით, ვინც მას განიცდის[37]. სრული ხედვა ღვთაებისა, რომელიც გახდა ხილული თავის შეუქმნელ ნათელში, თავის განმღრთობ მადლში,— ესაა „საიდუმლო მერვე დღისა“, და ის ეკუთვნის მომავლის საუკუნეს. მაგრამ ღირსეულნი ეღირსებიან ხილვას „სასუფეველსა ღმრთისასა, მომავალსა ძალითა“ უკვე ამ ცხოვრებაში, როგორც იხილა იგი სამმა მოციქულმა თაბორის მთაზე.

ფერისცვალება უფლისა ცენტრალურ ადგილს იკავებს წმ. გრიგოლ პალამას ნააზრევში. თითქმის მთელი კამათი ვარლაამთან და აკინდინთან გაიმართა

ის საკითხის გამო, ქმნილი თუ შეუქმნელი იყო ფერისცვალების ნათელი,— საკითხი, რომელიც ადამიანებს, რომელთათვისაც უცხოა რელიგიური ცხოვრება, შესაძლოა მოეჩვენოთ სქოლასტიკურ ხრიკად, „ბიზანტინიზმად“[38] მაგრამ ეს საკითხი თავის თავში მოიცავდა სხვა მრავალს: კითხვებს მადლის ბუნების, მისტიკური ცდის შესაძლებლობისა და მისი რეალობის, ღვთის ხედვის შესაძლებლობისა და ამ ხედვის ბუნების, დაბოლოს, რეალური და არა მეტაფორული გაგებით გაღმრთობის შესაძლებლობის შესახებ.

მამათა უმრავლესობა, ლაპარაკობენ რა ფერისცვალებაზე, ამტკიცებს, რომ სინათლის ბუნება, რომელიც იხილეს მოციქულებმა თაბორის მთაზე, ღვთაებრივია და შეუქმნელი[39]. წმ. გრიგოლ პალამამ ეს მოძღვრება განავითარა მისტიკური ცდის ბუნების საკითხთან დაკავშირებით. სინათლე, რომელიც იხილეს მოციქულებმა თაბორზე, ღვთისათვის დამახასიათებელია მისი ბუნების მიხედვით: მარადიული, უსასრულო, დროისა და სამყაროს მიღმა არსებული, იგი ეცხადებოდა ძველადთქმისეულ ღვთის მოვლინებებში როგორც დიდება ღვთისა. განსხეულების ჟამს ღვთაებრივმა სინათლემ თავი მოიყარა ღმერთკაც ქრისტეში, რომელშიც დავანებული იყო ღვთაების მთელი სისავსე სხეულებრივად (კოლასელთა მიმართ 2,9). ეს ნიშნავს, რომ ქრისტეს ადამიანური ბუნება გაღმრთობილ იქნა იპოსტასური შეერთებით ღვთაებრივ ბუნებასთან, რომ ქრისტე თავისი ამქვეყნიური ცხოვრების მანძილზე ყოველთვის ბრწყინავდა ღვთაებრივი ნათელით, რომელიც ადამიანთა უმრავლესობისათვის უხილავი რჩებოდა ფერისცვალება არ გახლდათ მოვლენა, შემოსაზღვრული დროითა და სივრცით; არავითარი ცვლილება არ მომხდარა ქრისტეში იმ ჟამს, თვით მის ადამიანურ ბუნებაშიც კი; მაგრამ ცვლილება მოხდა მოციქულთა ცნობიერებაში, რომელთაც წამით გაუჩნდათ უნარი ეხილათ თავიანთი მოძღვარი ისეთად, რ ო გ ო რ ი ც ი ყ ო ი გ ი, გაბრწყინებული მარადიული ნათელით თავისი ღვთაებისა[40]. წმ. გრიგოლ პალამა თავის სიტყვაში ფერისცვალებაზე ამბობს: „ფერისცვალების ნათელი უფლისა არც დაწყებულა და არც დამთავრებულა, იგი არ იყო განსაზღვრული სივრცით და ვერ აღიქმება გრძნობებით, თუმცა კი მაშინ იყო ხილვადი სხეულებრივი თვალებით... მაგრამ თავიანთი გრძნობების შეცვლით მოწაფენი უფლისა ხორციდან სულში გადავიდნენ“[41]. სხეულებრივი თვალებით რომ ვიხილოთ ღვთაებრივი ნათელი, როგორც ამას ხედავდნენ მოციქულნი თაბორის მთაზე, უნდა ვიყოთ ამ სინათლის თანაზიარნი, მისით უნდა კიყოთ გარდაქმნილნი მეტად თუ ნაკლებად. სხვა სიტყვაში წმ. გრიგოლ პალამა, ლაპარაკობს რა მისტიკურ ცდაზე, ამტკიცებს: „ის, ვინც თანაზიარია ღვთაებრივი ენერგიისა... თითქოსდა თვით ხდება სინათლე — იგი შეერთებულია სინათლესთან და სინათლესთან ერთად ხედავს სრული ცნობიერებით ყველაფერ იმას, რაც რჩება დაფარულად ამ მადლიანი ცდის არმქონეთათვის: ასე აღემატება იგი არა მხოლოდ სხეულებრივ გრძნობებს, არამედ ყველაფერს, რაც კი შეიძლება გონებით შეიმეცნოთ... რადგან გულით წმიდანი ხედავენ ღმერთს, რომელიც, არის რა სინათლე, დავანებულია მათში და ეცხადება მის მოყვარულთ, თავის საყვარელთ“[42]

VI

პალამას მოწინააღმდეგენი აღშფოთებულნი იყვნენ მისი მოძღვრებით ღვთის ხედვის შესაძლებლობაზე სხეულებრივი თვალებით. თანამედროვე ავტორნი ფიქრობენ — მაგალითად მ. ჟიუჟი, რომელიც მზად არის კიდევაც აღიაროს პალამას

გარკვეული ღვთისმეტყველური დამსახურებანი, — რომ ეს პუნქტი მისი მოძღვრებისა წარმოგვიდგება რაღაც არასოლიდურ, წინასწარაკვიატებულ სწრაფვად რადაც უნდა დაჯდეს დაიცვას ის, რაც სინამდვილეში წარმოადგენს მისტიკურ ინტერაციას. მაგრამ თუმცა ეს მომენტი წმ. გრიგოლ პალამას მოძღვრებაში შეიძლება აბსურდულად მოგვეჩვენოს, იგი სულაც არ არის არათანამიმდევრული: იგი იმყოფება სრულ ჰარმონიაში მისი ღვთისმეტყველების აპოფატიკურ ხაზთან, ისევე, როგორც ბერძენ მამათა მთელ ღვთისმეტყველებასთან. უნდა გავფრთხილდეთ, რათა ძალზე ადვილად „აბსურდი“ არ ვუწოდოთ ყველაფერ იმას, რაც ჩვენ გონებას, რომელიც თავისი ბუნებით რაციონალურია, უცნაურად ეჩვენება. ასეთ შემთხვევაში ხომ ასევე უნდა უკუგვეგდო, როგორც რაღაც აბსურდული, ქრისტიანულ დოგმატთა უმრავლესობა, მაგალითად დოგმატი ქრისტეს ამაღლებისა თავის ნამდვილ ადამიანურ სხეულთან ერთად შეუქმნელის სფეროში, თვით სამების პირველწყაროსთან. შესაძლებლობა ღვთის ხილვისა სხეულებრივი თვალებით ჩვენ აბსურდად გვეჩვენება; მაგრამ სანამ უარვყოფთ პალამას ამ მოძღვრებას, ყოველ შემთხვევაში აღვნიშნოთ, რომ ამავე „აბსურდს“ ვპოულობთ ჩვენ წმ. სვიმეონ ახალ ღვთისმეტყველთან, — თუმცა სწორედ მის მოძღვრებაში ხედავს კომბეფისი „წყაროს პალამიტური ცდომილებისას“[43], — წმ. იოანე დაპასკელთან[44], წმ. ანდრია კრიტელთან[45], წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველთან[46] და სხვა მამებთან. სანამ ამ ეკლესიის მამათა „ღირსებას ვიხსნიდეთ“, როგორც ამას აკეთებს ჟიუჟი[47] მტკიცებით, რომ მათი გამონათქვამები მხოლოდ რიტორიკულ ხერხებს წარმოადგენენ, შევეცადოთ ჩვენსავე თავს ჩავუკვირდეთ და გავიგოთ, თუ სახელდობრ რა არის მიუღებელი ჩვენთვის პალამას მოძღვრებაში ღვთის ხილვის შესაძლებლობის შესახებ. დუალისტური ფილოსოფია, რომელიც აგერ უკვე სამი საუკუნის განმავლობაში, და შესაძლოა, კიდევ უფრო მეტ ხანს, რადიკალურად აცალკევებს მატერიას სულისაგან, სხეულს სამშვინველისაგან, გრძნობებს გონებისაგან, უდავოდ, აგრეთვე ამ პოზიციასაც უძევს საფუძვლად, რომელიც ჩვენ ინსტინქტურად გვაიძულებს მივაკუთვნოთ ღმერთი სულიერის სფეროს და ამით დავუპირისპიროთ იგი სხეულებრივ სამყაროს. ღმერთისა და უკვდავი სულის ეს დაპირისპირება სხეულისა და სამყაროსადმი ხშირად იწვევდა იმის დავიწყებას, რომ ქრისტიანული ღვთისმეტყველებისათვის არსებობს სხვაგვარი გარჩევა, და ამასთანავე ყველაზე მთავარი: ესაა გარჩევა, რომელიც უპირისპირებს შეუქმნელ ყოფიერებას, ღმერთს — ქმნილ ყოფიერებას, ე. ი. არარსობიდან გამოწვეულ სამყაროს მთელი მისი სულიერი და სხეულებრივი ელემენტებით. ნუთუ ღმერთი მხოლოდ სულია, ღმერთია და იგი ასევე არაა „ღმერთი ყოველთა სხეულთა?“ დეკარტის[48] მათემატიკურ ღმერთთან მიმართებით პასუხი ნათელია: იგი სულთა ღმერთია, გონების ღმერთი. მაგრამ ღმერთსამებასთან მიმართებით, — რომელიც სუფევს მიუდგომელ სინათლეში და თავისი ენერგიებით განმსჭვალავს შექმნილ სამყაროს, როგორც სამყაროს წმინდა სულთა, ასევე სამყაროს სხეულებრივ არსებათა, — ეს ასე არაა: იგი თანაბრად შორია და თანაბრად ახლოა როგორც გონებასთან, ასევე გრძნობებთან.

არსებობს კიდევ სხვა დაბრკოლება ჩვენს ცნობიერებაში: რაღაც, თითქმის შეუმჩნეველი, მანიქეველური ელფერი, რომელიც ჯერ კიდევ რჩება ჩვენს ღვთისმოსაობაში და რომელიც გვაქეზებს ზოგჯერ ძალზე შევიზიზღოთ ხორცი არა ცოდვის მიზეზის გამო, არამედ თვით მისი მატერიალური ბუნების გამო, და მაშინ ჩვენ გვავიწყდება, რომ დაპირისპირება სხეულისა და სულისა, ის ბრძოლა

ხორცისა სულის წინააღმდეგ და სულისა ხორცის წინააღმდეგ, რომელზედაც ამბობს პავლე მოციქული, — ეს შედეგია ცოდვისა და რომ სხეული და სული— სინამდვილეში მხოლოდ ორი ასპექტია ადამიანისა, რომ ჩვენი საბოლოო მიზანია არა მხოლოდ ინტელექტუალური ჭვრეტა ღვთისა, არამედ აღდგომა ბილიანი ადამიანისა, სულისა და სხეულისა, ნეტარება ადამიანურ არსებათა, რომელნიც პირისპირ იხილავენ ღმერთს თავიანთი ქმნილი ბუნების მთელი სიმსავსით.

სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს აქ საშუალება შეეჩერდეთ არც წმ. გრიგოლ პალამას ანთროპოლოგიაზე და არც ასკეტიკურ მოძღვრებაზე, რომელიც მისგან გამომდინარეობს. „ჩვენ არ ვანიჭებთ სახელწოდება „ადამიანს" ცალკე სულსა ან სხეულს, — ამბობს იგი, — არამედ ორივეს ერთდროულად, რადგან მთელი ადამიანი შექმნილი იყო ღვთის ხატად"[49]. წმ. გრიგოლ პალამას მოძღვრების თანახმად, ადამიანებს ყოფიერების უფრო მეტი სისავსე მოეპოვებათ, ვიდრე ანგელოზებს სწორედ თავიანთი სხეულებრივობის მიზეზით: ადამიანური გონება — ეს ცხოველმყოფელი ძალაა, რომელიც სხეულს განმსჭვალავს, როგორც ღვთაებრივი ენერგიები, რომლებითაც ღმერთი განმსჭვალავს ყოველივეს. ამიტომ ადამიანები უფრო სრულყოფილი ხატებაა ღვთისა[50]. ადამიანის სხეულს, იუკი იგი თანხმოვნებაში იმყოფება სულთან, უნარი უნდა შესწევდეს „სულიერი განწყობილებებისადმი"[51]. ასკეტიკური ცხოვრების მიზანია სხეულის არა ისეთი მოკვდინება, რომელიც მოკვეთდა სხეულებრივ გრძნობებს, არამედ, უფრო მეტად ახალი და უკეთესი ენერგიის მოპოვება, რომელიც შეაძლებინებდა სხეულს სულთან ერთად მიეღო მონაწილეობა მადლიან სიცოცხლეში. „თუკი სხეული, — ამბობს პალამა, — სულთან ერთად მოწოდებულია მონაწილეობა მიღლოს მომავალი საუკუნის გამოუთქმელ სიკეთეში, იგი, უდავოა, მისი თანაზიარი უნდა იყოს შეძლებისდაგვარად უკვე ახლა... რადგან სხეულსაც აქვს ცდილეული წვდომა ღვთაებრივ საგანთა, როდესაც სულიერი ძალები მოკვდინებულნი კი არ არიან, არამედ გარდაქმნილნი და კურთხეულნი"[52].

VII

როგორც უკვე აღვნიშნეთ ამ ნარკვევის დასაწყისში, ძალზე ძნელია საკუთრივ წმ. გრიგოლ პალამას მოძღვრების გამოყოფა მართლმადიდებლური ეკლესიის საერთო ავლადიდებიდან, და ძნელია ეს ორი მიზეზის გამო: პირველყოვლისა იმიტომ, რომ მართლმადიდებლური ღვთისმეტყველება, გარკვეული აზრით, საერთო საქმეა, რომელიც ეკუთვნის ეკლესიის ყველა შვილს და რომელსაც ფესვები აქვს გადგმული, თითოეულის სულიერი მონაცემების შესაბამისად, საერთო ცდაში; მეორე მიზეზი გახლავთ ის, რომ თვით მიზანი პალამას შრომისა იყო დოგმატიკური განსაზღვრება მართლმადიდებლობის მისტიკური ცხოვრების საფუძვლისა. აი რატომ გამოხატავენ შედეგები, რომელთა გამოყვანა შეიძლება მისი მისტიკური ღვთისმეტყველებიდან, დამახასიათებელ არსს მართლმადიდებლური სულიერებისას. აქ მე შემიძლია გავაკეთო მხოლოდ რამდენიმე მოკლე შენიშვნა, მეტისმეტად ვრცელ სფეროში ჩაღრმავების გარეშე.

მთელი ეს სულიერება მიისწრაფის მომავალი ჟამის ცხოვრების სისავსისაკენ, რომელიც უნდა დაიწყოს უკვე აქ, ქმნილი ბუნების გარდაქმნით. ღმერ-

ითან შეერთებამ, სულ უფრო და უფრო სრულყოფილმა, სიკვდილისა და აღდგომის შემდეგ უნდა მიაღწიოს გაღმრთობის მდგომარეობას, რომელშიც „მარადალნი გამობრწყინდენ, ვითარცა მზე“, სახარების სიტყვის მიხედვით (მათე 13, 43), რადგან ისინი მადლით გახდებიან იმად, რასაც ღმერთი წარმოადგენს ბუნებით[53].

როგორც სიტყვის ღვთაებრივმა პიროვნებამ მიიღო ბუნება კაცისა, ასევე ადამიანურმა პიროვნებებმა, რომლებშიაც ხდება ღმერთთან შეერთება, თავიანთ თავში უნდა შეაერთონ ქმნილი და არქმნილი, გახდნენ, ასე ვთქვათ, პიროვნებები ორ ბუნებაში, იმ განსხვავებით, რომ ქრისტე ღვთაებრივი პიროვნებაა, ხოლო გაღმრთობილი ადამიანები ქმნილი პირებია და ყოველთვის ასეთებად დარჩებიან. მხოლოდ ერთმა ადამიანურმა პიროვნებამ მიაღწია ამ სისავსეს ჯერ კიდევ ამქვეყნიურ ცხოვრებაში, და ამიტომ სიკვდილმა ვერ შეძლო მისი შენარჩუნება, — ესაა დედა ღვთისა; იგია „ზღვარი ქმნილისა და არქმნილის“, პალამას გამოთქმით[54].

ქრისტეს ადამიანური ბუნების თაყვანისცემა თითქმის სრულიად უცხოა მართლმადიდებლური ღვთისმოსაობისთვის. ქრისტე ამაღლდა ცად, რათა სულიწმიდა გადმოსულიყო ეკლესიაზე. ერთ თანამედროვე ღვთისმეტყველთან ერთად შეიძლება ვთქვათ, რომ თუკი ხილული გახდა უხილავი (ამაღლებაში), ეს მოხდა იმისათვის, რათა უხილავი — შეუქმნელი მადლის ცეცხლი — ჩვენში გამხდარიყო ხილული. აღმდგარ ქრისტეს, ქრისტეს, მამისაგან მარჯვნივ მჯდომარეს, ჩვენ ყოველთვის თაყვანს ვცემთ მამასთან და სული წმიდასთან ერთად და არასოდეს გამოყოფილად ყოვლადწმიდა სამების ერთიანობიდან. თვით ჯვარზე, თვით საფლავში იგი განიდიდება როგორც „ერთი წმიდა სამებიდან“, რომელიც მოვიდა ამქვეყნად სიკვდილის დასათრგუნად.

ჩვენი გაღმრთობის საქმე სრულდება სული წმიდით, მადლის მომნიჭებლით. ნას იშვიათად ასახელებენ, მაგრამ ლიტურგიკული და სულიერი ცხოვრების ყოველ მომენტში მას ყოველთვის თითქოს გულისხმობენ. რადგან არ შეიძლება იმ საიდუმლოს გამოთქმა, რომელსაც უნდა განიცდიდნენ სიჩუმეში. სულიწმიდა უხილავი რჩება, მაგრამ იგი ავლენს ღთაებრივ მადლს, რომელიც ხილულად ცხადდება წმიდანებში. შეიძლებოდა მრავალი მაგალითის მოტანა მადლის ამ ხილული გამოვლინებებისა წმინდა მეუდაბნოეთა ცხოვრებიდან, წმ. მაკარი ეგვიპტელის,[55] წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველისა[56] და სულიერი ცხოვრების სხვა მოძღვრების თხზულებებიდან, რომელნიც მეტად თუ ნაკლებად ფართოდ არიან ცნობილნი დასავლეთში[57]. მაგრამ ჩვენ შეშოვიფარგლებით ერთი უფრო გვიანდელი მაგალითით „წმინდა სერაფიმ საროველის გულახდილი საუბრებიდან“[58], რომელიც დაგვეხმარება გავიგოთ „სინათლის ღვთისმეტყველების“ შთელი მნიშვნელობა მართლმადიდებლური ეკლესიის მისტიკურ ცხოვრებაში.

საუბრის დროს, რომელიც ხდებოდა ზამთრის დილას ტყის პირას, წმიდა სერაფიმის ერთ-ერთმა მოწაფემ, ავტორმა აქ მოტანილი ტექსტისამ, ჰკითხა თავის მოძღვარს: „მაინც არ მესმის, რატომ შეიძლება მე კიდევ მტკიცედ დარწმუნებული, რომ ვიმყოფები სული ღვთისაში და როგორ უნდა გამოვიცნო მე თვითონ ჩემში მისი ჭეშმარიტი მოელენა?“ ძ. სერაფიმმა უპასუხა: „მე უკვე ვთქვი, რომ ეს ძალზე ადვილია და დაწვრილებით მოგიყვეთ, თუ როგორ იმყოფებიან ადამიანები სული ღვთისაში და როგორ უნდა გავიგოთ მისი მოვლინება ჩვენში; კიდევ რაღა გსურთ თქვენ?“ „საჭიროა, —



ჩვეული ხედი მთავრის ციხეზე

ვოქვი მე, — რომ მე ეს კარგად გავიგო". მაშინ მან მაგრად ჩამკიდა მხრებში ხელი და მითხრა: „ეხლა ჩვენ ორივე, ძამიკო, შენთან ერთად სული ღვთისაში ვიმყოფებით: რატომ იყურებით დაბლა, რატომ არ მიყურებთ მე?" მე ეუპასუხე: „არ შემიძლია ყურება, რადგან თქვენ თვალთაგან ელვა იფრქვევა. თქვენი სახე მზეზე უფრო ნათელი გახდა და მე თვალებს მტეხს ტკივილისაგან". მან მიპასუხა: „არ შეგეშინდეთ, თქვენო ღვთისმოყვარეებავ, თქვენც ასევე გინათდით ახლა, თქვენც ხომ თავად სწორედ ასეთსავე მადლის სინათლეში იმყოფებით, თორემ ჩემზე ამის დანახვა თქვენთვის შეუძლებელი იქნებოდა". მან თავი მომადო და ყურში ჩუმად მითხრა: „შესწირეთ მადლობა უფალს თქვენდამი ენით გამოუთქმელი წყალობისათვის! თქვენ ხომ ხედავთ, რომ მე პირჯვარიც არ გამომისახავს, არამედ მხოლოდ ჩემს გულში ვილოცე ღვთის მიმართ და ვთქვი: „უფალო ღირსჰყავ იგი სხეულებრივი თვალებით დაინახოს ის გარდამოსვლა სულისა შენისა წმიდისა, რომელსაც შენ ანიჭებ მონათა შენთა, როდესაც სწყალობ მათ მოევლინო შენი დიდების ნათელში", და აი, უფალმა მყის აღასრულა მორჩილი თხოვნა ბეჩავი სერაფიმისა. როგორ არ უნდა შევსწიროთ მადლობა მას ამ გამოუთქმელი წყალობისათვის, ამ ენით გამოუთქმელი წყალობისათვის ორივე ჩვენთვის? ასე ძამიკო, თვით დიდ მეუდაბნოეთ ყოველთვის არ უელენდა უფალი თავის წყალობას, და უკვე ღვთის ამ მადლმა, როგორც შვილების მოყვარულმა დედამ, დედა ღვთისას წარდგინებით, კეთილინება თავისი მოწყალებით დაეშშვიდებინა მჭმუნვარე გული თქვენი... რატომ არ მიყურებთ თვალებში? უბრალოდ მიყურეთ და არ შეგეშინდეთ: უფალი ჩვენთანაა!" და როდესაც ამ სიტყვების შემდეგ მე მას სახეში შევხედე, კიდევ უფრო დიდმა, კრძალვით აღსავსე შიშმა შემიპყრო. წარმოიდგინეთ მზის შუაგულში, შუადღის ნათლით მოკაშკაშე სხივების ცენტრში, სახე ადამიანისა, რომელიც თქვენ გესაუბრებათ. თქვენ, მაგალითად, ხედავთ მის ბაგეთა მოძრაობას, ცვლილებას თვით სახის გამომეტყველებაში, გრძნობთ, რომ თქვენ მხრებში ვიღაცას ხელი აქვს ჩაკიდებული, მაგრამ არ ხედავთ არა მარტო მის ხელებს, არამედ არც საკუთარ თავს და არც თვითონ მას, არამედ ხედავთ თვალისმომჭრელ, გავრცელებულს რამდენსამე საჟენზე ირგვლივ სინათლეს, გესმით ხორხოშელა თოვლისა, რომელიც გეცემათ თქვენ, გრძნობთ, რომ იგი სულ ცოტა გოჯის ოდენა მაინც დაგედოთ..."

დაუჯერებელი იქნებოდა იმის ვარაუდი, რომ წმინდა სერაფიმ საროველი იყო დიდი მცოდნე წმ. გრიგოლ პალამას საღვთისმეტყველო მოძღვრებისა შეუქმნელი სინათლის ბუნების შესახებ, — მოძღვრებისა, რომელიც მოკლედ არის გადმოცემული ამ სტატიაში. მაგრამ აი, „პალამიტური კრებებიდან" ხუთასი წლის შემდეგ, პირობებში, რომელნიც სავსებით განსხვავდებოდნენ ბიზანტიის იმპერიაში არსებული პირობებისაგან, XIX საუკუნის დასაწყისის რუსული პროვინციის მივარდნილ მხარეს ჩვენ ვხედებით იმასვე, სულიერი გამოცდილებიდან შობილს, „სინათლის ღვთისმეტყველებას", რომელიც მტკიცდება ბოელი გარკვეულობით, როგორც საფუძველი და კრიტერიუმი იდუმალი მისტიკური სულიერი ცხოვრებისა, მადლის შემეცნებისა, რომელიც არის თვით ღმერთი, რომელიც ჩვენ თავის თავს გვიცხადებს.

სინათლის ღვთისმეტყველება არაა მეტაფორა და არც ლიტერატურული სახე, რომელიც ბრწყინვალე სამოსში რთავს რაღაც აბსტრაქტულ ჭეშმარიტებას.

იგი არც მოძღვრებაა ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, სადაც „მოძღვრება“ ნიშნავს ინტელექტუალურ სისტემას, რომელიც ცდისეულ რეალობას ცვლის აბსტრაქტული ცნებებით. მისი ნეგატიური, „აპოფატიკური“ ხასიათი გამოიხატება იმ ანტინომიური დაპირისპირებებით, რომელთა გამოვლენასაც ჩვენ შევეცადეთ; ესაა მამათა ღვთისმეტყველური მეთოდის გაგრძელება, რომელთაც დაამტკიცეს ქრისტიანობის ძირითადი დოგმატები, დააყენეს რა ჩვენი გონება ანტინომიათა წინაშე: სამერთიანობის ანტინომიისა — ტრინიტარულ დოგმატში და ორერთიანობის დოგმატისა — ქრისტოლოგიურ დოგმატში. მართლაც, მსგავსად იმისა, როგორც ნიკეისა და ქალკიდონის დოგმატები გვაყენებენ ჩვენ გამოუთქმელი განსხვავების წინაშე ბუნებასა და პირს შორის, რათა დაიცვან იდუმალი რეალობა სამებისა და ქრისტესი, ჭეშმარიტი ღმერთისა და ჭეშმარიტი ადამიანისა, — დოგმატს რეალური განსხვავებისას არსსა და ენერგიათა შორის, რომელიც წამოიჭრება ჩვენი გონების წინაშე შეუცნობადი და შემეცნებადი ღმერთის, ვერსაუწყებლისა და საუწყებელი ღმერთის ტრანსცენდენტურისა და იმანენტურის ანტინომიით, არ გააჩნია სხვა მიზანი, თუ არ ის, რომ დაიცვას რეალობა ღვთაებრივი მადლისა, კარი გაუღოს მისტიკურ ცდას, ურომლისოდაც არ არსებობს სულიერი ცხოვრება ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით. და ეს იმიტომ, რომ სულიერი ცხოვრება მოითხოვს, რათა მორწმუნენი არა მხოლოდ აღიარებდნენ ქრისტიანულ დოგმატებს, არამედ მათით ცხოვრობდნენ კიდეც. ვლებულობთ რა აზროვნების ამ წესს, ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის მკაცრი სიტყვებიც, რომელიც უარს ამბობს ქრისტიანები უწოდოს მათ, ვინც უკვე ამ ცხოვრებაში არ მოიპოვა ღვთაებრივი სინათლის გამოცდილება.

სინათლის ღვთისმეტყველება მართლმადიდებლური სულიერების განუყრელი ნაწილია. ერთი მეორის გარეშე წარმოუდგენელია. შესაძლებელია არაფერი არ ვიცოდეთ გრიგოლ პალამას შესახებ, მისი როლის შესახებ აღმოსავლეთის ეკლესიის სარწმუნოებრივი მოძღვრების ისტორიაში, მაგრამ არ შეიძლება აღმოსავლური სულიერების ხასიათის გაგება იმ ღვთისმეტყველური საფუძვლისაგან მოწყვეტით, რომელმაც პოვა თავისი საბოლოო გამოხატულება თესალონიკიის დიდ არქიეპისკოპოსთან — „მადლის მქადაგებელთან“[59]. ამ ღვთისმეტყველებით განმსჭვალულია ყველა ლიტურგიკული ტექსტი. შესაძლოა, ეს მხოლოდ მეტაფორებია, დახვეწილი ბიზანტიური რიტორიკა? თუ ის, რაშიც ჩვეულებრივ ხედავენ მაღალფარდოვან ფორმას გაყინული რელიგიურობისას, რომელიც ნოკლებულია ნამდვილ გონებაჭვრეტით შინაარსს, უნდა აღვიქვათ როგორც რადაც ცოცხალი და კონკრეტული, როგორც რეალური რელიგიური ცდა? ჩვენთვის ნათელია, რომ სინათლის ამ ღვთისმეტყველების გარეშე, რომლის ძირითად მონახაზებს ჩვენ ეს-ეს არის ოდალი გავადევნეთ, მთელი სულიერი განძი ქრისტიანული აღმოსავლეთისა გარეშე დამკვირვებელს წარმოუდგება უსიცოცხლოდ, იმ შინაგან სითბოს მოკლებულად, რომელიც წარმოადგენს სწორედ მართლმადიდებლური ღვთისმოსაობის განსაკუთრებულ მოხაპოვარს.

დასავლეთში დიდი ხნის მანძილზე არ აფასებდნენ ბიზანტიის რელიგიურ ხელოვნებას, მხატვრულ ღირსებებს რუსული ხატებისას. დიდი დრო დასჭირდა იმასაც, რომ დაეფასებინათ დასავლური „პრიმიტივებიც“, რომლებიც წარმო-

იშვნენ იმავე გადმოცემით. შესაძლოა ასეთივე ბედი ელირსოს აღმოსავლური ქრისტიანობის სულიერ-სარწმუნოებრივი მოძღვრების ტრადიციას? რასაკვირველია, საჭირო არაა ვამტკიცოთ აღმოსავლეთის საღვთისმეტყველო ტრადიციის ღრმა შესწავლის აუცილებლობა: იგი ნათელია ყველასათვის. მაგრამ ეს შესწავლა რომ ემსახუროს ურთიერთდაახლოებისა და გაგების საქმეს, უნდა შევთანხმდეთ დავინახოთ და განვსაჯოთ ეს ტრადიცია არა მისთვის უცხო სკოლური ღვთისმეტყველების გაყინული ცნებებით, არამედ სხვაგვარად და მაშინ შესაძლოა სარწმუნოებრივი მოძღვრების ის თავისებურებანი, რომლებიც წარსულში შებრკოლების ლოდს წარმოადგენდნენ, იქცნენ მაცოცხლებელ წყაროდ სულიერი განახლებისა მომავალში[6].

კომენტარები

1. პეტავიუსი, თხზულება საღვთისმეტყველო დოგმატების შესახებ; ტ. 1, წგნ. 1, თბ. 12 და 13; ტ. 3, თ. 5 (გამოცემა თომას, 1864, გვ. 145-160; 273-276).

2. მ. ჟიუჟი, სტატიები „პალამა" და „პალამიტობა" „Dictionnaire de théologie catholique" de Vacant et Mangenot. ტ. 2, სვეტი 1735-1776 და 1777-1816. იმავე ავტორის: „პალამიტური ღვთისმეტყველების შესახებ" მის „აღმოსავლეთის ქრისტიანთა დოგმატიკური ღვთისმეტყველება"-ში. ტ. 2 (1933), გვ. 47-183 (შრომა, წმიდა დოქტრინალური თავისი ხასიათით), და აგრეთვე რამდენიმე სტატია „Echos d'Orient"-ში. მ. ჟიუჟი ასე აფასებს წმ. გრიგოლ თესალონიკელის ღვთისმეტყველებას: „და მაინც, ღვთის მიშვებით, ეს მოძღვრება, რომელშიც შეგვიძლია დავინახოთ სასჯელი, ძალად იყო თავს მოხვეული, როგორც ოფიციალური დოგმატი" (სტატია „პალამა", სვეტი 1817). ს. გიშარდანი, ღვთაებრივი სიმარტივის პრობლემა აღმოსავლეთში და დასავლეთში XIV და XV საუკუნეებში: გრიგოლ პალამა, დუნს სკოტი, გიორგი სქოლასტიკოსი. ლიონი 1933. ამ შრომამ, რომელიც ძალზე გამარტივებულად განმარტავს მოძღვრებას, საგსებით უცხოს თვით კრიტიკოსის აზროვნების წყობისათვის, სამართლიანი საყვედური დაიმსახურა ვ. ვრუმელის რეცენზიაში („Echos d'Orient" 38, 1935, გვ. 94-96).

3. ძირითად ბიოგრაფიულ წყაროს წარმოადგენს ორი „ცხოვრება" წმ. გრიგოლ პალამისი, დაწერილი ორი კონსტანტინოპოლელი პატრიარქის მიერ — წმ. ფილოთეოსისა (+1376) და ნილისა (+1367); ორივენი იყვნენ პალამას მოწაფენი (P. G., ტ. 151. სვეტი 551-656, 656-678). იმ გამოკვლევათა შორის, რომლებიც ეძღვნება პალამას ცხოვრებასა და მოღვაწეობას, იხ. ძირითადად გ. პაპამიხაილის შრომა „წმ. გრიგოლ პალამა" (ბერძნ. ენაზე). ალექსანდრია, 1911. ბიოგრაფიული ცნობა მოიპოვება უკვე აღნიშნულ სტატიაშიც მ. ჟიუჟისა, და აგრეთვე ფ. მაიერის სტატიაში „პალამა" „Realencyklopädie für protestantische Theologie" ტ. 14, გვ. 599-601. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ცნობები შეიძლება ვპოვოთ Histoire de l'Empire Byzantin A. A. Vasiliev (პარიზი, 1932), ტ. 2, თავი 9; ეს შრომა იძლევა XIV და XV საუკუნის ბიზანტიის პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური ცხოვრების ზოგად სურათს; გვ. 362-369 ეძღვნება წმ. გრიგოლ პალამას და ეგრეთწოდებულ „პალამიტურ" კრებებს.

[ძირითად შრომას წმ. გრიგოლ პალამას შესახებ ამჟამად წარმოადგენს წიგნი მ. იოანე მეიენდორფისა „შესავალი გრიგოლ პალამას შესწავლაში". პარიზი, 1959.]

4. სტატია მ. ირინეოსისა (ჰაუსჰერი) „ისიხაზმის ლოცვის მეთოდი" („Orientalia christiana", IX, 1927, გვ. 101-210). მიუხედავად ავტორის უდავო ერუდიციისა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამოდგეს ისიხაზმის შესწავლის სახელმძღვანელოდ: ავტორის პოლემიკური მიზანი მძაფრი პამფლეტის ხასიათს ანიჭებს შრომას, რომელიც ისტორიული გამოკვლევა უნდა იყოს. სამწუხაროდ, იგივეს თქმა გვიხდება მ. ჟიუჟის სტატიაზე „ისიხასტთა ლოცვის მეთოდის წარმოშობა" („Echos d'Orient". 30, 1931). ამ სტატიათა საპირისპიროდ შეიძლება მივუთითოთ მოკლე გამოკვლევაზე (რუს ენაზე) «Г. Острогорский. «Исихасты Горы Афонской и их противники» в Анна-

лах Русского научного института в Белграде», У, 1931 (стр. 349—370).

5. წმ. გრიგოლ თესალონიკელისადმი მიმართული ეს საყვედური, რომელიც მას ბრალს დებს მესალიანობაში, მიმართულია მისი მოძღვრების — ღვთაებრივი სინათლის სხეულებრივი თვალებით დანახვის შესაძლებლობის წინააღმდეგ; მაგრამ მესალიანელები ამტკიცებდნენ, რომ ლოცვის გზით შეიძლებოდა ღვთაებრივი არსის რაღაც მატერიალური ხედვის მიღწევა. წმ. იოანე დამასკელი „თავებში“ მესალიანელთა წინააღმდეგ აღნიშნავს (თავი მე-17), რომ ისინი შესაძლებლად თვლიდნენ სულიწმიდას იპოსტასის ხედვას მთელი მისი დამახასიათებელი თვისებებით („წიგნი ერესთა შესახებ“, P. G., ტ. 94, სვეტი 732 B). წმ. ტიმოთე ასევე საყვედურობს მესალიანელებს მათი იმ მტკიცების გამო, რომ შესაძლებელია სხეულებრივი თვალებით ყოველადწმიდა სამების თვით მის არსში ხილვა („ერეტიკოსთა შეწყნარების შესახებ“, P. G., ტ. 86, სვეტი 48-49). წმ. გრიგოლ პალამა თავის „თეოფანიაში“ აღნიშნავს, რომ აზრი, თითქოს წმინდანებს ძალუძთ თვით ღვთის არსის თანაზიარობა — მესალიანელებისათვისაა დამახასიათებელი (P. G., ტ. 150, სვეტი 933-936 A); მესალიანობასვე მიაკუთვნებს იგი მოძღვრებას თვითონ ღვთაებრივი არსის ხილვის შესაძლებლობის შესახებ (P. G., ტ. 151, სვეტი 448 C). ბიზანტიელი ავტორები ხშირად მესალიანელებს უწოდებდნენ აგრეთვე ბოგომილებს, რომლებიც არსებითად იზიარებდნენ იმავე შეცდომებს. ცნობილია, რომ ცოტა ხნით ადრე ვარლაამისტური პაექრობების დაწყებამდე პალამას მოუხდა მართლმადიდებლობის დაცვა ამ ერეტიკოსთაგან, რომლებიც შეეცადნენ თავიანთი მოძღვრების გავრცელებას თვით ათონის მთის ბერთა შორის.

ზოგიერთი კრიტიკოსი (ჟ. ბუა. „ისიხასტები მე-14 საუკუნემდე“; „Echos d'Orient“-ში 5, 1901, გვ. I-II); ნაწილობრივ იმეორებს რა ვარლაამის თეზისებს, ცდილობს დაინახოს ათონის მისტიკაში ზოგიერთი ზეგავლენა მესალიანელებისა ან ბოგომილებისა. ეს აზრი, რომელიც პალამას ხდის მესალიანელების მოძღვრებათა დამცველად, ისევე არასამართლიანია, როგორც, მაგალითად, ჩვენ რომ საუბარი დაგვეწყო ავეროიზმის დაქტრინალური ზეგავლენის შესახებ წმ. თომა აკვინელზე.

მესალიანიზმის შესახებ იხ. სტატიები „ევხიტები“, G. Bareille და „მესალიანელები“. A. Amann, „Dict. de theol. cath.“-ში, ტ. 5, სვეტი 1434-65 და ტ. 10, სვეტი 792-95, და აგრეთვე G. L.-Marriot. „მესალიანელები“ და მათი „ასკეტიკის აღმოჩენა“, „Harald theological review“. ტ. 19 (1926), გვ. 131-138.

6. Mansi. კრებათა საქმე, ტ. 25, სვეტი 1147-1150.

7. იხ. XVI საუკუნის კრებათა საქმე, მანსისთან, ტ. 25, სვეტი 1147 და შემდეგ, ტ. 26 — passim. ამჟამად წმ. გრიგოლ პალამას თხზულებათა კრებული მოცემულია მხოლოდ მინთან (P. G., ტ. 150 და 151); იგი არასრული და სერიოზული დეფექტების მქონეა. მნიშვნელოვანი ნაწილი პალამას ქმნილებებისა გამოუცემელი რჩება. იხ. მისი შრომათა სია პაპამიხაილთან, ციტირებული ნაშრომი (ბერძნ. ენაზე), კ. კრუმბახერი, „ბიზანტიის ლიტერატურის ისტორია“ (გამოც. 2, მიუნხენი, 1897, გვ. 104-105; 485-486) და მ. ჟიუჟის ზემოხსენებულ სტატიაში „Dict. de théol. cathol.“; ტ. II, სვეტი 1742-1750. პალამას მოძღვრების კარგი გადმოცემაა სტატიაში (რუს. ენაზე, ფრანგული რეზიუმეთი) монах Василий Кривошеин, «Аскетическое и богословское учение св. Григория Паламы» в «Seminarium kondakovianum», УШ, Прага, 1936, стр. 99—154;

გერ. თარგმანი მამა ჰუგოლინ ლანდფოგტისა, „Das östliche Christentum“, გამ. 8 (1939).

8. ჩვენ ვიყენებთ ტერმინ „მისტიკურ ღვთისმეტყველებას“ იმავე გაგებით, როგორც იგი გამოიყენა მ. ჟილსონმა, რომელმაც თავის ნარკვევს წმ. ბერნარდზე წარუმძღვარა სათაური „წმ. ბერნარდის მისტიკური ღვთისმეტყველება“: „თემა მკაცრად არის შემოფარგლული თვითონ შრომის სახელწოდებით. აქ საუბარი არაა წმ. ბერნარდის არც ცხოვრებაზე, არც მის ღვთისმეტყველებაზე საერთოდ, და არც მისტიკურ ცდაზე მთლიანობაში, არამედ მხოლოდ მისი ღვთისმეტყველების იმ ნაწილზე, რითაც დასაბუთებულია მისი მისტიკა“ (წინასიტყვაობა, გვ. 9).

9. მე, რასაკვირველია, აქ არ ვლაპარაკობ საღვთისმეტყველო სახელმძღვანელოებისა და სხვა წიგნების შესახებ, რომელნიც შეიცავენ მხოლოდ „დაპირისპირებულ“, ბერგსონის გამოთქმით, ცნობებს.

10. P. G., ტ. 120, სვეტი 289, ლევ ალიაციის შენიშვნა. ნიკიტა სტიფატი. „ცხოვრება სიმეონ ახალი ღვთისმეტყველისა“ (გამოც. მ. ირ. ჰაუსჰერისა „Orient Christ.“, XII, № 5, რომი, 1928).

11. „ტომოს ჰაგიორიტიკოსი“ დაიწერა 1339-1340 წლებში პალამას მოწაფისა და მეგობრის ფილოთეოს კოკინოსის მიერ (კონსტანტინოპოლის მომავალი პატრიარქი). ესაა

საღვთისმეტყველო შრომა, რომელიც ეძღვნება ფერისცვალების ნათელს. „ტომოს ჰაგიორიტიკოსი“, რომელსაც ათონის მთის მრავალმა წინამძღვარმა და ბერმა მოაწერა ხელი, გახდა გრიგოლ პალამას საყრდენი შემდგომ პაექრობებში.

12. P. G., ტ. 150, სვეტი 1225-1227. ქიუეი და გიშარდანი ამ ტექსტში ხედავენ თვითონ სინათლის მოძღვრების დამცველთა მიერ ამ მოძღვრების „სიახლის“ აღიარებას. მაგრამ ეს ძალზე ნათელი ტექსტი, რომელიც ადგენს განსხვავებას ეკლესიის შვილთათვის აშკარა ცოდნასა და საიდუმლოებათა შორის, რომელნიც მთლიანად შეცნობილნი იქნებიან მხოლოდ მომავალი საუკუნის სიცოცხლეში, არ იძლევა არავითარ საფუძველს იმ განმარტებისათვის, რომელიც მიაწერს პალამას და ათონის ბერებს ისტორიის იოახიმისტურ ფილოსოფიას.

13. „ფიზიკური, საღვთისმეტყველო, მორალური და პრაქტიკული თავები“, 150, თავი 121. P. G., ტ. 150, სვეტი 1205.

14. „ღვთის განცხადებები, ანუ ღვთაებისა და ღვთაებრივ საგანთა უწყებისა და ვერსაუწყებლობის შესახებ“, P. G., ტ. 150, სვეტი 917 A.

15. იქვე, სვეტი 917 B.

16. იხ., მაგალითად, ზემომოყვანილი ტექსტი ანტინომიაზე ერთიანობასა და სამობას შორის და საბელიუსის ცალმხრივი დოქტრინა, რომელიც არ ცნობს განსხვავებებს, რომელთა პოსტულირებასაც ახდენს სამების შესახებ მოძღვრების ანტინომია. P. G., ტ. 150, სვეტი 917 B-D.

17. „ამფილოხისაკენ“. P. G., ტ. 32, სვეტი 869 AB.

18. „მართლმადიდებლური რწმენის შესახებ“. P. G., ტ. 4, სვეტი 800 BC.

19. თუ გრიგოლ პალამა, არსისა და ენერგიათა შესახებ მსჯელობისას ზოგჯერ მიმართავს მიზეზობრიობის კატეგორიებს (1351 წლის კრება — P. G., ტ. 151, სვეტი 738 AB), არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენს წინაშეა ღვთისმეტყველება წმ. დიონისე არეოპაგელის ტრადიციისა, სადაც „მიზეზობრიობა“ ნიშნავს „გამოვლენას“. იხ. შენიშვნები ამასთან დაკავშირებით ჩვენს სტატიებში: „ანალოგიის“ ცნება დიონისე ფსევდო-არეოპაგიტელთან“, „Archives d'histoire doctrinale et litteraire du moyen âge“-ში, V (1930), გვ. 265, „ტარყოფათა ღვთისმეტყველება დიონისე არეოპაგელის მოძღვრებაში“, „Revue des sciences philosophiques et theologiques“, XXVIII (ნაწილი, 1939), გვ. 217. რამდენიმე ძალზე დამახასიათებელი ტექსტი ამ საკითხთან დაკავშირებით აქვს წმ. მაქსიმე აღმსარებელს: P. G., ტ. 4, სვეტი 137, 380, 404-405.

20. Capita physica, etc. (92-94) P. G., ტ. 150, სვეტი 1185 D, 1188 CD.

21. Theophanes. P. G. ტ. 150, სვეტი 949 AB.

22. De fide orthodoxa, წიგნ. I, თავი 14, P. G., ტ. 94, სვეტი 860 B.

23. Capita physica, etc. P. G., ტ. 150, სვეტი 1184 A; 1192 B (103).

24. იქვე, სვეტი 1172 C: „ამგვარად, ღმერთი ერთია ოდითგანვე, მოქმედი და ყოვლადძლიერი, ისევე, როგორც მარადიული ძალებისა და ენერგიათა მქონე“.

25. მეორე წერილი აკინდინთან, გამოუცემელი, ხელნაწერი ინახება ფონდებში Coislin 99 და აღწერილია მონფოკონის მიერ. იხ. ციტატა ქიუეისთან, სტატია „პალამა“ „Dict. de theol. Cath.“-ში, II, სვეტი 1755.

26. „ღვთაებრივ სახელთა შესახებ“ IX, I. P. G., ტ. 3, სვეტი 909 B.

27. თუკი ჩვენ შევძლებდით გავმხდარიყავით თვით არსის თანაზიარნი, ღმერთი იქნებოდა არა სამპიროვნული, არამედ მრავალ პირისაგან შემდგარი (იხ. „თეოფანეს“. P. G., ტ. 150, სვეტი 941 A, 944 AC).

28. 1351 წლის კრება. P. G., ტ. 151, სვეტი 765 B; მანსი, Coll. concil. ტ. 26, სვეტი 138.

29. იქვე. იხ. ასევე თეოფანეს, სვეტი 941 CD.

30. „აკინდინის წინააღმდეგ“. P. G., ტ. 150, სვეტი 823.

31. „წმ. გრიგოლ პალამას სიტყვები“ (22), გამოც. სოფოკლისისა (ათენი, 1861); სიტყვა 171 (ციტირებულია მ. ვასილი კრივოშეინის მიერ, ციტ. თხზ., გვ. 114-115).

32. P. G., ტ. 150, სვეტი 1833 D.

33. თავი 69 და 93, P. G., ტ. 150, სვეტი 1169 და 1188.

34. თავი 69, იქვე, იხ. ასეთივე ფორმულირებანი წმ. მარკოზ ეფესელთან, „სილლოგისტური თავები“. ასევე „მისტიკა ნიკოლოზ კაბასილასი“, დამატება 2.

35. „ტომოს ჰაგიორიტიკოს“, P. G., ტ. 150, სვეტი 1229 D.

36. საინტერესოა აღინიშნოს, რომ „მისტიკური ღამე“ უცხოა მართლმადიდებლური ეკლესიის აღმოსავლეთისათვის. ბერ-ბერ ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა, მუდამ ფხიზლად დაცვა სინათლისა, რომელიც ბნელში ანათებს. „ასედია“ —ს ევდა, ნაღველი, რომელიც სასოწარკვეთილებაში გადადის, — ყველაზე დიდი ცოდვაა (მარადიული სიკვდილის დასაწყისია).

37. სიტყვა ფერისცვალებაზე. P. G., ტ. 151, სვეტი 448 B.

38. შ. დილი, „ბიზანტია, მისი დიდება და დაცემა“, პარიზი 1920, გვ. 1905.

39. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. სიტყვა ღვთის განცხადებაზე. P. G., ტ. 36, სვეტი 365 A; წმ. კირილე ალექსანდრიელი, განმარტება ლუკას სახარებისა. P. G., ტ. 72, სვეტი 752 D—756 A; წმ. მაქსიმე აღმსარებელი, Capita theol. et oeconom., centuria II a, 13. P. G., ტ. 90, სვეტი 1129-1132 A; წმ. ანდრია კრიტელი, ქადაგება ფერისცვალებაზე. P. G., ტ. 97, სვეტი 932-957 passim; წმ. იოანე დამასკელი, სიტყვა ფერისცვალებაზე. P. G., ტ. 96, სვეტი 545-576 passim; აკროსტიქი ფერისცვალებაზე, იქვე, სვეტი 848; ექვთიმე ზიგაბენი, მათეს სახარების განმარტება, თავი 17. P. G., ტ. 79. სვეტი 477 B. შეიძლებოდა კიდევ მრავალი ადგილის მოყვანა ბერძენ მამათა ქმნილებებიდან ფერისცვალების ნათელის ღვთაებრივი ბუნების შესახებ. გარკვეული კვალი ამავე ტრადიციისა შეიძლება დასავლეთშიც შეინიშნოს. ასე, მაგალითად, წმ. ლეო დიდი (სიტყვა 51. P. G., ტ. 54, სვეტი 310 B) ლაპარაკობს ღვთის სასუფეველის დიდებაზე, რომელიც ქრისტემ ხილვადად მოუვლინა მოციქულებს თავის გარდაქმნილ სხეულში. მართალია, იგი ასხვავებს ღვთის დიდების ხილვას, რომელიც მიეწიჭა ქრისტეს ადამიანურ ბუნებას, „თვით ღვთაების გამოუთქმელი და მიუდგომელი ხილვისაგან“ მარადიულ სიცოცხლეში. მაგრამ ფსევდო-ავგუსტინე — „წმ. წერილის სასწაულების შესახებ“, (წგნ. 3, თ. 10. P. L., ტ. 35, სვეტი 2197) (უცნობი ირლანდიელი ავტორი, როგორც ჩანს, VII საუკუნის ბოლო ხანისა) ამ განსხვავებას არ აკეთებს: „მაგრამ ბრწყინავდა არა თვით სხეული, არამედ სხეულში დაფარული ღვთაება, — ბრწყინავდა ნათელით, რომელიც ნაწილობრივ ხელმისაწვდომი გახდა იმათი ხილვადობისათვის, ვინც თავის უნართა შესაბამისად, მას გარედან ეკრეტდა. და როგორც ღვთაება ბრწყინავდა სხეულის გამჭოლ, ასევე სხეულიც ღვთაებით გაბრწყინვებული ტანსაცმელთა გამჭოლ ბრწყინავდა“.

40. „ტომოს პაგიორიტიკოსი“. P. G., ტ. 150, სვეტი 1232 C.

41. P. G., ტ. 151, სვეტი 433 B.

42. სიტყვა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანებაზე, გამოც. სოფოკლისისა, 176-177; მამა ე. კრიგოშეინი, ციტ. თხზ., გვ. 138.

43. ფ. კომბეფისი (წინასიტყვაობა — „არსისა და ქმედების შესახებ“ — მანუილ კალეკასი. P. G., ტ. 152, სვეტი 260 B) აღიარებს, რომ მან დაარწმუნა გენშენიესი და პაპებროხი არ ჩაერთოთ წმიდანთა ცხოვრებაში, რომელიც შეადგინეს ბოლანდისტებმა, ცხოვრების აღწერილობა წმ. სვიმეონისა, რადგანაც იგი იყო ყველა პალამიტური ცდომილების საწყისი. მამა პაუსპერი არ იწონებს ამ უკიდურეს თვალსაზრისს, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ კომბეფისის თვალსაზრისი საკმაოდ ლოგიკური იყო: პალამას მოძღვრების უარყოფის შემდეგ შეუძლებელია წმ. სვიმეონის მოძღვრების არდაგმობა.

44. P. G., ტ. 96. სვეტი 560 CD. 565 A, 569 A და ასე შემდეგ.

45. P. G., ტ. 97. სვეტი 941 C.

46. P. G., ტ. 36, სვეტი 365 A: „ნათელი ღვთაებისა, განცხადებული მოწაფეთათვის მთაზე და თვალთათვის თითქმის ხილვადი“.

47. სტატია „პალამა“, სვეტი 1760.

48. „დეკარტმა შემოსა შუა საუკუნეების ღმერთი მათემატიკოსის სამოსელში“. მ. ჟილსონის კურსი კოლეჟ დე ფრანსში 1940-1941 წწ.

49. სულისა და სხეულის დიალოგები. P. G., ტ. 150, სვეტი 1361 C. მ. ჟიუჟის ეპვი ეპარება ამ ტექსტის ნამდვილობაში (იხ. მისი სტატია „პალამა“, სვეტი 1749), მაგრამ, როგორც ჩანს, საკმარო საფუძვლის გარეშე.

50. Capita physica, etc. 38 და 39. P. G., ტ. 150, სვეტი 1145-1148.

51. „ტომოს პაგიორიტიკოსი“. P. G., ტ. 150, სვეტი 1233 BD.

52. იქვე, სვეტი 1233 C.

53. იხ. კლასიკური ტექსტი გაღმრთობის შესახებ წმ. მაქსიმე აღმსარებელთან, Ambigua, 222 (P. G., ტ. 91, სვეტი 1038).

54. სიტყვა მიძინებაზე. P. G., ტ. 151, სვეტი 472 B.

55. კამათი ამ ქმნილებათა ნამდვილობის შესახებ და თვით ის, რომ მათ მიაწერენ წრეებს, რომელთაგანაც შემდგომ იშვა მესალიანობა, სულაც არ ამცირებს წმ. მაკარიოსის „საუბრების“ დიდ ფასეულობას. მნიშვნელობა, რომელიც განეკუთვნება მათ ქრისტიანული სულიერების ტრადიციაში, უდავოა. იხ. მამა ლ. ვილეკური „თარგი და წარმოშობა „სულიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბრებისა", რომელთაც მიაწერენ მაკარიუსს"-ის. ასევე "შენიშვნა მამა სტიგლმაირისა. „ფსევდო-მაკარიოსი და ადრეული მესალიანელთა მისტიკა", ტ. 49 (1925), გვ. 244-260. და ემთავრებოდ ჩინებული ეარყოფა მამა ვილეკურის ბიბლიოგრაფიისა ვ. ევგერის მიერ — „ორი ხელახლა აღმოჩენილი ძველი ძველქრისტიანული ლიტერატურისა: გრიგოლ ნოსელი და მაკარიოსი". (ლეიდენი, 1954).

56. იხ. მაგალითი „ღვთის განცხადების სინათლისა" ნიკეტა სტეფატის „წმ. სიმეონის ცხოვრებაში", გამოც. მამა ჰაუსჰერისა, გვ. 92-96.

57. დასავლეთის ჰაგიოგრაფია იძლევა ტიპურ მაგალითს „ღვთის განცხადების სინათლისას" წმ. ბენედიქტეს ექსტაზის აღწერაში, იხ. წმ. გრიგოლ დიდთან. დიალოგები. წიგნი II, თავი 35 (P. L., ტ. 66, სვეტი 198 და 200).

58. XIX საუკუნის დასაწყისის რუსული სულიერი ცხოვრების ზოგიერთი ამონაწერი ამ ძეგლიდან დაბეჭდილი იყო ფრანგულ ენაზე: „წმინდა სერაფიმის საუბარი სულიწმიდაზე" (გამოც. Le Semeur. მარტი-აპრილი 1927); „საუბარი წმიდა სერაფიმისა მოტოვილოვთან" (ამონაწერები).

59. დიდმარხვის მეორე კვირის ტროპარი, მიძღვნილი წმ. გრიგოლ პალამას ხსოვნისადმი.

60. „აღმოსავლეთის დიდ კათოლიკურ ტრადიციასთან განახლებული კონტაქტისაგან ჩვენ შეგვიძლია მოველოდეთ გაახალგაზრდავებასა და ახალ ნაყოფებს ღვთისმეტყველების შესწავლაში" (მამა კონგარი. „გაღმრთობა აღმოსავლეთის სულიერ ტრადიციაში". „Lavie spirituelle", № 188, 1 მაისი, 1935, გვ. 107).

შეადგინა, თარგმნა და შენიშვნები დაურთო

ვიქტორ რეხილაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფეთა ტრადიციას

ქართველებს რელიგიური ტოლერანტობა ისტორიულად არის ცნობილი. ეს შარტო არაქართველი მოსახლეობის მრავალრიცხოვნობით როდის გამოწვეული. ქართველებს ზუნება, მათი არსებობის წესი იმთავითვე გამორიცხავდა რელიგიურ დევნას. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ჩვენში ჩამოსახლებული უცხოტომელები ყველაზე მშვიდობიან საქმიანობას — ვაჭრობას, ხელოსნობასა და მიწათმოქმედებას მისდევდნენ. ქართველთა მაღალმა საშეურნეო კულტურამ თვით შომთავარე ტომებიც კი შეურნეობის ზემოაღნიშნულ დარგებში ჩაბა.

საყოველთაოდ არის ცნობილი იმიც, რომ ამგვარ რელიგიურ მშვიდობას სახელმწიფო პოლიტიკის სტატუსი ეძლეოდა, რის გარანტიასაც წარმოადგენდა ქართველ მეფეთა ურთიერთობა უცხო რელიგიებთან. ამის ნათელი მაგალითია დიდი დავით აღმაშენებლის დამოკიდებულება სინაგოგასთან და მეჩეთთან.

დღეს, როდესაც ჩვენ ქართველი ახალ ცხოვრებას უყრის საფუძველს, როდესაც ჩვენი ქვეყანა შეშმარიტი თავისუფლებისათვის ეშმაკდება, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საუკეთესო ქართული ტრადიციების აღდგენას. ჩვენ უნდა ავადორძინოთ ის დამოკიდებულება არაქრისტიანული რწმენის მოსახლეობასთან, რომელიც საქართველოს ახასიათებდა და რომელიც მისი კულტურული ღირებულებების საგანძურშია აღბეჭდილი.

განსაკუთრებით საინტერესოა იმ რელიგიურ აღმსარებლობათა აწინდელი მდგომარეობა, რომლებიც გამორჩეული სიცხადით ადასტურებენ ქართულ სარწმუნოებრივ შემწყნარებლობას. ესენია იუდაიზმი და ისლამი. იუდაიზმის მიმდევრები, ებრაელები, ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნიდან (უფრო ადრეც) ცხოვრობდნენ საქართველოში. ხნორედ მათთან არის დაკავშირებული უფლის კვართის ჩამოტანა ჩვენთან, პირველი ქრისტიანული თემის წევრთა ნაწილიც ხომ ებრაელები იყვნენ. ჩვენს ქვეყანაში ანტისემიტურ განწყობილებას ადგილი არ ჰქონია.

ისლამი ცეცხლითა და ხმალით შემოდიოდა ჩვენს ქვეყანაში. დამპყრობლები მიიჩნევდნენ (და ეშმარიტადაც), რომ ქრისტიანობა ქართველობის სინონიმად იყო ცნობილი და ეროვნულობისა ხშირად ცდილობდნენ ისლამის დამკვიდრებას და მაინც, ქართველობას ბისსლზე ხიხსლიო

აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი რაბინები: რაბი დავით ბაბოვი, რაბი კუკჩანი, რაბი იეხეს-ქიელი, რაბი �მანუელი, რაბი იაკობ, რაბი ბინიამინი, რაბი შვირი, რაბი ისრაელი, რაბი სვოლეხი...

კორესპ.: თბილისის გარდა, რომელი სინაგოგები მოქმედებს კიდევ საქართველოში?

ბ. აბრამიშვილი: სადაც არის ებრაული მოსახლეობა, ყველგან — ქუთაისში, ონში, კულაშში, გორში, სოხუმში, ბანძაში. მორწმუნეები ქართველების დახმარებით უველიან, ეფერებიან სინაგოგას. (სწორედ ასე ბრძანა — ეფერებიან, შ. ხ.). რამდენიმე კაციც რომ იყოს დარჩენილი ებრაელთაგან, ღვთისმსახურება სრულდება.

კორესპ.: იუდაიზმის რომელ სახეობას ხისდევს ქართველი ებრაელობა?

ბ. აბრამიშვილი: ცნობილია, რომ არსებობს ებრაელთა ორი ძირითადი შტო — აშკენაზები და სეფარდები. აშკენაზები არიან შუა საუკუნეების გერმანიაში მცხოვრები ებრაელების ნაშიერები, ისინი შეადგენენ ევროპისა და ამერიკის ებრაული მოსახლეობის თითქმის ნახევარს, ლაპარაკობენ იდიშზე. სეფარდები, პირენეის ნახევარკუნძულიდან გამოსული ებრაელების შთამომავლები ცხოვრობენ ჩრდილოეთ აფრიკაში, მცირე აზიაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. საქართველოს ებრაელობის უმრავლესობა სწორედ სეფარდებია.

ჩვენი სალოცავი სეფარდულია. თბილისში არსებობს აშკენაზების სალოცავიც. ზემოხსენებული ლევან იანკოვსკი და არიელ ლევინი აშკენაზები არიან.

კორესპ.: როგორ მონაწილეობს სინაგოგა ებრაელებისა და ქართველების ურთიერთობაში?

ბ. აბრამიშვილი: ებრაელებისა და ქართველების მეგობრობას ფესვები უძველეს წარსულში აქვს გადგმული. დღეს ჩვენს სალოცავს სისტემატური ურთიერთობა აქვს ქართული ეკლესიის ზეციმძღვანელობასთან, რაც ებრაელი და ქართველი ხალხების, ისრაელისა და საქართველოს მეგობრობის საწინდარია. მინდა ქართველი ხალხის ცხოვრება იყოს მშვიდობიანი და ბედნიერი.

• • •

მეჩეთში ვესაუბრეთ თბილისის მუსლიმანების თემის ხელმძღვანელს რასიმ მუხტი-ოღლი რიზაევს.

კორესპ.: ვთხოვთ გაგვიმარტოთ როგორია მუსლიმანური აღმსარებლობის ორგანიზაცია ჩვენში.

რ. რიზაევი: თბილისის მეჩეთი არის საპარასკეო მეჩეთი, ჯუმა-მეჩეთი (მასჯიდ ალ-ჯუმა). პარასკევი მუსლიმანთათვის საზოგადოდ ღვთისმსახურების დღეა და შეჩეთს, სადაც პარასკევის ლოცვის აღვლენა შეიძლება „ჯუმა" ჰქვია, შეჩეთს ჰქვია მოლა ჯუმალ ალი-ოღლი ალიევი, ეროვნებით აზარი (აზერბაიჯანელი), მუეზინი არ ჰყავს, ყველა მორწმუნეს შეუძლია შეასრულოს მისი მოვალეობა და რიგრიგობით ასრულებენ კიდეც — მინარეთიდან მოუწოდებენ მლოცველებს. მე გავლენავარ თბილისის მუსლიმანური თემის აღმასრულებელი ორგანოს თავმჯდომარე, რომელიც კოორდინაციას უწევს მუსლიმანთა რელიგიურ ცხოვრებას. ეროვნებით მეც აზარი ვარ, 49 წლისა, დავამთავრე სამედიცინო სასწავლებელი. 1966 წლიდან ვმუშაობ თბილისის სასწრაფო დახმარების ცენტრალურ სადგურში, ვარ ფერშალი-კარდიოლოგი.

კორესპ.: როდის ამოქმედდა ეს მეჩეთი? თუ არის სხვა მეჩეთები თბილისში?

რ. რიზაევი: ჩვენი მეჩეთის ისტორია ძალზე სანგრძლივია. იგი დგას იმ მეჩეთის საძირკველზე, რომელიც ჯერ კიდევ არაბებმა ააშენეს VIII საუკუნეში. XII საუკუნეში ეს მეჩეთი ვაადიდეს თურქებმა, შემდეგ ბევრჯერ გადაკეთდა. XIX საუკუნის დასასრულს ცნობილი მოღვაწე მუფტი-ეფენდი რამდენიმე წლის განმავლობაში აგროვებდა მუსლიმანთა შორის მეჩეთის ასაშენებელ სახსრებს და 1910 წელს ეს მეჩეთი უკვე ამოქმედდა.

თბილისში მეტეხის პირდაპირ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე იყო კიდევ ერთი მეჩეთი — ეგრეთ წოდებული შაჰ აბასისა, რომელიც XVII საუკუნეში აშენდა. 1950 წელს მეტეხის ხიდის რეკონსტრუქციის გამო ეს მეჩეთი დანგრეულ იქნა.

კორესპ.: რომელ მიმდინარეობას ეკუთვნის ჯუმა-მეჩეთი, შიიტურს თუ სუნიტურს.

რ. რიზაევი: მე თვითონ შიიტი ვარ, ჩემი იდეაა — როგორც თავიდან, შაჰმადის დროიდან იყო ერთიანი ისლამი, ისე დღესაც უნდა იყოს მთლიანი და განუყოფელი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემი რწმენა ვინმეს ძალით მოვახვიო თავს. მეჩეთი სუნიტურია. საგულისხმოა, რომ ჩვენი მეჩეთი ერთადერთია მსოფლიოში, სადაც შიიტები და სუნიტები ერთად ლოცულობენ.

კორესპ.: რა შემადგენლობისაა მლოცველთა ფენა?

რ. რიზაევი: მლოცველთა ძირითად ნაწილს შეადგენს ებრალო ხალხი — ხელოსნები, მუშები, გლეხები. ინტელიგენტები მეჩეთში ნაკლებად დადიან (ამას იმით ხსნის, რომ, როგორც თვითონ ბრძანა, — „ლარიბებს სულიც და გულიც ღია აქვთ" — შ. ხ.). სასიხარულოა, რომ თანდათან მატულობს ახალგაზრდების რიცხვი.

კორესპ.: როგორია თბილისის მეჩეთის ურთიერთობა აჭარისა და სხვა მეჩეთებთან? როგორ მზადდება ღვთისმსახურთა კადრები?

რ. რიზაევი: საქართველოში არსებულ მეჩეთებს საერთო ხელმძღვანელობას უწევს ამიერკავკასიის მუსლიმანთა სასულიერო სამმართველო, რომელსაც ხელმძღვანელობს შეიხულ ისლამ ფაშა-ზადე. თბილისის მეჩეთი და საქართველოში არსებული სხვა მეჩეთებიც მხარს უჭერენ ერთიანობის იდეას. ღვთისმსახურებს თავდაპირველად მხოლოდ ტაშკენტში ამზადებდნენ. იქ აქვს მიღებული სასულიერო გახათლება, მაგალითად, ბათუმის მოლას. ახლა მედრესე (სასულიერო სასწავლებელი) ბაქოშიც არსებობს. იქ საქართველოს 3 წარმომადგენელი სწავლობს.

კორესპ.: რა როლს ასრულებს მეჩეთი ქრისტიანთა და მუსლიმანთა შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებაში.

რ. რიზაევი: მუსლიმანებისა და ქრისტიანების ურთიერთობამ განსაკუთრებით იწყო განვითარება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ილია მეორის არჩევის შემდეგ. ჩვენ ხშირად ვხვდებით ერთმანეთს, ვცდილობთ მხარში ამოვუდგეთ ქართველებს გასაჭირის ჟამს. ასე მაგალითად, 1989 წლის 9 აპრილს ქართველთა თავს დამტყდარი უბედურების შემდეგ არაბეთიდან ჩამოგვივიდა 2000 ცალი ერთჯერადი შპრიცი, რომლებიც მუსლიმანთა თემმა საჩუქრად გადასცა თბილისის გინეკოლოგიური ინსტიტუტის ჩვილ ბავშვთა განყოფილებას. გვინდა ჩვენი მცირე წვლილი შევიტანოთ მუსლიმანებისა და ქრისტიანების კარგი ურთიერთობის განვითარების საქმეში.

დასასრულ, ვუსურვებ ქართველ ხალხს მშვიდობას, სიხარულს, წარმატებებს.

მღვდლის ეტიმოლოგიისათვის

სიტყვათა უმრავლესობა ამა თუ იმ ენისათვის დამახასიათებელი წესების მეტ-ნაკლებად დაცვით სხვა – ძირეული სიტყვებისგანაა ნაწარმოები.

დროთა განმავლობაში იცვლება ან სულაც დავიწყებას ეძლევა, როგორც ფუძე-სიტყვები, ასევე სიტყვათწარმოების წესებიც. მოდიფიცირებას განიცდის ტერმინთა თავდაპირველი შინაარსობრივი დატვირთვაც – ვიწროვდება, ზოგადდება, ზოგჯერ ძირეული სიტყვის საწინააღმდეგო მნიშვნელობითაც კი გვევლინება. ყოველივე ეს ძალიან ართულებს ეტიმოლოგიურ კვლევას, რის გამოც სიტყვათა ანალიზისას გრამატიკული დისციპლინების მიერ შემუშავებული მეთოდების გარდა იყენებენ ისტორიული პარალელების მოხმობის ხერხსაც. მხედველობაში გვაქვს როგორც მონათესავე ენებში შესატყვისებთან შედარების გზით ფუძე-სიტყვის ძიების მეთოდი, ასევე იმ ფაქტზე დაყრდნობა, რომ სხვადასხვა ხალხი განვითარების ერთნაირ ეტაპებზე, ცხოვრების წესების მსგავსებიდან გამომდინარე, სრულიად განსხვავებული ძირებისაგან დაახლოებით ერთნაირი ლოგიკით ქმნიდნენ ახალ, საჭირო სიტყვებს.

წინამდებარე სტატიაში, ძირითადად, ამ ბოლო მეთოდის გამოყენებით ვცდილობთ სიტყვა მ ღ ვ დ ლ ი ს ეტიმოლოგიის დადგენას.

ეს სიტყვა ქრისტიანულმა სარწმუნოებამ ადრინდელი რელიგიური ტერმინოლოგიისაგან ისესხა, როგორც ზოგადად კულტის და არა რომელიმე კონკრეტული რელიგიის მსახურის ცნება. ამის გამო მოსალოდნელად ჩავთვალეთ, რომ იგი კიდევ უფრო არქაული წარმოშობის ყოფილიყო.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ზებუნებრივი ძალებისადმი თაყვანისცემას ითქმის ყოველი სარწმუნოების აღმსარებელი მათ საპატივცემულოდ ცეცხლის ანთებით – ს ი ნ ა თ ლ ი ს შექმნით გამოხატავდა.

უძველესი ადამიანისათვის ცეცხლის მოპოვება აღვილი საქმე არ გახლდათ. მისი ანთება და შენარჩუნება, ჩანს, ტომის ყველაზე საზრიან წარმომადგენლებს ევალებოდათ. გამოცდილება თაობიდან თაობაში გადადიოდა, ერთდროულად ეს ფენა მაშინდელი დროისათვის უმნიშვნელოვანეს პროფესიებსაც ეძენდა – კულტის მსახურის, მკურნალის, მეტალურგის და სხვ. ასე ხდებოდა ქურუმთა კასტის ჩამოყალიბება.

ბუნებრივია, რელიგიური რიტუალების აღმსრულებლის გამომხატველი სიტყვის ძირი იმ ტერმინებში ვეძებოთ, რომელთაც სიტყვა „ცეცხლთან" აქვთ კავშირი. ამ მხრივ, ვფიქრობთ ინტერესს იწვევს პარალელები:

ქურუმი – ქურა, ხურება

жрец — жар.

flamen (ლათ) – ქურუმი – flamma (ლათ)– ცეცხლი, აგრეთვე пламя, ფალიჭ.

ამ შეპირისპირებული სიტყვების ხიის მოყვანის შემდეგ საფუძველმოკლებული არ უნდა იყოს **მღვდლის** ეტიმოლოგიის ჩვენეული ჰიპოთეზა, რომელიც აღადგენს **ღვერდ** ძირს და ილუსტრირდება სქემით:

მღვდელი ← მღვრდელი ← მღვერდელი – ღვერდი → ნაღვერდალი

მდრ. ღველფი

და ბოლოს, გურამიშვილის შემოქმედებაში სიტყვა მღვდელი გვხვდება **მღდელი, მღრდელი** და **მღვრდელი** ფორმებითაც.

გელა ღვინეფაძე

ჟურნალ „რელიგიის" მთავარ რედაქტორს
ვიქტორ რცხილაძეს

ღრმად პატივცემულო ბატონო ვიქტორ, **სამცხე-ჯავახეთის** ეპარქიის მორწმუნეთა სახელით გილოცავთ თქვენ და თქვენს ქრისტესმოყვარე ყველა მკითხველს ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას.

ეპისკოპოსი **ანანია ჯაფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც რელიგია სუფევს, იქ ადამიანები უყვართ,
უყვართ ცხოველებიც და მთელი სამყაროც.
ყოველი სიცოცხლე მოძრავი ტაძარია უსასრულოსი

ჟან კაული

ფასი 4 მან. 70 კაპ.

6112/38

ინდექსი 76179

ვედრება ღვთისა დიდი საქმეა,
განმწმენდელია გულ-გონებისა,
წამალი არის საუკეთესო,
გულის ტკივილის, დალონებისა.

ვაჟა-ფშაველა